კვირის პალიტრა

N29(58) 19/VII.-25/VII.2001.
ფასი 60 თ.

1168
2001

ვინ არის ლუკა რამაზაშვილი?

რატომ გაუჭირდა ისევ ჭვანია ლავრენტი ბერიას



აჩიკო მეფარიძის ინტიმური წერილები

მაია წადირაძე:

როცა ჩემთან ზღვარს გადადიან, ვერ გეტყვით, რომ სასიამოვნო სანახავი ვარ... არ მაქვს ისეთ ხალხთან ურთიერთობა, რომლებიც ყოველ მეორე სიტყვაზე იგინებიან, ოფლიანები და ლიპიანები არიან...

გვ.10

კვირის პალიტრა
გზა
№29 (58)
19 – 25 ივლისი 2001
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„მამიდებს მიხედეთ, მამიდებს!“ 3
რეპორტაჟი
ვინ არის ლუკა რამაზაშვილი – გმირი თუ კრიმინალი?
პანკისი: სპეცრეპორტაჟი ცხელი წერტილიდან 4
საზოგადოება
რატომ აბარებენ სისხლს მალულად ექიმები და ექთანები? 7
ქალბატონი
ფულის მოყვარული მემარჯვენე პარლამენტარი მაია ნადირაძე 10
სასარგებლო აზრები
აფორიზმების ენციკლოპედია 11
ტრაგედია
დედიკო, მართალი მითხარი – როგორ იქნები, ხომ არ მომიკვდები?! 12
ავლუა
აჩიკო მეფარიძის ინტიმური წერილები 14
აგნი-იოგა
მსოფლიო აღიარების მოლოდინში ვარ 17
კრიმინალი
• „ჩემი 15 წლის შვილის სისხლით უსინდისოდ ვაჭრობენ...“ 20
• „მკვლელის ოჯახის წევრები, მონანიების ნაცვლად, სასტიკად მცემენ...“ – აცხადებს გარდაცვლილის დედა 22
კოლეგა
სენეგალში რომ დავბრუნდები, აფრიკელებს საცივი მინდა გავასინჯო 24
კოლორიტი
ვანიჩკა საყვარელიძე: თბილისში მგონი, ერთადერთი ვარ, ვისაც შეუძლია თავდაყირა ღადგეს 28
ფსიქოლოგიური თამაში
რას ნიშნავს ხალი თქვენს სახეზე? 31
სამყარო
ნერონის წერაყინი და ნაყინი 32
წმინდანები
ქრისტიანად დარჩენილი აწ და მარადის! 34

ვინ არის ლუკა რამაზაშვილი – გმირი თუ კრიმინალი?

ლუკა რამაზაშვილს, რომლის შიშითაც, მისი მფარველობის ქვეშ მყოფ სოფლებში, სისასტიკით ცნობილი თელაველი მხედრიონელებიც კი რიდით იქცეოდნენ, კახეთში ყველა იცნობს. გმირის ხატს მონატრებული ახალგაზრდობა კი, მის რაზმში მოხვედრაზე ოცნებობს.

4

სენეგალში რომ დავბრუნდები, აფრიკელებს საცივი მინდა გავასინჯო

ერთხელ, სემინარზე იქაური ჟურნალისტი მომიახლოვდა და ჩემთვის მოულოდნელად, სუფთა რუსულით მომესალმა. გაოცება ვერ დავმალე და ქართულად წამომცდა – ვაა, ეს რა მაგარია-მეთქი. ჩემი გაოცება მაშინ უნდა გენახათ, ეს „ზანგი ჟურნალისტი“ ქართულზე რომ გადავიდა.

24

„ჩემი 15 წლის შვილის სისხლით უსინდისოდ ვაჭრობენ...“



თევდორე მღვდლისა და ევდოშვილის ქუჩების გადაკვეთასთან სამ არასრულწლოვანს ჩხუბი მოუხდათ. დათო ენდელაძე სასიკვდილოდ დაიჭრა. დათოს სხეულზე ექსპერტებმა სამი ჭრილობა – ორი გულმკერდისა და ერთი მარცხენა მხარის არეში დააფიქსირეს.

20

სასიძო ნეკა თითებთან ამოჭრილი ფეხსაცმელებით

თუ ვინმე მოვიდოდა, ტრუსებში გამოწყობილი მამაჩემი მოუბოდიშებდა: Ох, простите, я без галстука! გამოიქცეოდა, შიშველ ტანზე ჰალსტუხს გაიკეთებდა და დაჯდებოდა სუფრასთან.

49

ლეგიონერი

როლანდ ერაძე: „ქვეყნის პრეზიდენტი ტრენაჟორებზე ჩემთან ერთად ვარჯიშობს“ 35

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 38

ნარსულის ანაბეჭდი

170 წლის კოჭოია პაპავა... 38

შეუცნობელი

პიროკინეზის ფენომენი – რა იწვევს ცოცხალი ადამიანის აალებას? 40

ტესტი

ერთგული მკითხველი 41

ვარსკვლავი

სახელოვან მამაკაცებთან რომანების შემდეგ შირლი მაკლეინი ახალგაზრდა მეგზურზე ოცნებობს 42

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე 44

რომანი

ნიკო აშკარელი. ბედისწერა (გაგრძელება) 45

ესკიზები

სასიძო ნეკა თითებთან ამოჭრილი ფეხსაცმელებით 49

ავტო 52

ჯანმრთელობა

- სად დავისვენოთ? 54
- შხამიანი მწერის ნაკბენი 54
- სამკურნალო მცენარეები 55
- თქვენი პატარა 55
- კითხვა-პასუხი 56

ადამიანი-ლეგენდა

მისი უღიდებულესობა დედოფლის მეკობრე 57

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (23-29 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

თქვენი შემოქმედებითი ასაკი 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

დედიკო, მართალი მითხარი – როგორ იქნები, ხომ არ მოიკვდები?!



სადა მაქვს იმდენი ფული, „მარშრუტკებით“ რომ ვიარო?! ჩემისთანა გაჭირვებული ადამიანისთვის 5 და 10 თეთრის დაზოგვაც კი ბევრს ნიშნავს. ყველა ასეთი გაჭირვებული თუ მოიყრის თავს, აბა, დალხინებული ვინ ჩაჯდება იმ ჯაყჯაყა ავტობუსში?!..

12

თბილისში მგონი, ერთადერთი ვარ, ვისაც შეუძლია თავდაყირა დადგეს



უკვე შებინდებული იყო, გამოვედი ქუჩაში ჩემი მეძებრების მოსაძებნად და დავიძახე: დიანა, დიანა! მოდი, დიანა! მოდი, ლედი! უცბად, ვიღაც ახოვანი კაცი გამოვარდა ერთ-ერთი ეზოდან და გადამიდგა წინ. რა საქმე გაქვთ დიანასთანო, დამიყვირა.

28

შირლი მაკლეინი ახალგაზრდა მეგზურზე ოცნებობს

მაკლეინმა აღიარა, რომ ურჩევნია ცხოვრების თანამგზავრად ახალგაზრდა, თხუთმეტი წლით უმცროსი მამაკაცი მაინც ჰყავდეს და არავითარ შემთხვევაში – თავისი ასაკისა, რადგან ახალგაზრდები თურმე უფრო ყურადღებიანები და დამთმობნი არიან.

42

ბედისწერა

მაკამ მეორე მხრიდან მოჭიდა ხელი გიგიას. მერე სულაც მხარში შეუდგა და ლიოვას გიგია ოთახში შეაყვანინა. მძიმე-მძიმედ ჩამოსვეს საწოლზე. მაკამ დასისხლიანებული პერანგი გაუხსნა.

45

„მამილებს მიხედეთ, მამილებს!"

აგერ უკვე მეორე წელია, რაც ჩვენი ჟურნალი გამოდის და წინა ნომერი მხოლოდ მეორე იყო, როდესაც ჩემს მაგივრად სხვამ „იპროვოკატორა", თუმცა ვფიქრობ, რომ ამით მკითხველს არაფერი დაუკარგავს, რადგან ჟურნალისტებში „პროვოკატორებსა" და „ინტრიგანებს" რა გამოლევს...

ჩემი უნებლიე „შვებულების" მიზეზი ერთობ აქტუალური და თანადროულობის შესაფერისი იყო — ქისტებმა მომიტაცეს და პანკისის ხეობის №15ბ ბანაკის 27-ე ბარაკში ვიყავი გამომწყვდეული, სანამ ჩვენი ჟურნალის ხელმძღვანელობამ წინასწარ არ გამომიწერა ექვსი წლის ჰონორარი და სპეციალურ ანგარიშზე არ გადარიცხა (ხუთი წლის ჰონორარიც ჰყოფნიდა „სტავკას", მაგრამ ჩვენს ბუღალტერიას საგადასახადო ფაქტურა სჭირდებოდა და ასეთ შემთხვევაში დღგ-ს ოც პროცენტსაც „კლიენტს" ახდევინებენ).

უნდა გითხრათ, რომ მიუხედავად გავრცელებული ჭორებისა, პანკისის ტყვეთა ბანაკებში არცთუ ისე აუტანელი პირობებია — წყალი და დენი მუდმივად არის, სამუშაო დღე ნორმირებულია, იქაური ხელმძღვანელები ცდილობენ, ყველანი პროფესიის მიხედვით დაასაქმონ, ხოლო გამომუშავებული თანხა მათსავე კვებასა და შენახვას ხმარდება. მე წამოსვლაც აღარ მინდოდა, რადგან ბანაკების გაერთიანების „ბეჭდვითი ორგანოს" — გაზეთ „ჯოყოლას" რედაქტორად დამნიშნეს (აქ ვინ მაღირსებს თუნდაც მოადგილეობას), მაგრამ ვინ გაცალა...

ასე რომ, ერთი კვირით მოვცდი, არადა, რა ამბები დატრიალებულა ამ დროს თბილისში — „ვიღაც-ვიღაცების" გენეალოგიური ხის ზოგიერთი „ტოტის" შესახებ ატეხილ აჟიოტაჟს ვგულისხმობ — ჟვანია სომეხია, დედა ებრაელი ჰყავს, ბებია კი — კამერუნელიო და ატყდა ვაი-უშველებელი, მაგრამ რა ატყდა! ზოგიერთს ისე შეშინებია, მანამდე ბაბუამისის სახელიც რომ არ ახსოვდა, ახლა თავისი გვარის წარმოშობის ისტორიის გამოკვლევაც დაიწყო და ამის შემდეგ გამოვიდა კიდეც ტელევიზიით ერთი ძალოვანი მინისტრი და მეორე „ნახევრად ძალოვანი" მინისტრის შესახებ განაცხადა: მაგან თავის გვარს და გენს მიხედოს, ხომ ვამბობდი, რომ საქართველოს დაღუპვა უნდა-მეთქი და აჰა — სომეხი ყოფილა ეგეც და აბა, რა იქნებოდაო!

თვითონ რა ენაღვლება, თავი ქუდში აქვს — თარგამოსის შთამომავლად მიაჩნია თავი და ქართველების ლეგენდარული წინაპარი — ქართლოსი რომ თარგამოსის შვილი იყო, ეს ახლახან შეატყობინეს „ოურის ბიჭებმა" („გამოძიება" რომ ბოლომდე მიიყვანონ და ისიც გაიგონ, რომ თარგამოსის მეორე ძე ჰაოსი იყო — სომხების წინაპარი, ნეტავ, მერე რაღას იტყვის?!).

ისე, ახლა რომ „ძაღლი აყროლდა", მისი „თავი" ჯერ კიდევ შარშან „დამარხეს": ყველას გახსოვთ პარლამენტის მიერ პასპორტში ეროვნებისა და მამის სახელის ატრიბუტების გაუქმების გამო ატეხილი აჟიოტაჟი. ცოდვა გამხელილი სჯობს და ამაზე ფიქრისას, ცხონებული ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონიდან" ერთი ფრაზა მახსენდება, რომელიც რასობრივ თეორიაზე კამათისას წარმოთქვა ერთ-ერთმა პერსონაჟმა: „რასა და ჯიში რომ არ არსებობს, ამის მტკიცება ყველაზე მეტად უჯიშოებს აწყობთ!"

მოკლედ, თუ თანამედროვე სამყაროს ცივილური ნაწილის სრულუფლებიან წევრობაზე გვაქვს პრეტენზია, იმასაც უნდა შევეგუოთ, რომ, როგორც ამერიკაში არსებობენ ანგლო-ამერიკელები, იტალო-ამერიკელები, აფრო-ამერიკელები, ლათინო-ამერიკელები და ა.შ. ჩვენთანაც იქნებიან სომეხ-ქართველები, ქურთ-ქართველები, ოს-ქართველები, თათარ-ქართველები და ა.შ. თუმცა ჩვენ, როგორც ყოველთვის, „რომის პაპზე მეტად კათოლიკეები" და დემოკრატიის მშობელ ფრანგებსა და ამერიკელებზე მეტად დემოკრატები ვართ — თუკი ამერიკაში ანგლო-საქსური წარმოშობის ხალხის გარდა, არავის ღირსებია პრეზიდენტობა (და ალბათ ვერც ეღირსება), ჩვენთან „სომეხ-ქართველობა" თუ საერთოდ „არაქართველობა" ამის აუცილებელ პირობად იქცევა უახლოეს მომავალში...

კიდევ ერთი საკითხი, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო გასულ კვირაში: ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ახალგაზრდა შემოქმედმა ტელევიზიით გამოსვლისას საჯაროდ განაცხადა — ილია ჭავჭავაძე არ მიყვარსო! დაიწყეს წიოკი უსაქმურებმა — „კვირის პალიტრა" რომ არის, გაზეთი, იმან იმ ყმაწვილის მასწავლებლის ღია წერილიც კი დაბეჭდა, სადაც მოცლილი პედაგოგი თავის ყოფილ მოსწავლეს ტუქსავდა. არადა, რას ერჩით იმ „ბავშვს" — ვინ იყო ილია ჭავჭავაძე?!

დედა სომეხი ჰყავდა? — ჰყავდა!

ბანკში წილში იყო?! — იყო!

კაზინოებში ღამეებს ათენებდა და ათასებს აგებდა?! — აგებდა!

წლობით არ დადიოდა ეკლესიაში და წმინდანობა მაინც „გაიჩალიჩა"?! — გაიჩალიჩა! ბოლოს და ბოლოს, რუსეთის „გოსდუმის" წევრი იყო?! — იყო!!!

ჰოდა, ამ გაგანია „ანტიკორუფციულ" და „ანტირუსულ" ეპოქაში, რატომ უნდა უყვარდეს ასეთი კაცი წესიერ ახალგაზრდას?!

P.S. ჩვენში ყველაფერი — კარგიც და ცუდიც, კამპანიურ ხასიათს ატარებს ხოლმე. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს „გენეტიკური კოდის ლაბორატორიული ანალიზის" ეიფორიაც მალე ჩაცხრება და შემდეგ ახალი დაიწყება — ალბათ მშობლებსა და პაპა-ბებიებს თავს დაანებებენ და პოლიტიკური ოპონენტები ერთმანეთის მამიდების საქმიანობის კვლევა-ჩხრეკას დაიწყებენ!

ასე რომ, სანამ დროა — ყველამ თავის ბოზ მამიდას მიხედოს!

პროვოკატორი

ვინ არის ლუკა რამაზაშვილი — გმირი თუ კრიმინალი?

პანკისი: სპეცრეპორტაჟი ცხელი წერტილიდან

ნანა ქიბიშაური

ბოლოს და ბოლოს, რა ხდება პანკისის ხეობაში — კრიმინალური გარჩევები, პატრიოტული სულისკვეთების ამბოხი თუ ხელისუფლების დაკვეთით წარმოებული პოლიტიკა, რომელიც კუნთებდაბერილი და მუშტებშეკრული ყოფილი სპორტსმენების ხელით კეთდება? რა არის ეს — დაჯგუფებებს შორის გავლენის სფეროების გადანაწილება თუ სახალხო რაზმის მიერ, ტყვეთა გამათავისუფლებელი მოძრაობა? ვინ არის ლუკა რამაზაშვილი — კაცი, რომლის ხელშიც იარაღის აღებამ ერთნაირად შეაშფოთა ხელისუფლებაც და კრიმინალებიც? ვინ მოიაზრება ამ ყველაფრის უკან?

როგორც ვახტანგ რჩეულიშვილი აცხადებს, ლუკა რამაზაშვილი, თავისი რაზმითურთ მედიკო მეზვრიშვილის მარჯვენა ხელია. სწორედ ის მეთაურობდა არჩევნების დროს სპორტსმენებით დაკომპლექტებულ მობილურ ჯგუფს, უბნიდან უბანში რომ დაქროდა და „მოქკავშირულ“ წესრიგს ამყარებდა.

ასეა თუ ისე, ლუკა რამაზაშვილს, რომლის შიშითაც, მისი მფარველობის ქვეშ მყოფ სოფლებში, სისასტიკით ცნობილი თელაველი მხედრიონელებიც კი რიდით იქცეოდნენ, კახეთში ყველა იცნობს. გმირის ხატს მონატრებული ახალგაზრდობა კი, მის რაზმში მოხვედრაზე ოცნებობს: „კახეთში ლუკა ავტორიტეტია. ძალიან ბევრ რამეს მიაწერენ. ის კი ფაქტია, რომ მართლაც უშიშარია, გაჭირვებულებს მფარველობს და თავისი პრინციპების გასატარებლად ყველაფერზე წავა“. მოკლედ, ლუკა ამ ბოლო დღეებში კინოფილმებიდან გადმოსულ „ბოევიკს“ დაემსგავსა. თავის დროზე კი, ერთი ჩვეულებრივი სპორტსმენი ბიჭი ყოფილა. ბავშვობიდანვე უყვარდა იარაღი, არის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების მონაწილე, ძალოვნების ყოფილი თანამშრომელი, ამავე დროს — ნასამართლევი. როგორც მისმა მირონმა, ერთ-ერთმა სვანმა ნათლიამ გვითხრა, ლუკა ციხეში დედის ღირსების დაცვის გამო მოხვედრილა.

ერთ დროს ლუკა რამაზაშვილი, კახეთში ცნობილი ავტორიტეტის — ელდარ გრიშიკაშვილის, მეტსახელად „ქექიას“ მარჯვენა ხელადაც ითვლებოდა. შემდეგ „ქექიას“ ხელისუფლებასთანაც და შავ სამყაროსთანაც ერთდროულად გაუფუჭდა ურთიერთობა და მთელი მისი ოჯახი საკუთარ სახლშივე ჩაცხრილეს (გადარჩა მხოლოდ ერთი ქალი). ამის შემდეგ ლუკა რამაზაშვილი დამოუკიდებლად მოქმედებს. ფლობს მიწის ფართს და რამდენიმე სარფიან ობიექტს, სადაც „ერთგულებაშეფიცულ“ ხალხს ამუშავებს.

აწ უკვე „ბარიგის“ ტყვეობიდან გათავისუფლებული მამუკა არაბული მას სიძედ ერგება. რამაზაშვილის ახლობლის განცხადებით, სწორედ მისი გატაცება აღმოჩნდა ბოლო წვეთი, რამაც მანამდეც დაპირისპირებული მხარეები, საბოლოოდ გადაამტერა ერთმანეთს.

სახალხო რაზმის საკონტროლო პუნქტები, სადაც მკაცრი სამხედრო წესრიგია გამეფებული, ჟურნალ „გზიდან“ მივლინებულმა ჯგუფმა უპრობლემოდ გაიარა. კბილებამდე შეიარაღებულმა ბიჭებმა ჩვენს თხოვნაზე — ლუკასთან დავეკავშირებინეთ, უარი გვითხრეს: „მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომლის შემდეგაც, ლალისყურის საგუშაგოდან სპეცრაზმის ჯგუფი მოიხსნება და დუისის შესასვლელში გადაინაცვლებს. ახლა სწორედ ამ საკითხზე მიდის მოლაპარაკება, შემდეგ კი, მატნის ველზე გამაგრებული შინაგანი ჯარის ბიჭებს, ლუკა თავისი ბიჭებით შეცვლის“ — გვიპასუხეს. მეტი რა გზა გვქონდა? — მოვლენების განვითარებას უნდა დავლოდებოდით, მანამდე კი, გათავისუფლებული მამუკა არაბულის ოჯახი მოვინახულეთ და მის მეულლეს ვესაუბრეთ.

თამარ არაბული:

— მამუკა შეშის დასამზადებლად წავიდა ტყეში. წინა დღეს მისმა ძმამ ოთხ ქისტს უმასპინძლა. ასვა, აჭამა, დააძინა. მეორე დღეს მათ მამუკა იკითხეს. მოკლედ, ვფიქრობთ, ეს საქმე მათი გაკეთებულია. მამუკას დაბრუნებას მე და ჩემი ოჯახი მთელი კახეთის მოსახლეობას ვუმადლით. ხელმოკლედ ვცხოვრობთ. ჩვენ მის გამოსასყიდ ფულს ალბათ მთელი ცხოვრება ვერ შევაგროვებდით. მამუკამაც იცოდა, რომ მისი ოჯახი ფულის გადამხდელი არ იყო და წინასწარ შეეგუა ბედს — იმას, რომ იქ, ჩოფანაშვილის სახლში თვალებახვეულსვე მოკლავდნენ. ძალიან ვნერვიულობდი. ამას დაემატა ტრავმა, რომელიც ელენე თევდორაძის განცხადების შემდეგ მივიღე. მან ვეფხია ჩოფანაშვილთან შეხვედრის შემდეგ, მთელი პასუხისმგებლობით განაცხადა, რომ მამუკა პანკისში არ იყო და მძევლების გათავისუფლება მოითხოვა.

— რამდენი იყო გამოსასყიდი თანხა?

— ვერ მოასწრეს ამის შემოთვლა, იმიტომ, რომ მეორე დღესვე ჩვენმა ბიჭებმა 2 ჩეჩენი და 5 ქისტი აიყვანეს მძევლებად. ამის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკებები. ქისტებმა ორი კაცის გაცვლა მოითხოვეს. აქაური ბიჭები კი მოლაპარაკებას აწარმოებდნენ პრინციპით: „ყველა ყველაზე!“ ბოლოს მამუკა და ტყვე ბაზერაშვილი გამოუშვეს. სანაცვლოდ კი, ჩვენებმა ჯერ ერთი ქისტი გაათავისუფლეს, მაგრამ მეორის გაშვებამდე ის კაცი უკანვე მობრუნდა. ქისტები ჩეჩნების გათავისუფლებას მოითხოვდნენ — ამის შემდეგ აქაურებმაც კონკრეტული პიროვნებების — ესპანელი ბიზნესმენების გათავისუფლება მოითხოვეს.

ნუკრი ბიჩელაშვილი — მეზობელი:

— საუბარია ერთ-ერთი საველე მეთაურის ძმაზე და მის ნათესავზე, რომელიც ჩვენს მხარეს ტყვედ ჰყავს აყვანილი. მათ მოთხოვნას რომ დავმორჩილებოდით და დაწყებული საქმე ბოლომდე არ მიგვეყვანა, ტყვეების გაცვლის შემდეგ ისევ ისე გაგრძელდებოდა, როგორც აქამდე იყო. აი, ამიტომ ვუდგავართ მთელი სოფელი ლუკას მხარში, რომელიც ითხოვს ქის-

ტი კრიმინალების განიარაღებას და შესაბამისი უწყებისთვის ჩაბარებას. სამწუხაროდ, კახა თარგამაძე კიდევ ერთ დათმობაზე წასვლას გეგმავს და მოითხოვს, ჩეჩნები ქისტებს გადავცეთ. მაგრამ მოსახლეობა უარზეა.

მართალია, თამარ არაბული აცხადებს, რომ მისი მეუღლე გამოსასყიდის მიზნით გაიტაცეს, მაგრამ ხალხში სულ სხვა ვერსია ტრიალებს. კერძოდ ის, რომ ეს ყველაფერი შურისძიების მიზნით მოხდა. რამდენიმე წლის წინ ქისტების კრიმინალური ჯგუფი ყარაჯალელ თათრებს სოფელ ლეჩურის ბოლოს დაესხა თავს და დააყაჩაღა. ამ ფაქტის მოწმე გახდა მამუკა, რომელმაც მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინა. ისინიც მაშინ, რატომღაც ოპერატიულნი აღმოჩნდნენ და შემთხვევის ადგილას მივიდნენ. მოხდა სისხლიანი შეტაკება, რომლის დროსაც ორივე მხარეს დაიჭრა ხალხი. პოლიციელებმა დაჭრეს ქისტებთან მყოფი ერთი ობოლი ქართველი ბიჭი, რომელიც ქისტებს დასავლეთიდან ჩამოუყვანიათ და პანკისში ზრდიდნენ. უკან დახევის დროს ქისტებმა ის დაჭრილი ბიჭი რატომღაც პოლიციელებს აღარ ჩაუდეს ხელში, ვერც თან წაყვანა მოასწრეს და... თვითონვე მოკლეს. სისხლი კი, მთის ადათის მიხედვით, ვიღაცას უნდა დასდებოდა ბრალად... და ქისტებმა სისხლი ქართულ მხარეს დააკისრეს. ამ მონაყოლის დასაზუსტებლად სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ თვითონ მამუკას ნახვა, რომელმაც გავრცელებული ვერსიის შესახებ, ყველაზე მეტი იცის. იმავე წყაროს ცნობით, სისხლის აღება-არაღების გარჩევის საქმეში აქტიურად ჩაერთო ლუკა რამაზაშვილი, რომელიც თავისი ნათესავის ინტერესებს იცავდა. ბოლოს კი, საქმე აი, ამ გატაცებამდე მივიდა. როდესაც შექმნილი მდგომარეობა სტაბილური გახდება, ალბათ ამ ფაქტის შესახებ საუბრის შესაძლებლობაც გვექნება და მოქმედი პირები უფრო ობიექტურ ინფორმაციას მოგვაწვდიან მომხდარის შესახებ.

ტყვედყოფილი მამუკა არაბულის მეუღლე – თამარ არაბული



მოხალისე, ლუკა რამაზაშვილის პირადი მცველი

ახლა კი ისევ ლუკა რამაზაშვილს დავუბრუნდეთ. ჩვენი იქ ყოფნის დროს, დაახლოებით ღამის 2 საათზე ლუკამ შინაგანი ჯარის 17-18 წლის გამხდარ და ახალწვერამოღინღლულ ბიჭებს, რომლებიც საგუშაგო პუნქტებზე დაბნეულები იდგნენ, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ნომარი ჯანმრთელი და სქელკისერა თანამებრძოლები ამოუყენა გვერდით. ამ ოპერაციის დასრულების შემდეგ კი, **ლუკა რამაზაშვილთან** *მცირე ინტერვიუს ჩაწერაც მოვახერხეთ.*

— ლუკა, რა ეტაპზეა მოლაპარაკება და როგორ გადაწყდება საბოლოოდ, ტყვეთა ბედი?

— ჩვენი მოთხოვნა იგივეა. გაიცვალოს ყველა ყველაზე. კრიმინალები განიარაღდნენ და გადმოეცნენ ქართულ მხარეს. გატაცების ფაქტი ძალიან ბევრია და ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს ვიღებდით: „უხუცესთა საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას, დამნაშავეებს მოიკვეთენ, თვითონ ქისტებიც ეძებენ გატაცებულებს...“ და ა.შ. დრო გადიოდა, ფაქტობრივად კი, არაფერი იცვლებოდა. ვეფხო ჩოფანაშვილს (ივივე ვეფხო მარგოშვილი – ავტ.) და მის საძმოს უხუცესთა საბჭო ფეხებზე ჰკიდია. საბოლოო მოლაპარაკება მალე შედგება. მათაც უნდა მივცეთ მოსაფიქრებელი დრო. ჩვენი მხრიდან მდგომარეობის გართულების არანაირი საშიშროება არ არსებობს. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ კაცური მოლაპარაკებით გადავწყვიტოთ საქმე და თუ ასე არ გადაწყდება, მერე სხვანაირად გადავწყვეტთ. ამ საღამოს გადაიკეტება ყველა საცალფეხო ბილიკი, რაც კი პანკისის ხეობისკენ მიდის. თანაც ისე, რომ იქ ჩვენ გარეშე ბუზიც ვერ გადაფრინდება. მე მგონი, ეს საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ის ძალები, ვინც წყალს ამღვრევენ, ჭკუაზე მოვიდნენ. კაცები თუ ვართ, მეტი აღარ უნდა მოვითმინოთ. თუ კახეთი დამცირებულ მდგომარეობაში იქნება, მე ვერ დავისვენებ და არც იარაღს დავდებ მანამდე, სანამ პანკისში საქართველოს იურისდიქცია არ გავრცელდება.

— ვითომ, ამდენის უფლებას მოგცემთ კახა თარგამაძე, რომელიც, როგორც გავიგე, ტყვეთა გათავისუფლების მომხრეა?

— მე პირადად მასთან არანაირი საქმე არ მაქვს. ვიბრძვი იმისთვის, რომ თუნდაც პოლიციამ, თავისი უფლებები იქაც ისევე შეასრულოს, როგორც მთლიანად საქართველოში. იმისთვის, რომ იქ ყოველ ქართველს თავისუფლად შეესვლებოდეს. ძალიან ბევრი ხალხი გვირეკავს დასავლეთიდან, ქუთაისიდან, გორიდან. გვეუბნებიან, – ჩამოვალთ ძმებო, საჭირონი ვიქნებითო, – მაგრამ უარს ვეუბნებით. ისინი ნამდვილი ვაჟკაცები არიან, ყოფილი სპორტსმენები, ხალხი, ვისაც გული ერჩის, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს საქმე ჯერ კახელების გასაკეთებელია. აქ ვინც ვდგავართ, ხალხიც და რაზმის ბიჭებიც, ყველანი ვიცნობთ ერთმანეთს. ვიცით ერთმანეთის გასაჭირიც და შესაძლებლობებიც. ჩემ უკან უბრალო გლეხობა, ნამდვილი პატრიოტი ხალხი დგას. ხორბლის აღება უკვე დაიწყო. ეს ჩვენთან ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია. წარმოიდგინეთ, როგორ უნდა გაამწარო

გლეხი კაცი, რომ ამ დროს ყანა მიატოვოს და იარაღით ხელში საგუშაგოზე დადგეს.

— როგორც ცნობილია, მედიკო მეზვრიშვილი და თელავის მაჟორიტარი დეპუტატი გივი ბეციაშვილი, ვისი გულისთვისაც არჩევნებში თავგამოდებით იბრძოდით, თავდებად გიდგებიან, რომ მომავალში, თქვენი მისამართით რეპრესიები არ გატარდება?

— არ ვიცი, რა გატარდება და რა არა. არც მაინტერესებს. მე ჩემს გასაკეთებელს ვაკეთებ, როგორც ქართველი — აგერ, ყველას თვალწინ, ღიად და აშკარად. სხვა არაფერი მაინტერესებს, არაფერი მაკლია იმისათვის, რომ თავი გადავდო. უბრალოდ, ჩემი ხალხის დამცირებას ვეღარ ავიტან. აი, ამისთვის ვარ აქ.

— ვახტანგ რჩეულიშვილმა განაცხადა, რომ თქვენ მედიკო გმართავთ და ეჭვი გამოთქვა, რომ ეს ყველაფერი შესაძლოა, ხელისუფლების მიერ დადგმული სპექტაკლი იყოს.

— ვახტანგ რჩეულიშვილმა ჩემს ახლობელს ისეთი სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რომ ის უნდა მიეღო, რაც მიიღო. დანარჩენი რა გითხრათ, მან რეალურად არც იცის, რა ხდება აქ. ერთხელ მაინც ჩამოსულიყო, ენახა, რა ხდება აქ. ხალხს გასაუბრებოდა. აი, ახლა სოფელში ვართ, სადაც ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი დაიბადა. აქ ისევ ეროვნული სული ტრიალებს. ჩემს მეგობრებს კი ისევ ახსოვთ რჩეულიშვილმა კაბალაში ქართველი ქალები რომ ჩამოიყვანა და გიტარაზე თათრული სიმღერები ამღერა. ყველაფერს ხომ ვერ ვიტყვით, არც არის საჭირო. უბრალოდ ვამბობ, რომ შორიდან ლაპარაკს სჯობდა, ახლოდან ენახა, რა დღეშია ეს ხალხი. უამრავი პარლამენტარი ჩადის კახეთში, დაადებენ თავს და პირდაპირ ქისტებში ადიან. ამ საწყალ ხალხს კი ერთხელ არავინ მოიკითხავს. ასე მოიქცა ელენე თევდორაძეც და მრავალი სხვაც. დარბიან იქ, რაღაცას ჩურჩულებენ. კახელი გლეხი ყველამ დაივიწყა და ბედის ანაბარად დატოვა. უყურეს, უყურეს ამათ სირბილს და ბოლოს მიხვდნენ, რომ მათ ეზო-ყურეს მათ მეტი არავინ დაიცავდა და იარაღს მოჰკიდეს ხელი.

ახმეტის გამგებელი ზაქრო ქინქლაძე

— ლუკა, როგორც ამბობენ, „გალმა ზონა“, სადაც რამდენიმე სოფელია გაერთიანებული, მთლიანად თქვენ გეკუთვნით. უფრო სწორად, იქ დიდი ფართობი მიწა შეისყიდეთ...

— მერე რა, რომ შევისყიდე, უნდა გიხაროდეთ, რომ მე, ქართველმა შევისყიდე და არა სხვამ. მე ჩემს მიწას ვპატრონობ, ვუვლი... ჩემთვის რა, არ შეიძლება? მაინცდამაინც ყველაფერი სხვამ უნდა იყიდოს? არ არის საკმარისი, საქართველოში რაც გაიყიდა?

— შინაგანი ჯარის ადგილას თქვენი ბიჭების ჩადგომით რა შეიცვლება?

— ჩვენი შინაგანი ჯარი რა შესაძლებლობების პატრონია, მტერმაც იცის და მოყვარემაც. მე ბატალიონის მეთაური ვიყავი და ყველაფრის მიუხედავად, ჩემთვის მუნდირის ღირსება მაინც რაღაცას ნიშნავს. მე იმ ბიჭებს ვერ ვუთხარი — გაიწიეთ, მე თქვენზე მაგარი ბიჭი ვარ და აქ მე დავდგები-მეთქი. ვერ ვაკადრე, თორემ ფაქტია, მხოლოდ მათი იქ დგომით ბევრი არაფერი იცვლება. ამიტომ მივიყვანე ჩემი ბიჭები და უბრალოდ, გვერდში ამოვუყენე. დანარჩენი კი, სხვა დროს იყოს. ერთად დავუცადოთ მოვლენების განვითარებას.

— აქ შეკრებილი ხალხი უკვე პრეზიდენტის ჩამოსვლის მოთხოვნითაც გამოდის.

— მე არავინ მინდა. არც პრეზიდენტის ჩამოსვლას ვითხოვ, არც სხვა ვინმე მაინტერესებს. მე პოლიტიკოსი არ ვარ, ჩვეულებრივი კაცი ვარ და კაცურად ვეუბნები ქისტებს: „აბა, ძმაო, შენ აქ ეგრე რო იქცევი, მოდი ახლა და ვილაპარაკოთ, როგორ მოაგვარებ ამ საქმეს“.

თბილისში დაბრუნებამდე ახმეტის გამგეობის თავმჯდომარეს ***ზაქრო ქინქლაძესაც*** *გავესაუბრეთ, რომელიც ქალაქის მოსახლეობასთან ერთად, ამ პროცესებში აქტიურად მონაწილეობს.*

— ბატონო ზაქრო, მეჩვენება, რომ ხალხი დიდი ხანია მზად იყო ამგვარი გამოსვლებისათვის, უბრალოდ, ლიდერის დეფიციტი იყო და ახლა, გამოდის, რომ ეს ყველაფერი ლუკას „აგორებულია“?

— ლუკა რა შუაშია? ეს ყველაფერი სახელმწიფოს აგორებულია. უნიათო პოლიტიკის შედეგია. ჩვენ, ქისტები და ქართველები ერთმანეთს არ ვუპირისპირდებით იარაღით. უბრალოდ, ამ იარაღით გამოვხატავთ პროტესტს იმ სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ, რაც პანკისის ხეობაში ტარდება. თვითონ ქისტები აცხადებენ: შემოდით, დაიჭირეთ ის ბანდიტები, ვინც დასაჭერია, დაიჭირეთ და ერთხელ და საბოლოოდ თქვენც დაისვენებთ და ჩვენც-თქო, მაგრამ ასე რატომღაც არ ხდება. მე ვფიქრობ, რომ დღევანდელი ხელისუფლება 2 კატეგორიად იყოფა. ერთი, რომელიც პირდაპირ კავშირშია პანკისელ კრიმინალებთან და მეორე, რომელიც ბრმა-ყრუს ნიღაბს ირგებს. კახა თარგამაძემ და ელენე თევდორაძემ, რომელთა პოლიტიკაც აქაურებისთვის ძალიან მიუღებელია, თვითონ გაინაწილონ, რომელი რომელ კატეგორიას ეკუთვნის. ამ ეტაპზე, კრიმინალების ჯგუფი მოლაპარაკებას აჭიანურებს. ელოდება, რომ სახელმწიფო მანქანა ისევ ჩაგვაჩუმებს და მათ თავისუფალი მოქმედების ზონას კვლავ შეუნარჩუნებს. ჩვენ კი, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ: იარაღს არ დავყრით მანამ, სანამ პანკისის ხეობაში ჩვენი კანონები არ გავრცელდება. შეიარაღებული ხალხი ხელს არ აძლევს ჩვენს ხელისუფლებას. აი, ეს ერთადერთი ზეწოლის იარაღია დაგვრჩა იმისათვის, რომ შესაბამისი ინსტანციები ვაიძულოთ, პანკისის თემას ცოტა მეტი ეროვნული პასუხისმგებლობით მოეკიდონ.

P.S. გამთენიისას დავტოვეთ პანკისის ხეობა. თბილისისკენ გზას გულდამძიმებულნი გამოვუყევით. უკან კი, დაძაბულ მოლოდინში განაბული ხეობა დავტოვეთ. რა მოხდება, იქ ხვალ? ზეგ? მაზეგ? ■

„ერთი წლის წინ დავბრმავდი, გაჭირვების გამო პლაზმას ვიღებდი და ვყიდდი. იმ პერიოდში ტრავმაც მივიღე. დაუძლურებულმა ორგანიზმმა ვეღარ გაუძლო და ჯერ ერთ თვალში დავკარგე თანდათან სინათლე, შემდეგ მეორეში. როგორც ანალიზებიდან გავიგე, იმუნიტეტი მქონდა საოცრად დაქვეითებული. თვალები ბავშვობიდან მაწუხებდა, მაგრამ მხედველობა ცუდი არ მქონდა“ — მიამბობდა შუახნის ქალბატონი, რომელიც სისხლის გადასხმის სადგურის ხშირი სტუმარია.

ელისო გურგენიძე

რატომ აბარებენ სისხლს მალულად ექიმები და ექთანები?

დონორობის თემით დავინტერესდით და სისხლის გადასხმის ინსტიტუტსა და სისხლის პრეპარატების რესპუბლიკურ ცენტრს ვეწვიეთ.

— დონორობის ეს ფორმა მსოფლიოში აღარ არსებობს. ჩვენში ადამიანი გაჭირვების გამო მოდის. თვითონ სიტყვა „დონორი“ მჩუქებელს ნიშნავს. აბა „დონორობა“ საიდან გამოდის, როცა ფული უნდა მისცე სისხლის სანაცვლოდ. ერთი სიტყვით, პირველყოფილ დონეზე ვართ. ყოფილ საბჭოთა კავშირშიც კი, ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა გვქონდა, — *განაცხადა ჩვენთან საუბრისას კლინიკური ტრანსფუზიოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა* ***ზურაბ რობაქიძემ*** *და განაგრძო:* — პირადად მე 30 ლიტრი სისხლი მაქვს გაღებული უსასყიდლოდ. იმ პერიოდში ინსტიტუტებსა და საწარმოებში სააგიტაციოდ დავდიოდი. 15 წუთიან ლექციას ვკითხულობდი დონორობის შესახებ, შემდეგ კი, მაგალითის მისაცემად, პირველი ვაბარებდი სისხლს, მერე რექტორი მომყვებოდა, რექტორს — სტუდენტი. დღეს უანგარო დონორობა მივიწყებულია. ამ ცოტა ხნის წინ ამერიკელები იყვნენ ჩვენთან ჩამოსულები შიდსისა და იმუნოლოგიის იქაური ცენტრიდან. ისეთ მოხსენებას კითხულობდნენ, იფიქრებდი, პაპუასებში ჰგონიათ თავიო. მოხსენება ძირითადად დონორობას ეხებოდა. ავდექი და ვუთხარი: ეს ჩვენთვის უკვე განვლილი ეტაპია, სიდუხჭირე გვიშლის ხელს, თორემ ისედაც კარგად ვიცით, როგორ უნდა განვითარდეს სისხლის გადასხმის ინსტიტუტი-მეთქი. ამის დასამტკიცებლად მაგალითიც მოვუყვანე: საქართველოში სისხლის გადასხმის პირველი ცენტრი „სისხლის ბანკი“ 1932 წელს შექმნა გრიგოლ მუხაძემ, მაშინ, როცა ამერიკაში იგივე ცენტრი, 1936 წელს ჩამოყალიბდა-მეთქი. ძალიან გაუკვირდათ. ბუნებრივია, მაშინვე ჩაინიშნეს.

— სისხლის გადასხმის შედეგად შიდსით დაავადების შემთხვევები თუ ყოფილა?

— იყო 2 ასეთი შემთხვევა, პირველად ძმისშვილმა გადაუსხა ბიძას შიდსით ინფიცირებული სისხლი; მეორედ — მეზობელმა მეზობელს. საჭირო მარაგი რომ გვქონოდა, ეს არ მოხდებოდა. ექიმის მხრიდან აქ კანონი არ დარღვეულა. როდესაც ავადმყოფის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და სიცოცხლის შესანარჩუნებლად აუცილებელია სისხლის გადასხმა, მას შეიძლება შეუმოწმებელი სისხლიც გადაესხას, საჭირო მარაგის არქონის შემთხვევაში.

სისხლის მარაგის უქონლობა ომის ან მიწისძვრის შემთხვევაში ხომ საერთოდ კატასტროფის ტოლფასია. სომხეთში მიწისძვრის დროს პირდაპირ აქედან წავიდა საჭირო სისხლი სპიტაკში. ღმერთმა დაგვიფაროს და, ჩვენთან რომ მსგავსი რამ დატრიალდეს, დიდ გაჭირვებაში ჩავვარდებით.

— ძირითადად, ვინ მოდის თქვენთან სისხლის ჩასაბარებლად?

— უმუშევრები, დიასახლისები, იშვიათად — სტუდენტები. სტუდენტებს უფრო ერცხვინებათ ფულის გამო სისხლის გაცემა.

— ფინანსურად თუა მომგებიანი სისხლის აღება და შემდეგ გაყიდვა?

— არავითარ შემთხვევაში სისხლი და სისხლის პროდუქტები მოგების წყაროდ არ უნდა იქცეს. ეს უზნეობაა. საერთოდ კანონით, სისხლით ვაჭრობა აკრძალულია. ეს კი არა და, 1995 წლის კანონით, სისხლის ჩაბარებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ხარჯი სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის თავზე, მაგრამ ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, ამას მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებს.

— მაგრამ 1 ლიტრი სისხლის ჩაბარებისას 47 ლარს უხდიან დონორს, მაშინ, როცა ყიდვისას ერითროციტულ მასაში 80 ლარი უნდა გადაიხადო. ასე რომ, 37 ლარიანი სხვაობა

გამოგვდის.

— ამ თანხაში შედის მომსახურების ფასი, სპირტის, ბამბის, გადამუშავების ხარჯები.

— ყოველდღიურად რამდენი დონორი მოდის თქვენთან?

— ჩვენს ინსტიტუტში დაახლოებით 20-25. მთელ საქართველოში კი, შარშან 17 ათასმა კაცმა ჩააბარა სისხლი. აქედან 7 ათასმა უფასოდ, საკუთარი ახლობლებისთვის (სამწუხაროდ, ასეთ დროს ბინტის, ბამბისა და მომსახურების ფულს, დაახლოებით 10 ლარს, აქეთ ვახდევინებთ დონორს). დანარჩენმა 10 ათასმა კი, ეს ნაბიჯი გაჭირვების გამო გადადგა.

— რამდენად უსაფრთხოა სისხლის გადასხმა? ერთჯერადია ყველა ინსტრუმენტი, რაც სისხლთან შეხებაშია?

— დიახ.

ჩვენ იმის გარკვევასაც შევეცადეთ, თუ რამდენად შეიძლება სისხლიდან პლაზმის ხშირმა ამოღებამ იმუნიტეტის დაქვეითება გამოიწვიოს. როგორც აგვიხსნეს, ნორმალური კვების პირობებში იმუნიტეტი არ უნდა ქვეითდებოდეს, მაგრამ აქვთ კი ნორმალური კვება იმ ადამიანებს, ვინც პლაზმას 2 კვირაში ერთხელ ფულისთვის აბარებს? ქავთარაძეზე მდებარე სისხლის პრეპარატების რესპუბლიკურ ცენტრში სისხლის ჩასაბარებლად მისულ რამდენიმე კაცს გავესაუბრეთ. რესპონდენტებმა საკუთარი გვარისა და სახელის გამხელა არ ისურვეს. ჩვენი პირველი რესპონდენტი 36 წლის ქალბატონი აღმოჩნდა.

— ყოველ მეორე თვეს ვაბარებ სისხლს.

— მიზეზი?

— მატერიალური მდგომარეობა.

— არ მუშაობთ?

— ვმუშაობ, მაგრამ ყოველ მეორე დღეს. 5 ლარს ვიღებ დღეში.

— აქ აღებულ 17 ლარს რაში დახარჯავთ?

— მე ნუ შემეკითხებით, სხვა ვინმეს ჰკითხეთ.

იქვე მჯდომი მამაკაცი, მეუღლესა და შვილთან ერთად იყო მოსული.

— ვიცი, რომ ჯანმრთელობისთვის ცუდია სისხლიდან პლაზმის ამოღება, მაგრამ უკვე მივეჩვიე.

— უფრო დიდ თანხას იღებთ, ვიდრე პირდაპირ სისხლის ჩაბარებისას?

— 2 კვირაში ერთხელ ვიღებ პლაზმას და თვეში 44 ლარი გამომდის.

— არ მუშაობთ?

— ვმუშაობ, როცა სამუშაო მაქვს. მღებავი ვარ.

— თქვენი მეუღლეც აბარებს სისხლს?

— საერთოდ აბარებს, მაგრამ დღეს არა. ჯერ არ შეიძლება (სისხლის გადასხმა, ოფიციალურად, 2-3 თვეში ერთხელ ხდება, სისხლიდან პლაზმის ამოღება კი, 2 კვირაში ერთხელ შეიძლება. — ავტ.).

ჩემ ირგვლივ ბევრი ადამიანია, რომელიც დღეს დონორი ხდებაო — გვითხრა შუახნის სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანმა და განაგრძო:

— დღეს პირველად ვარ აქ. შემცირებაში მოვყევი. მეც და ჩემს მეუღლესაც ჩვენი სტუდენტი შვილი გვარჩენს. მირჩიეს და აქ იმიტომ მოვედი.

— დიდი ხანია, რაც გაგათავისუფლეს?

— წელიწადზე მეტია.

— სამუშაო არ გიძებნიათ?

— მინდოდა, პროფესიით მეპოვა სამუშაო. ინსტიტუტში ვმუშაობდი. აგრონომი ვარ. ახლაც ვცდილობ სამსახურში აღდგენას.

— სისხლის ჩაბარებას არ სჯობს, სხვა სამუშაო გეძებნათ — თუნდაც არა პროფესიით?

— უსაქმურად არ ვჩერდები. ოჯახში ნამცხვრებს ვაცხობ და გასაყიდად ვაბარებ.

— კიდევ აპირებთ აქ მოსვლას?

— დიახ.

სისხლის პრეპარატების რესპუბლიკური ცენტრის მედპერსონალმა წინასწარ გაგვაფრთხილა, ბევრს რცხვენია და არ გეტყვის, სისხლს ფულის გამო რომ იღებსო. 2 კვირის წინ ამერიკელები იყვნენ ჩამოსულები და ვერაფრით ათქმევინეს, სისხლს რატომ აბარებდნენო (როგორც ჩანს, ექიმები უკვე კარგად იცნობენ დონორებს, რომლებიც წლების მანძილზე აბარებენ მათთან სისხლს). ასეთები ჩვენც შეგვხვდნენ.

— 3 წელია, 2 კვირაში ერთხელ ვაბარებ სისხლს, — *გვითხრა ახალგაზრდა ქალმა.*

— მიზეზი?

— ორგანიზმისთვის ძალიან კარგია. ისე, ამჟამად არც მილხინს. ბოლოს რკინიგზის საავადმყოფოში ვმუშაობდი მედდად.

მეუღლეს გაშორებული ვარ. II ჯგუფის ინვალიდი მყავს შვილი. აღარც დახმარება მქონდა, აღარც ხელფასი. განცხადება დავწერე და სამსახურიდან წამოვედი. ხან მერიაში ვიყავი, ხან ნანული ცაგარეიშვილთან ჩაწერაზე ასოციაციაში. შეგპირდებიან, შემდეგ არაფერს გიკეთებენ. ახლა საგზური მჭირდება შვილისთვის, აუცილებლად. ჯორბენაძესაც ვთხოვე, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

— თქვენს შვილს რა სჭირს?

— ბავშვობიდან თირკმელი აქვს დაავადებული. რომ აღარაფერმა უშველა, ოპერაცია გავუკეთეთ და ცალი თირკმელი ამოვაჭერით. მეორე თირკმელზეც აქვს პრობლემები. ახლა სურათი უნდა გადავუღო. მარტო ექოსკოპია 15 ლარი ღირს.

— სამსახურში რატომ გქონდათ დაბალი ანაზღაურება?

— რაც შიდა ტარიფები შემოიღეს, მას შემდეგ წავიდა ჩვენი საქმე ცუდად. ერთი ოპერაცია 900 ლარი ჯდება, მაგრამ აქედან მედპერსონალს არაფერი რჩება: ყველაფერი სახელმწიფოს მიაქვს. შიდა ტარიფებამდე 200 ლარი უჯდებოდა 1 ოპერაციის გაკეთება ავადმყოფს. რამდენი იღუპება უფულობის გამო. ზოგი სახლს ყიდის, რომ ოპერაცია გაუკეთოს ახლობელს, მაგრამ ესეც არ შველის — გვიანდება. არც ავადმყოფებს აქვთ ოპერაციაზე სახელმწიფოს მიერ დაწესებული გადასახდელი ფული და არც ჩვენ — ხელფასი.

დონორებს შორის ოფიცერიც აღმოვაჩინეთ.

— 22 წელია სისხლს ვაბარებ. ავღანეთის ომის დროს საბჭოთა ჯარში ვმსახურობდი. მაშინ ბუნებრივია, სისხლს უფასოდ ვაბარებდი.

— ახლა?

— ფულს ვიღებ. ეს 22 ლარი მაინც რაღაც არის, გეხმარება კაცს. როცა ჯარში მსახურობ, იმის დრო არ გრჩება, წახვიდე და ვაჭრობა დაიწყო, მაგრამ მატერიალური მხარე არ არის მარტო განმსაზღვრელი. ვფიქრობ, ჩემი სისხლი ვიღაცას სჭირდება.

— რამდენი ხანია, ფულზე აბარებთ სისხლს?

— 2 წელია, მაგრამ არ იფიქროთ, მარტო ფულის გამო ვიქცევი ასე. რამდენჯერ გამოვსულვარ სახლიდან, კამზე სისხლის გადასხმის ცენტრში წავსულვარ სისხლის ჩასაბარებლად. კაპიკი არ ამიღია. ხანდახან რომ დამინახავს, ავადმყოფის პატრონს ვიღაცა 100 გ სისხლში 40 ლარს ართმევს, „დონორი“ გამიშვია და

საბჭოთა დროინდელი სააგიტაციო პლაკატი

ჩემი სისხლი ჩამიბარებია ყოველგვარი მატერიალური ანაზღაურების გარეშე. ფული ჩემთვის პირველხარისხოვანი არ არის.

— ჯარში მომხდარ „ბუნტს“ თუ თანაუგრძნობდით?

— რომელ „ბუნტზე“ მელაპარაკებით. ეგ თქვენ „ბუნტი“ გგონიათ? რატომ არ ფიქრობთ, რომ სცენა გაითამაშეს და ვიღაცამ იმიჯი აიწია, გარკვეულწილად?! ოფიცერი, რომელიც თავის ჯარისკაცს მეორე ჯარისკაცის წინააღმდეგ გამოიყვანს, არ უნდა დარჩეს ჯარში. როცა ამბობენ, ჯარისკაცს საჭმელს არ აჭმევენო, თვითონ ცოტა ნაკლები წაიღონ სახლში და ჯარისკაცს მეტი დარჩება. საერთოდაც, ნეტავ, ვის სჭირდება ძლიერი ჯარი. ძლიერი ჯარი ყველაფერზე პასუხს მოითხოვს. სანამ იქნება პრიორიტეტული ნაწილები, რომელიც სხვებთან შედარებით უკეთეს პირობებში იქნება, ისინი ყოველთვის მთავრობის მხარეზე დარჩებიან.

როგორც სისხლის პრეპარატების რესპუბლიკურ ცენტრში გვითხრეს, მთაც ყოველდღიურად 20 ადამიანი აკითხავს სისხლის ჩასაბარებლად. ისინი ხშირად ოჯახებითაც მოდიან. მათ შორის ერთი მსახიობიც დადის, რომელიც 2 ვაჟიშვილთან ერთად აბარებს სისხლს. ასეთი „სისტემატური“ დონორი მარტო ქვთარაძეზე მდებარე სისხლის პრეპარატების რესპუბლიკურ ცენტრს 3000-მდე ჰყავს. მათი დიდი ნაწილი 2 კვირაში ერთხელ იღებს პლაზმას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პლაზმაში ანაზღაურება 4-5 ლარით მეტია სისხლის ჩაბარებასთან შედარებით. „სისხლის გადასხმა ჯანმრთელობისთვის სრულიად უსაფრთხოა, — გვიმტკიცებენ სისხლის გადასხმის სადგურების ხელმძღვანელები და დასძენენ: — რაც მეტს გაიღებ სისხლს, უკეთესია“.

მარტო წლევანდელ წელს, სისხლის გადასხმის ცენტრს 900 ახალი დონორი შეემატა.

P.S. როგორც დონორებისგან შევიტყვეთ, თვითონ აქაური ექიმები და ექთანებიც საკმაოდ ხშირად იღებენ სისხლს და სისხლის გადასხმის სხვა დაწესებულებებიდანაც მიდიან ქვთარაძეზე სისხლის ჩასაბარებლად, რადგან მათ საკუთარ „კოლექტივში“ სისხლის ჩაბარების ერცხვინებათ. აქ ისიც გვითხრეს, ბევრ დონორს 2-3 ადგილას რომ აქვს ანკეტა გახსნილი მალულად და მიუხედავად მედპერსონალის მხრიდან სასტიკი გაფრთხილებისა, დადგენილ ნორმაზე ბევრად ხშირად რომ გასცემენ სისხლს; და ისიც, თუ როგორ ეხვეწებოდა ცენტრის ხელმძღვანელობას ამ ცოტა ხნის წინ, ავადმყოფი შვილის პატრონი დედა: ფული არა მაქვს და მიშველეთ რამე, 800 გ სისხლი აიღეთ ჩემგანო. არსად არ შეიძლება ისე გამართლდეს გამოთქმა — „საკუთარი სისხლის ფასად ნაჭამი პური“ — როგორც აქ.

■

ფულის ძოყვარული მემარჯვენე პარლამენტარი მაია ნადირაძე

ჩემი რესპონდენტი მომხიბლავი ქალბატონია, პარლამენტარი მაია ნადირაძე, გემოვნებით ჩაცმული, მუდამ მოღიმარი და ხალისიანი. ალბათ მკითხველიც დაგვეთანხმება, რომ „ტრადიციონალისტმა“ მაია ნადირაძემ სამართლიანად დაიმკვიდრა კოლორიტული პოლიტიკოსი ქალის იმიჯი. პარლამენტის დერეფანში მუდამ სწრაფი ნაბიჯებით დადის და ძალიან ბედნიერი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმც მთლად ასეც არ ყოფილა: სახეზე აღბეჭდილი ღიმილი უფრო ხშირად, კარგი აღზრდის შედეგია და არა უზრუნველი ცხოვრებისო, — გვეუბნება ქალბატონი მაია და ამაზე ვერც შევეკამათეთ...

ირო რიკაძე

— პოლიტიკოსი ქალი საქართველოს ცხოვრებაში არც ისე ბევრია. თქვენ როგორ გრძნობთ ამ ამპლუაში თავს?

— თუ ჩვენს ისტორიას გავიხსენებთ, მთლად ასე არ არის — მეფე გვყავდა ქალი. დედოფლებიც ყოველთვის მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვაში. თუ საბჭოთა პერიოდს გულისხმობთ... ქართველი ქალი ძალიან ამპარტავანია, იმ საძაგლობაში მონაწილეობა რომ მიეღო. რაც ეროვნული მოძრაობა დაიწყო... ირინა სარიშვილი პირველი დღიდანვე ამ მოძრაობაში მონაწილეობს. ეროვნული მოძრაობის 5 ლიდერიდან, ის ერთ-ერთია.

არ მინდა იმის თქმა, თითქოს აზიატური შეხედულებები ჩვენს ცხოვრებაში არ ფიგურირებდეს. მაგრამ დამისახელეთ ისეთი ქალი, რომელსაც საზოგადოებაში იცნობენ, როგორც ინტელიგენტს, გონიერს, მაგრამ ქმარმა კარიერის შექმნაში შეუშალა ხელი. დიდი საქმეა ოჯახის ქალობა და ვფიქრობ, ამ ქალებმა თვითონ გააკეთეს ასეთი არჩევანი. ჩემი პოლიტიკური კარიერაც მას შემდგომ დაიწყო, რაც ჩემი შვილები დამოუკიდებელი ადამიანები გახდნენ.

უფროსი — ნუცა ბათიაშვილი 18 წლის არის, თამარ ჩიკვილაძე კი — 13-ის. არ არის ძნელი ოჯახისა და პოლიტიკური საქმიანობის შეთავსება. ქალი თუ ამ ვითარებაში იმდენს მოახერხებს, რომ მისგან ინტერვიუებს იღებენ და ამის პარალელურად, სარეცხიც გარეცხილი და სადილიც გაკეთებული აქვს, მერწმუნეთ — არ არის რთული. ჩემი გოგონებიც ძალიან მეხმარებიან.

— პოლიტიკურ საქმიანობასთან და სადილის კეთებასთან ერთად, თქვენ ისიც „მოახერხეთ“, რომ პარლამენტში ყველაზე პოპულარული ქალბატონი ყოფილიყავით.

— არ არის ეგრე. თანაც, ასე რომც ფიქრობდეს, არც ერთი თავმოყვარე ადამიანი ამას ხმამაღლა არ იტყვის. ისე, პოპულარული რომც ვიყო, ამით ხელი არ შემეშლებოდა. მე ქუჩაში ვერ მცნობენ. იქ საერთოდ ვერ ახდენენ იდენტიფიკაციას პარლამენტარ მაია ნადირაძესთან.

— პარლამენტარ მამაკაცთა უმრავლესობა გემოვნებიან ქალბატონად გთვლით, ვინ გირჩევთ ჩაცმის სტილს?

— თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს ტანსაცმელი გუშინ და გუშინწინ ვიყიდე, შემცდარა. წელიწადში ორი რამ შეიძლება მივამატო ჩემს გარდერობს. კლასიკური სტილი არ იცვლება. გამოყვანილი სწორი კაბა ყოველთვის მოდაშია და გაიაფებას არ ექვემდებარება. ზოგი კაბა 10 წლის წინანდელიცა მაქვს.

— ე.ი. ჩაცმა ძვირი არ გიჯდებათ?

— ნამდვილად არა. დიდი სიამოვნებით ვიყიდდი კიდევ ტანსაცმელს და ამაზე მეტ ფულს დავხარჯავდი. მე მემარჯვენე ვარ და ფულისადმი ზიზღი არ მაქვს. მინდა მეტი ფული მქონდეს, მაგრამ რომ არ მაქვს, ამასაც არ განვიცდი დიდად, იმიტომ, რომ ქვეყანაა გაპარტახებული.

— ამას წინათ ირინა სარიშვილმა ჩემთან ინტერვიუში განაცხადა, ქალისთვის იდეალური მდგომარეობა ის არის, როცა გვერდით ძლიერი მამაკაცი უდგასო. თქვენთვის როგორია იდეალური მდგომარეობა?

— ჩემთვის იდეალური მდგომარეობა ჩემი შვილების ჯანმრთელობაა, მუდამ-დღე ამას ვეხვეწები ღმერთს. თუ მათ რაიმე საფრთხე ემუქრებათ, ჩემთვის ყველაფერი აზრს კარგავს. რომ გითხრათ, ვინმეს სიძლიერე ან მაკლია, ან მჭირდება-მეთქი, არ იქნება სწორი. მე თვითონ ხანდახან საკმაოდ მკვახე და მჭახე ხასიათი მაქვს (სიტყვა „ძლიერი“ რომ არ ვიხმარო).

— თქვენ, ყოველთვის მოღიმარი ხართ, ამასთანავე ძლიერი და მკვახე?

— ეს არის ჩემი სიძლიერე. ღიმილი აღზრდის შედეგია. რასაც ფიქრობ, ის რომ სახეზე დაგეწეროს, ამას უზრდელი ბავშვები არ აკეთებენ, არათუ დიდები. საქმე ის არის, ადამიანი როგორ იქცევა. როცა ჩემთან ზღვარს გადადიან, ვერ გეტყვით, რომ სასიამოვნო სანახავი ვარ... შეიძლება, 20 წლის ასაკისა ასეთი არ ვიყავი. ახლა უფრო ვარეგულირებ ჩემ

გარშემო სიტუაციას. არ წავალ ისეთი თავშეყრის ადგილას, სადაც ხალხი უაპელაციო განცხადებებს გააკეთებს. არ მაქვს ისეთ ხალხთან ურთიერთობა, ვინც ყოველ მეორე სიტყვაზე იგინება, ოფლიანი და ღიპიანია...

ჩვენს საზოგადოებაში ხშირად გაიგონებთ ფრაზას – „ქალაქელია“ ან „არაქალაქელია“. ეს დაახლოებით ასე ჟღერს – „გოიმია“ და „არ არის გოიმი“. ეს ყველაზე მცდარი ფორმულაა, რომელიც ძალიან მაღიზიანებს. ქართულმა სინამდვილემ საერთოდ არ იცოდა „ქალაქელობა“. ამის დადასტურებაა ის, რომ 20 ათასი მოიგო ქალბატონმა, შოუში „ვის უნდა ოცი ათასი“, რომელიც არ იყო ქალაქელი. მე არ ვიცნობ ამ ქალბატონს, მაგრამ ვთვლი, რომ ის ჩემი თეორიის ყველაზე აშკარა დადასტურებაა. მე წარმოშობით საჩხერელი ვარ და ძალიან მიყვარს იქაურობა. ბაბუაჩემი (შალვა) არ იყო ქალაქელი და საერთოდ არ უყვარდა მე მგონი, ქალაქელები, მაგრამ თუ „გოიმობაზეა“ ლაპარაკი – აი, ვინ არ იყო გოიმი. მამაჩემიც (ჯურხა ნადირაძე, არქეოლოგი) და ბიძაჩემიც ქართული საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები იყვნენ. საჩხერეში, სოფელ ჭორვილაში ხშირად ჩამოდიოდა ხოლმე მათი თაობის ინტელექტუალური და პოეტური ელიტა და იმართებოდა ძალიან კოლორიტული ქეიფები. ყველა იქაურისადმი განსაკუთრებული სითბო და სიყვარული მაქვს. ასევე მიყვარს კახეთიც, რადგან დედა კახელი მყავს. ვხუმრობ ხოლმე: ყველაზე კარგი ნაჯვარი ვარ – ორი ყველაზე კარგი ქართული კუთხის-მეთქი.

— თქვენს პირად ცხოვრებასა და ოჯახზე რას იტყვით?

– ჩემს პოლიტიკურ კარიერას ხელს უწყობენ ოჯახში. ჩემს განერვიულებას თუ გაბრაზებას გაგებით ეკიდება ჩემი მეუღლე – ზურა ჩიკვილაძე. ბავშვებიც ასევე იქცევიან. ჩემი პატარა გოგონა გადასარევ იმიტაციებს აკეთებს და ხანდახან ისე დამცინის, ტელევიზიით გამოსვლაც არ მინდა ხოლმე.

უფროსი გოგონა ნუცა ფსიქოლოგიურზე სწავლობს, მეც ეს ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული. რაღაც ორიგინალურს ეძებდა და სხვა ვერაფერი მოიფიქრა. მეც თავის დროზე, ამის გამო ჩავაბარე ამ ფაკულტეტზე.

პირად ცხოვრებაში ბევრი რამ გადამხდა. ვერ ვიტყვი, რომ ჩემთვის იოლი იყო ამ ყველაფრის გადატანა. კულტურის საკითხია, რომ ეს სახეზე არ უნდა მეწეროს. ძალიან ავადაც ვიყავი. მანამდე ოჯახური პრობლემები მქონდა. გავთხოვდი, ქმარს გავეყარე, ისევ გავთხოვდი, ამასაც ხომ თავისი ტრავმა ახლდა...

— პირველ მეუღლეს, ირაკლი ბათიაშვილს რატომ გასცილდით?

– ვერ გეტყვით. მიზეზი მე თვითონ არ ვიცი. არც არასოდეს გვიჩხუბია. 20 წლის ასაკში დავქორწინდით (ირაკლიზე 6 თვით უფროსი ვარ). 23 წლისანი დავცილდით. ალბათ არ გვქონდა ისეთი გრძნობა...

ჩემი ახლანდელი მეუღლე ზურა ეკონომისტია, გადასარევი იუმორის გრძნობა აქვს და მღერის მშვენივრად, მის ხასიათზე ვიტყოდი, რომ საუცხოოდ აქვს შერწყმული თანამედროვეობის შეგრძნება და ტრადიციები. არავითარი ავანგარდული, ოჯახისადმი მის დამოკიდებულებაში არ არის. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის რეტროგრადია და თავის უფლებებს ჩემს ხარჯზე განმტკიცებს. ის არ თვლის, რომ ჩემთან ბრძოლით და კამათით უნდა მოიპოვოს თავისი სიძლიერე. ჩვენ არასოდეს ვსაყვედურობთ ერთმანეთს. ჩემ გვერდით ასეთი ადამიანი რომ დგას, ამან განაპირობა ჩემი წინსვლა... ■

ადამიანის ანბანური

მოუფიქრებლად ლაპარაკი იგივეა, რომ დაუმიზნებლად ისროლო.
მიგელ დე სერვანტეს საავედრა

კაცის ჯაფა, ნებისყოფა სასწაულებს ახდენს.
ნიკოლაი ნეკრასოვი

ვიდრე საქმეს შეუდგები,
ასჯერ აწონ-დაწონე,
თორემ ბოლოს, გეუბნები,
ვეღარ გამოასწორებ.
ჰაგანი

ოქროს ქისას ამჯობინე გონიერი მეგობარი,
ხოლო სულელს მოერიდე, არის გველზე უარესი.
კასია

თუ ყვავი ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონია.
შოთა რუსთაველი

არავინ არის მასზე მეტი დიდების ღირსი,
ვისაც არ ხიბლავს დიდება და პატივი სხვისი.
ანგელუს სილეზიუსი

არაფერია ისე ძნელი, როგორც ცუდად აღზრდილი კაცის ხელახლა აღზრდა.
იან ამოს კომენსკი

რას გარგებს ბევრი ცოდნა, თუ ვერ გამოიყენე?
ფრანჩესკო პეტრარკა

თბილისში, 10 ივლისს, დაახლოებით 5 საათზე, წერეთლის გამზირზე ავტობუსი აფეთქდა. წინასწარი მონაცემებით, აფეთქება გაზის ბალონების გამო მოხდა, რის შედეგადაც 15 მგზავრი დაშავდა. ისინი დედაქალაქის დამწვრობის ცენტრში მოათავსეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, თბილისის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, თუმცა, საუბედუროდ, ამ საშინელი ტრაგედიის მსხვერპლთ აღარაფერი ეშველებათ: ორი მათგანი 16 ივლისს გარდაიცვალა, დანარჩენების მდგომარეობა კი, კვლავ უკიდურესად მძიმეა...

დედიკო, მართალი მითხარი — როგორ იქნები, ხომ არ მომიკვდები?!

ვენერა მამულაიძე

ნინო ჯავახიშვილი

*პალატაში შესვლისთანავე გული შემეკუმშა. გრძნობები ვერაფრით რომ ვერ დავმალე, რესპონდენტმა უმალ შემატყო და შემაგულიანა: ეს რა არის, შვილო, შენ რეანიმაციაში და სხვა პალატებში უნდა ნახო, რა ხდება — დანახშირებულები წვანანო... საუბარი თუ შეგიძლიათ-მეთქი? — ვკითხე. გულთბილად გამიღიმა: გუშინ რომ მოსულიყავი, ერთ სიტყვასაც ვერ გეტყოდი, მეგონა, ტკივილებისგან გავგიჟდებოდი, მაგრამ ახლა უკვე შემიძლია ლაპარაკი, თანაც, აქამდე ამოსულს, უკან „ხელცარიელს“ როგორ გაგაბრუნებო... ჩემი „მასპინძელი“ 42 წლის ქალბატონი — **ვენერა მამულაიძე** აღმოჩნდა:*

— მცხეთის რაიონიდან ვარ, სოფელ წილკანში ვცხოვრობ ოჯახთან ერთად. მეუღლე და 4 შვილი მყავს. უფროსი გოგო (იქვე მოფუსფუსე ნათიაზე მანიშნა თვალით. — ავტ.) თავზე დამტრიალებს. ყოველდღე ჩამოდის მცხეთიდან, ჩამოაქვს საჭმელი, თეთრეული, საღამომდე ჩემთანაა, მივლის, მერე კი ისევ სოფელში ბრუნდება. დაიტანჯა ბავშვი. დღეში მარტო სამი ლარი გზაში ეხარჯება. ამას წინათ მეუბნებოდა: დედიკო, 100 ლარი ვისესხოთ, მგზავრობისთვის დაგვჭირდება, თორემ აქამდე ჩამოსვლას ვეღარ შევძლებთო... დედა მოუკვდეთ, რა დღეში ჩამიცვივდნენ შვილები! რომ მოვმკვდარიყავი, ამათ ვინღა უპატრონებდა?! უმცროსი ბიჭი 12 წლისაა. თურმე ტირილით მოუკლავს თავი, როცა ჩემი ამბავი გაუგია. რომ მნახა, თან ტიროდა, თან მეფერებოდა და ისე მეკითხებოდა: დედიკო, მართალი მითხარი — როგორ იქნები, ფეხს ხომ არ მოგჭრიან ან ხელს ხომ არ მოგჭრიან და ისევ ისეთი ხომ იქნები, ხომ არ მომიკვდებიო?!. საშინელება იყო. ყველასთან ახლობლები მოდიოდნენ, მაგრამ ისე ვიყავით დამწვრები, რომ ვერც არჩევდნენ, რომელი იყო მათი ოჯახის წევრი და რომელი — სხვა... ტკივილებმა ხომ საერთოდ გამაგიჟა! კედლებზე გავდიოდი, ვეღარ ვუძლებდი, გამაყუჩებლებიც აღარ მშველოდა. ახლა, ექიმების დახმარებით, უკეთესობაა.

— თქვენ როგორ მოხვდით იმ ავტობუსში და თუ გახსოვთ რაიმე — მაინც რა მოხდა 10 ივლისს?

— უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში დამლაგებლად ვმუშაობ. სამუშაო დავამთავრე თუ არა, გაჩერებაზე გამოვედი და ვიკითხე — რომელი ავტობუსი გადის-მეთქი?

ყოველთვის 40 ნომერს მივყვებოდი ხოლმე. სადა მაქვს იმდენი ფული, „მარშრუტკებით“ რომ ვიარო?! ჩემისთანა გაჭირვებული ადამიანისთვის 5 და 10 თეთრის დაზოგვაც კი ბევრს ნიშნავს. ყველა ასეთი გაჭირვებული თუ მოიყრის თავს, აბა, დალხინებული ვინ ჩაჯდება იმ ჯაყჯაყა ავტობუსში?!.. მოკლედ, გამოფენასთან რომ მივედით, უცებ რაღაც საშინელი ხმა გაისმა. მძღოლმა მალევე კი გააჩერა ავტობუსი, კარებიც გააღო უცებ, მაგრამ უკვე გვიანი იყო — გაზით აივსო იქაურობა. საშინელი სიმწარე და ტკივილი ვიგრძენი, სხვა აღარაფერი მახსოვს: გონება დამიკარგავს... როგორც მერე გავიგე, თურმე ავტობუსიდან გადმოვვარდნილვარ და თავი დამირტყამს. მერე ვიღაც ღვთისნიერს გავუთრევივარ შორს — ალბათ იფიქრა, ავტობუსი არ აფეთქდესო და იქაურობას გამარიდა. ტანსაცმელი თურმე სულ ერთიანად ტალახში მქონდა ამოსვრილი. სასწრაფო დახმარების მანქანით აქ გადმოგვიყვანეს. გონზე გზაში, სწორედ მანქანაში მოვედი. თვალი კი გავახილე, მაგრამ ვერაფრით ვეღარ მივხვდი, რა მოხდა, სად ვიყავი ან რატომ მტკიოდა მთელი სხეული... უცებ ჩემ პირდაპირ მჯდარი ორი კაცი დავინახე — საშინელი შესახედავები იყვნენ: ხელებიდან ხორცები თავისით სძვრებოდათ და რაღაც წყალივით გასდიოდათ დამწვარი სხეულიდან... მაშინ კი მივხვდი, რაც მოხდა, მაგრამ მახსოვს, რომ თავი გავიმხნევე: ეტყობა, მე ისე ძალიან მაინც არა ვარ დამწვარი, როგორც ესენი-მეთქი და ღმერთს მადლობა შევწირე: ალბათ ვიღაცამ ილოცა ჩემთვის და ჩემი შვილებისთვის... დამწვრობის ცენტრში რომ მოვედით, სიტყვის თქმასაც ვერ ვახერხებდი. მეკითხებოდნენ ექიმები: საიდან ხარ და ვინ ხარო, მაგრამ... ლიფტში რომ შევუყვანივარ ექთანებს, მარტო მაშინ ამომიკვნესია: ვაიმე, შვილებო, რა გეშველებათ-მეთქი... ექთანი გოგონები ახლა მეუბნებიან: მაშინვე მივხვდით, ბევრი შვილი რომ გყავდათო... მართლაც კარგად გადავრჩი. ზოგს სახე აქვს მთლიანად დამწვარი, ზოგს მხარი, ზოგსაც ფეხები, რა ვიცი... ორი კაცი გარდაცვლილა: ერთს სამი შვილი ჰყოლია, მეორეს — ხუთი. ვინ გაზრდის იმ ობლებს?! ერთ-ერთის და ტიროდა: რა ვქნათ, 5 ბავშვს როგორ მოვუაროთ, გზაზე როგორ დავაყენოთო?!.. კიდევ კარგი, მკურნალობის საფასურის გადახდა მაინც არ გვიწევს. როგორც მოგვიყვანეს, მაშინვე ყველა ექიმი და ექთანი გამოცხადდა. მადლობის მეტი რა გვეთქმის? ზოგჯერ სახლიდანაც კი მოჰქონდათ წამლები, ოღონდ გადავერჩინეთ. ქალაქის მერიას და ჯანმრთელობის სამინისტროსაც გადმოურიცხავს ფული... ისე კი ამბობენ — №40 ავტობუსი სწორედ მერიას ეკუთვნის და ზოდელავამ ამიტომაც შეიწუხა თავიო... მე რა ვიცი, მაგაზე ვერაფერს ვიტყვი... ის მძღოლი კი ძალიან მეცოდება. კარგად ვიცნობ, ახალგაზრდა ბიჭია — 31 წლის. 2 შვილი ჰყავს. აბა, რა მაგის ბრალია, მის ავტობუსს გაზის ბალონები ქვემოთ რომ ჰქონდა გაკეთებული, თანაც უხარისხოდ?! თურმე ნაქირავები ჰქონია ავტობუსი. უთქვამს: ვიმუშავებ და იმდენს მაინც ვიშოვი, რომ ცოლ-შვილი შიმშილით არ დამეხოცოსო. ისიც ჩვენნაირი გაჭირვებული ყოფილა, საწყალი...

— თქვენი მეუღლე არ მუშაობს?

— მეუღლე პროფესიით ისტორიკოსია. ადრე გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში მუშაობდა, მაგრამ რაც დრო აირია, აღარსად უმუშავია. თვითონაც ავადმყოფობს, რა აღარ აწუხებს: გულიო, ნაღველიო, ღვიძლიო... ფიზიკურად ვეღარ მუშაობს. 4 შვილს მოვლა ხომ უნდა! სოფელში რა უნდა გააკეთო?! სიმინდი დავთესეთ, უკვე გასათოხნი იყო, მაგრამ ახლა ვინღა მიხედავს? ჩემი ქმარი დღე და ღამე დარბის, ვერ მტოვებს. ნერვიულობისგან ისეთი გახდა, არ შეეხედება, გიჟს ჰგავს... მარწყვიც გვედგა სოფელში, მაგრამ რად გინდა?! გაზაფხულზე სეტყვა მოვიდა და სულ გაანადგურა. ძროხა კი გვყავს, მაგრამ ის ერთი ძროხა რას შეინახავს ოჯახს?!.. სიმართლე რომ გითხრათ, ისე გაგვიჭირდა, რომ მთელ ზამთარს ჩემი მული გვარჩენდა სამადლოდ: ხან ფულს გვჩუქნიდა, ხან საჭმელს იყიდდა და შვილებთან მატანდა, ხან რას და ხან რას... როდემდე ვიქნებოდი სხვისი ხელის შემყურე?! ყველას მაინც თავისი ოჯახი აქვს, ყველას თავისი გასჭირვებია. ნათელა (მული) თვითონაც დამლაგებლად მუშაობს უნივერსიტეტში. ერთხელ, ადგილი რომ გათავისუფლდა, მირჩია: მოდი და დაიწყე მუშაობა, 80 ლარამდე გექნება ხელფასი, თანაც ხან ყველს ჩამოიტან სოფლიდან, ხან რძეს და აქვე გაყიდიო... ჭკუაში დამიჯდა და მუშაობაც დავიწყე. გზაში 40 ლარამდე კი მეხარჯება, მაგრამ 40 ლარი ხომ მრჩებოდა. სახლში უქმად ჯდომას მაინც სჯობს. ასეა თუ ისე, თავი როგორღაც გაგვაქვს, მაგრამ ახლა... რა იქნება, არ ვიცი... იქნებ, სექტემბრამდე მაინც მოვმჯობინდე, რომ მუშაობა შევძლო... ღმერთი მოწყალეა — ღმერთმა გადამარჩინა ახლაც და ღმერთს უნდა მივანდო ისევ ჩემი და ჩემი შვილების ბედი...

■

მძღოლმა მალევე კი გააჩერა ავტობუსი, კარებიც გააღო უცებ, მაგრამ უკვე გვიანი იყო — გაზით აივსო იქაურობა. საშინელი სიმწარე და ტკივილი ვიგრძენი, სხვა აღარაფერი მახსოვს: გონება დამიკარგავს...

ისე კი ამბობენ — №40 ავტობუსი სწორედ მერიას ეკუთვნის და ზოდელავამ ამიტომაც შეიწუხა თავიო...



აჩიკო მეფარიძის იუნიმაჩი ნაჩილები

სულ მალე აჩიკო მეფარიძის ფანები, კარგ საჩუქარს მიიღებენ. თითქმის უკვე მზად არის მისი პირველი ალბომი — „ო, რა კარგია“, რომელშიც 12 საუკეთესო სიმღერა შევიდა. აჩიკო მეფარიძეს, სიმღერისა და სცენის მიღმა, სხვა ცხოვრებაც აქვს, რომლის შესახებაც, მისმა თავგადაკლულმა თაყვანისმცემლებმაც კი არაფერი იციან. ის პროფესიონალი ექიმია. სამედიცინო განათლება რუსეთში მიუღია და ყველაფერთან ერთად, შესანიშნავი ქირურგიც ყოფილა. როგორც ექიმი, აფხაზეთის ომშიც მონაწილეობდა და ღირსების ორდენითაც ყოფილა დაჯილდოებული. აფხაზეთის გარდა, სხვა ომშიც აქვს მონაწილეობა მიღებული. თუმცა, დღემდე არ იცის, როგორ გამოიყურებოდნენ ის არსებები, ვისაც მის გვერდით მყოფი სნაიპერები ესროდნენ. საქმე ეხება ბალტიისპირეთში მომხდარ უცნაურ მოვლენას, რომელიც 1989 წლის 26 დეკემბერს მოხდა და მაშინვე ტაბუ დაედო: ამ ამბის მონაწილე პირებს სასტიკად აეკრძალათ ნანახის გახმაურება.

ნანა ქიბიმაური

დღეს ბალტიისპირეთში უცხო პლანეტელების შემოსევის ფაქტს, სამხედრო საიდუმლოების გრიფი აეხსნა და აჩიკოსაც უკვე თავისუფლად შეუძლია მომხდარის შესახებ საუბარი. ამ ამბით მოგვრილი შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ აჩიკო მეფარიძის სცენურ სამყაროში, მფრინავი თეფშისა და უცხო ცივილიზაციის სიმბოლოებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. თვითონ მას კი, საბოლოოდ განუმტკიცდა აზრი, რომ ჩვენ მარტონი არ ვართ და სამყაროში კიდევ არის პლანეტები, სადაც სიცოცხლე ჩქეფს.

— აჩიკო, ბავშვობაში კოსმონავტობაზე და უცხო პლანეტელებთან შეხვედრაზე თუ ოცნებობდით, გამოდის, რომ ცხოვრებამ ნაწილობრივ მაინც აგიხდინათ ეს ოცნება?

— კოსმონავტობაზეც მიოცნებია და უცხო პლანეტელებთან შეხვედრაზეც. საერთოდ, ყოველთვის მაინტერესებდა ფანტასტიკა. ძალიან ბევრი ლიტერატურა მაქვს წაკითხული და რაც უფრო მეტს ვკითხულობ, უფრო ვრწმუნდები, რომ არსებობს ცოცხალი გალაქტიკები. ჩვენ არ ვართ მარტონი. აუცილებლად არის სამყაროში პლანეტა, სადაც ისევე ცოცხალია ბუნება, როგორც ჩვენთან. ამაში რიგაში მომხდარმა მოვლენებმაც დამარწმუნა. სავალდებულო სამხედრო სამსახურს ვიხდიდი. ვიყავი სპეციალური დანიშნულების სამძებრო-სამაშველო სამსახურის ექიმი. ჩვენ სამხედრო ნაწილს ძალიან დიდი აეროდრომი ჰქონდა. სამაშველო ჯგუფი იქ გადიოდა მზადებას და თანაც ისეთს, რომ განგაშიდან 4 წუთში უკვე ჰაერში ვიყავით ხოლმე. 1989 წლის 26 დეკემბერს ლოკატორებმა საზღვრის დარღვევა დააფიქსირა. ჩაირთო განგაშის რეჟიმი. ჩვენ ავფრინდით და საზღვრის დამრღვევი ობიექტის ძებნა ჰაერში დავიწყეთ. მაშინ კონკრეტულად არც ვიცოდით, რას ვეძებდით, რადგან სპეციალური სამხედრო დანადგარები მხოლოდ წითელ მანათობელ წერტილებს გვიფიქსირებდა. ეს წერტილები თანდათან გვიახლოვდებოდა და შემდეგ უფრო გამოიკვეთა, რასთან გვქონდა საქმე. მდგომარეობა მართლაც საგანგაშო იყო, — მთელი ბალტიისპირეთის თავზე 50 უცხო სხეული ეკიდა! ვერ ვიტყვი, რომ მათ თეფშის ფორმა ჰქონდა. უფრო ვერცხლისფერ ბურთებს ჰგავდა, საიდანაც მოგვიანებით, სამი ვერცხლისფერი თოკი ჩამოეშვა და ზედ ყუთის მაგვარი რაღაც დაეკიდა. რეაქტიული გამანადგურებლიდან უცხო ობიექტებს ცეცხლი გაუხსნეს, მაგრამ უშედეგოდ. როგორც ღრუბელი, ისე იწოვდა და აუვნებელყოფდა ობიექტის გარსი გამანადგურებლიდან ნასროლ ასაფეთქებელ ჭურვებს... ეს დაძაბული გაურკვევლობა 12 დღე გაგრძელდა. ბოლოს, ჩემი მორიგეობის დღეს, დაიგეგმა ოპერაცია, რომელსაც უფოლოგიის ცენტრიდან საგანგებოდ ჩამოსული პოლკოვნიკები ხელმძღვანელობდნენ. ჩვენს სამძებრო-სამაშველო რაზმს დაევალა, მაქსიმალურად მიახლოებოდა ამოუცნობ ობიექტს და ბრძანების შესაბამისად ემოქმედა. გავარღვიეთ ჰაერის რამდენიმე შრე და ობიექტი ჩვენი თვალთახედვიდან გაქრა. გვესმოდა მხოლოდ ოპერატორის ხმა, რომელიც ჩვენგან განსხვავებით, ხედავდა ობიექტსა და მისი ფრენის მიმართულებას და ჩვენ შორის დარჩენილ მანძილს გვკარნახობდა: „ობიექტამდე დარჩა 5 მეტრი, 4, 3, 2, 1...“ ამის შემდეგ იყო პაუზა, რომელიც ძალიან ხანგრძლივი გვეჩვენა და ბოლო სიტყვები: „თქვენ გახვედით მასში!“

— ობიექტი გაიარეთ ისე, რომ ვერაფერი იგრძენით?

— გავედით ისე, როგორც ჩვეულებრივ ჰაერში! თვლაზე „1“ შევხედე ჩვენს მფრინავს და დავინახე, რომ ის წამიერად, მწვანედ განათდა. ალბათ ჩვენც ასევე გავნათდით, და — მორჩა! სხვა არაფერი არც მინახავს და არც მიგრძვნია. ამის შემდეგ ორმოცდაათივე



დუეტი ნუცა შანშიაშვილთან

ობიექტი ისევე გაქრა, როგორც გამოჩნდა. ჩვენ კი, ამის შესახებ ლაპარაკი აგვიკრძალეს.

— ამის შემდეგ რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში?

— არაფერი. ჩამოვედი თბილისში, გავიარე სამედიცინო პრაქტიკა, ვაკეთებდი ოპერაციებს, მანამდე, სანამ ბატონმა ავთანდილ ჯორბენაძემ არ გადამიყვანა. მუშაობა დავიწყე ქალაქის ჯანდაცვის სამმართველოში, შემდეგ ჯანდაცვის სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელად, გავიარე სტაჟირება ამერიკაში — მოკლედ, მედიცინაში ჩემი კარიერა წარმატებით აეწყო, მაგრამ სულიერ კრიზისს თავი მაინც ვერ დავაღწიე: მინდოდა, რაღაც სხვა და ეს რაღაც ვიპოვე. უფრო სწორად,ჩემი თავი ვიპოვე ქართულ სიმღერაში. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართული ესტრადაც ისევე განიცდიდა კრიზისს, როგორც მე. აი, ასე გაცვალეს ადგილები ჩემმა პროფესიამ და ჰობიმ.

— ექიმობისა და ესტრადის გარდა, მე მგონი თქვენი ბიზნესიც წარმატებით მიდის. გაქვთ მაღაზია-სალონი, რომელიც კარგი ხარისხის ტანსაცმლით ვაჭრობს.

— კი, შეიძლება ასე ითქვას, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში დღეს მსყიდველუნარიანობა ძალიან დაბალია.

— თქვენს მაღაზიაში მარტო ერთი კაბა, 1.400 ლარი ღირს. ასეთ ფასებს მხოლოდ ე.წ. „ელიტარები“ შესწვდებიან.

— მაღაზიაში ძირითადად, იტალიური პროდუქციაა წარმოდგენილი — ცნობილი ფირმების ნამუშევრები. ფასებიც ხარისხის ადეკვატურია. ამ მაღაზიაში ხშირად შემოდიან ცნობილი ადამიანები, ძირითადად — ხელოვანი ხალხი და პოლიტიკოსთა ოჯახის წევრები, მაგრამ რაღაც არ მახსენდება, რომ რამე ძვირად ღირებული ეყიდოთ. ყველაზე ფასეული, რაც ჩემს მაღაზიაში გაიყიდა, ჩემთვის უცნობმა ადამიანებმა შეიძინეს. ზოგადად კი, ვიტყვი, რომ ჩვენთან ვაჭრობის კულტურა ძალიან დაბალია. არ შეიძლება მაღაზიაშიც ისევე ივაჭრო ფასის დაკლებაზე, როგორც ბაზარში. მესმის იმ ხალხის, ვისაც გემოვნებაც აქვს და სურვილიც — უკეთესად ჩაიცვას, მაგრამ საშუალება არ აქვს. მესმის მათი, თუნდაც იმიტომ, რომ ოჯახში, სადაც მე გავიზარდე, ისეთივე მატერიალური პრობლემები გვქონდა, როგორიც დღეს მათ აქვთ. ჩემს დას სამი შვილი ჰყავს და ისიც ისევე ცხოვრობს, როგორც უმრავლესობა.

— ვფიქრობდი, შეძლებული ოჯახიდან იყავით. ვინ არიან თქვენი მშობლები?

— მამა მეტყველია, დედა — რუსული ენის მასწავლებელი. შეძლებულად არასოდეს გვიცხოვრია. არც მემკვიდრეობით მიგვიღია ქონება. თუმცა, ბაბუაჩემი თავის დროზე ცნობილი პროვიზორი იყო. მან პირველმა გამოიგონა წამალი ბღერის (მუნის) საწინააღმდეგოდ. ბაბუა მოულოდნელად გარდამეცვალა. თავის საქმეზე შეყვარებული კაცი იყო.

— თვალში საცემია თქვენი სასცენო კოსტიუმები, ძვირფასი სამკაულები, ვინ არჩევს მას თქვენთვის — იმიჯმეიკერი?

— ჩემი იმიჯმეიკერი მე თვითონ ვარ. მოდელები კი, ავთო ცქვიტინიძეს ეკუთვნის. სამკაულები მიყვარს, თუმცა, ყოველდღიურად არ ვატარებ. რასაც ვატარებ, ჩემი შერჩეულია.

— მას შემდეგ, რაც თავი გადაიპარსეთ, ბევრი მიმბაძველი გამოგიჩნდათ. რას იტყვით, როდის ამოუშვებენ ჩვენი ბიჭები თავზე ქოჩორს?

— ვერაფერს გეტყვით. მე ჯერჯერობით ისევ ასე ვაპირებ ყოფნას. თავს ყოველდღე ვიპარსავ, ისევე როგორც წვერს. ამ პროცედურას ისე მივეჩვიე, რომ უკვე მსიამოვნებს კიდეც. თუმცა, ამას მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის არ ვაკეთებ. ახალი სახე, ახალი სტილი — აი, ამას იყო ქართველი მსმენელი მონატრებული. მე ვცდილობ, ჩემს ხალხს ჩემებურად შევთავაზო ეს ახალი სტილი. მსმენელები ცდილობენ მიიღონ, აიტაცონ — ეს ეხება, როგორც გარეგნულ იმიჯს, ისე საშემსრულებლო მანერასაც. ამას მოითხოვს თანამედროვე სტანდარტები და ვფიქრობ, მეც და ჩემი მსმენელიც ამ სტანდარტებისკენ ერთდროულად მივისწრაფვით.

... ლელა წურწუმიასთან



მე, თამუნა ამონაშვილმა, ლელა წურწუმიამ, სტეფანემ, კახუჩელამ, „ფლეშმა“, „სახემ“ და სხვა ახალგაზრდა შემსრულებლებმა შევძელით, ჩვენი თინეიჯერების ტემპში ისე ჩავმჯდარიყავით, რომ ეროვნულ, ქართულ ფესვებს არ მოვწყვეტილიყავით.

— ყოველ შემთხვევაში, დღეს პოპულარობის ზენიტში ხართ, თაყვანისმცემელიც ბევრი გეყოლებათ...

— ყოველდღიურად ვიღებ წერილებს, მირეკავენ, კონცერტის დროს ხელებს მიწვდიან. ეს ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს და მინდა, იმაზე მეტი სითბო გამოვხატო მათ მიმართ, ვიდრე ვიღებ, თუმცა, ეს არ გამოდის — მე ხომ ერთი ვარ!.. ერთი 100 ფურცლიანი ბლოკნოტი მაჩუქეს, რომელიც მხოლოდ ერთი სიტყვით არის შევსებული.

— რა არის ეს მაგიური სიტყვა?

— „მიყვარხარ!“

— და თქვენ ასევე ფურცელი წაიკითხეთ?

— იცით, რატომ წავიკითხე? — იმიტომ, რომ მის ასაკში ისევე ფანატიკურად ვიყავი შეყვარებული ალა პუგაჩოვაზე. მე ვგიჟდებოდი ამ ქალზე. მოგვიანებით, ასევე გიჟურად შემიყვარდა უიტნი ჰიუსტონი. არ ვიცი, აღწევდა თუ არა მასთან ჩემი წერილები, მაგრამ ვიცი, რა გულწრფელობით ვწერდი: „საკმარისია მხოლოდ ერთხელ გნახოთ და მერე, გინდაც თავს მოვიკლავ-მეთქი“. საერთოდ, ემოციური ადამიანი ვარ და სხვის გრძნობებს პატივს ვცემ. ალბათ, ამიტომ არის, რომ არ მეზარება საათობით ველაპარაკი მათ, ვისაც ჩემთან ლაპარაკი უნდა.

— თქვენ თუ ხართ შეყვარებული?

— შეყვარებული ვიყავი. შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრებაში ერთხელ მიყვარდა.

— როგორი იყო შეყვარებული აჩიკო მეფარიძე?

— პოეტური, გულჩვილი, არაადეკვატური, რეალობას მოწყვეტილი.

— ის გოგო, ვინც გიყვარდათ?

— დღეს ის სხვისი ცოლია. სხვათა შორის, ძალიან ცნობილი მუსიკოსის ცოლია და არ მინდა, ახლა სხვის ცოლზე ვილაპარაკო.

— თქვენს დაქორწინებას რამ შეუშალა ხელი?

— ჩვენს დაქორწინებას ბებიაჩემმა შეუშალა ხელი. მაშინ რუსეთში ვსწავლობდი. ლუბა (ის გოგო) იქ გავიცანი. მის მშობლებს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ, ჩემებს კი... ბებიაჩემმა ისე გადმოიტანა თბილისში ჩემი საბუთები, რომ არც გამიგია... თბილისში გავაგრძელე სწავლა. ლუბა კი, იქ გათხოვდა.

— რა იწვევს ყველაზე მეტად თქვენს გულისტკივილს?

— გული მტკივა, როცა ვხედავ — ის ადამიანები, ვის სიმღერებზეც ჩვენ ვიზრდებოდით, დღეს რა პირობებში ცხოვრობენ. მათ სახელმწიფოს მხრიდანაც სჭირდებათ ყურადღება და ჩვენი მხრიდანაც. ერთ დროს, ისინი ხომ ისეთივე პოპულარულები იყვნენ, როგორც დღევანდელი შემსრულებლები: ნანი ბრეგვაძე, ლილი გეგელია, ნანული აბესაძე, ეთერ კაკულია, ნუნუ დუღაშვილი, „ორერა“, „დიელო“ — რომელი ერთი ჩამოთვალო. მე მათ ყველას დავაჯილდოებდი, მოვეფერებოდი... ახლა იმქვეყნად წასულები გავიხსენოთ: გიორგი ცაბაძე, ლელა სიხარულიძე, გოგი დოლიძე... ჩვენ ვალში ვართ მათ წინაშე.

— თავისუფალ დროს სად და როგორ ატარებთ?

— ვვარჯიშობ, ვცურავ, ჩოგბურთს ვთამაშობ, ვმეგობრობ — ძირითადად, ხელოვან ხალხთან, მაკა ასათიანთან და ავთო ცქვიტინიძესთან. მოდელებთან — სოფო ბურჯანაძესთან, ლალი ტოტიკაშვილთან. ძალიან დიდი სამეგობრო წრე მაქვს. მათთან ერთად სიამოვნებით ვატარებ დროს. ხშირად ვართ ერთად — პეროვსკაიაზე, რესტორანში, აუზზე...

— ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რომელიც მიგიღიათ?

— ჩემთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, ჩემი დისშვილის — თამუნას დაბადება იყო. ამაზე ძვირფასი არაფერი მიმიღია ცხოვრებაში.

— საყვარელი საჭმელი?

— ხინკალი!

— დესერტი?

— მარწყვის ტორტი.

— ჭორები არ გაღიზიანებთ?

— არა — შევეჩვიე. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ყველა ცნობილ ადამიანს უგონებენ რაღაცას.

— ქვეყანა, სადაც სიამოვნებით იცხოვრებდი?

— 35 ქვეყანაში ვარ ნამყოფი და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ სხვა ქვეყანა, სადაც საქართველოს გარდა ვიცხოვრებდი, არ არსებობს! უზომოდ მიყვარს ჩემი თბილისი, ჩემი ქვეყანა თავისი სიღარიბით და მდიდარი სულით. სხვაგან რომ გავძლო, ეს ხალხი უნდა მყავდეს თან: ჩემი ეზო, ჩემი უბანი. აქ თითოეული ადამიანი მიყვარს და მინდა მალე შეიცვალოს ცხოვრება უკეთესობისკენ, რომ საქართველოში თავი ყველამ კარგად იგრძნოს. ■

შევძელით, თინეიჯერების ტემპში ისე ჩავმჯდარიყავით, რომ ეროვნულ, ქართულ ფესვებს არ მოვწყვეტილიყავით...



მსოფლიო აღიარების მოლოდინში ვარ

„... ეს ამბავი უსასრულობის წიაღში დაიბადა. სამყაროს დედამ ჩამჩურჩულა უსასრულობის ფორმულა. გამახსენდა, რისთვის მოვედი დედამიწაზე და დროულად გამცნობთ საჭირო ცოდნას. ასე რომ, მე მხოლოდ დედის დავალებას ვასრულებ და მიხარია მახარობლობა“ — ეს სიტყვები ერთი შეხედვით ძალიან უცნაურ კაცს, თამაზ თავაძეს ეკუთვნის.



მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: არ არსებობს უკურნებელი დაავადება! ყველა სნეულება განკურნებადია. უბრალოდ, უნდა ვიცოდეთ მისი განკურნების წესი

ნანა ქიბიშაური

მასზე საზოგადოებაში არაერთგვაროვანი აზრია გავრცელებული: მეცნიერი, ფილოსოფოსი, მასონი, „ბუდისტი“, „აგნი-იოგას“ მიმდევარი, სასწაულმოქმედი მკურნალი, კაცი, რომლის ორგანიზმმაც 50 წლის შემდეგ სწრაფი გაახალგაზრდავება დაიწყო. ამ ჩამონათვალთაგან რა შეეფერება სინამდვილეს და რა არა – ამის გასარკვევად ვესტუმრეთ მას. მოვისმინეთ ლექცია გულის აზროვნების შესახებ, შემდეგ კი, მედიტაციას დავესწარით. 100-ზე მეტი სნეული ადამიანი დიდ დარბაზში წინასწარ მომზადებულ ლეიბებზე დაწვა, თვალები დახუჭა და ნახევარი საათის განმავლობაში გაუნძრევლად იმყოფებოდა. ამის შემდეგ, რაღა გასაკვირია, რომ თამაზ თავაძესთან საუბრის ძირითად თემად მედიცინა, კერძოდ კი, უკურნებელ სნეულებებთან აზრობრივი ბრძოლისა და გამარჯვების მაგალითები იქცა.

ბატონი თამაზის აზრით, ექიმთა დღევანდელი სავალალო მდგომარეობა იმით არის გამოწვეული, რომ მათი უანგარობა შეუძლებელი გახდა. ექიმი დაივიწყა სახელმწიფომაც და ხალხმაც. ჰიპოკრატეს ფიცში ნათქვამია, რომ ექიმი უნდა შეინახოს იმ ხალხმ, რომელიც მის ირგვლივ ცხოვრობს და არა მათ, ვინც მისგან იკურნება, რადგან არავინაა დაცული ავადმყოფობისაგან. ეს ჭეშმარიტება ჰიპოკრატეს დღევანდელი ფიციდან ამოღებულია, რითაც მედიცინის წინაშე დიდი დანაშაულია ჩადენილი. ხალხმ დაკარგა იმუნიტეტი, დასნეულდა და... მის გონებას სიკვდილზე ფიქრი საშინელ ბედისწერასავით დააწვა. მათი აზროვნება, ვინც მორიდებით უცდის აღსასრულს, კოსმოსური აზროვნებისაგან შორს დგას. ამ სივრცეში მოსახვედრად, აუცილებელი ცოდნაა საჭირო. ცოდნა, რომელსაც უკვდავებისა და მარადიული ახალგაზრდობისაკენ მივყავართ. კოსმოსური კანონი დიდი საიდუმლოა, რომლის გასაღებიც ოქროს საწმისთან ერთად დაკარგა საქართველომ. თამაზ თავაძის ფილოსოფიური თუ სამკურნალო ძიებანი, მისივე განცხადებით, ისტორიული მემკვიდრეობის დაბრუნებისკენაა მიმართული. იმ ისტორიული მემკვიდრეობის დაბრუნებისკენ, რომელიც ქართული ღმერთების პანთეონთან ერთად (ჰერაკლე, პრომეთე და სხვა) საქართველოდან იქნა გატანილი.

— ბატონო თამაზ, ეი. თქვენი ვერსიით, ნებისმიერი დაავადების განკურნების საიდუმლო რეცეპტი ოქროს საწმისში უნდა ვეძიოთ?

– დიახ. ოქროს საწმისი იყო ცხვრის ტყავზე დაწერილი გასაიდუმლოებული ინფორმაცია, რომლის წაკითხვაც მხოლოდ ძველ კოლხებს შეეძლოთ. ეს ინფორმაცია სამ განზომილებას მოიცავდა: 1) ოქროს მოპოვება – ე.ი. ჩვეულებრივი ალქიმია. 2) დღეგრძელობისა და ჯანმრთელობის საიდუმლოება – ანუ სულიერი ალქიმია და 3) განსაკუთრებული ღირებულების ცოდნა უკვდავებისა და მარადიული ახალგაზრდობის შესახებ. აი, ამ ცოდნის ფლობის შემთხვევაში, კაცობრიობას არანაირი საფრთხე აღარ ემუქრება, უკურნებელ დაავადებებად წოდებული კიბოსა და შიდსისაგან.

— კი, მაგრამ, ოქროს საწმისის შექმნის დროს, ხომ არ არსებობდა ისეთი დაავადება, როგორიცაა შიდსი?

– ყოველი დაავადება ჩვენი ცოდვების შედეგია და ჩვენი არაჯანსაღი ცხოვრების წესიდან გამომდინარეობს. როგორც ცოდვა გადადის თაობიდან თაობაზე, ისევე გადაეცემა თაობიდან თაობას გენეტიკური დაავადებებიც – აი, ეს არის მთავარი პრინციპი. ამის გაცნობიერების შემდეგ, ცალკეული დაავადების სახეობები, მეორეხარისხოვანია. მე მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: არ არსებობს უკურნებელი დაავადება! ყველა სნეულება განკურნებადია. უბრალოდ, უნდა ვიცოდეთ მისი განკურნების წესი. ვისწავლოთ სუნთქვა, პულსის მართვა, ენერგიის მიმართვა დაავადების კერაზე, უნდა ვიცოდეთ ჩვენს შინაგან ორგანოებთან კონტაქტის დამყარება, შეგვეძლოს აზროვნების მართვა და დამორჩილება, ამისთვის კი, ისევ და ისევ ცოდნაა საჭირო. „შეიცან თავი შენი“ – ეს არის მზამზარეული რეცეპტი, რომლის ცხოვრებაში გატარებითაც, ჩვენი ყოფა სულ სხვაგვარი გახდება. არაფერია ადამიანის გონისათვის მიუღწეველი, მთავარია ძლიერი ნება, შრომა და ვარჯიში. აი, ამაში გვეხმარება „აგნი-იოგას“ რერიხისეული (ინდოეთში მცხოვრები რუსი მხატვარისა და ფილოსოფოსის ნიკოლაი რერიხის – ავტ.) მოძღვრება, რომლის შესწავლის შემდეგაც, მრავალმა ადამიანმა აღიდგინა დაკარგული ჯანმრთელობა.

— ყველანაირი იოგა რატომღაც ბუდიზმთან ასოცირდება. „აგნი-იოგაც“ არ მგონია გამონაკლისი.

– ეს ძალიან დიდი შეცდომაა. იოგა არ არის რელიგია, ეს არის ფილოსოფიური მოძღვრება სწორი ცხოვრების წესზე. მე მართლმადიდებელი ვარ, ქრისტიანი, ქართველი. მსოფლიოს ყველა რელიგიას ზედმიწევნით ვიცნობ, მაგრამ მთელი ჩემი ცხოვრება მხოლოდ ერთ, მართლმადიდებლურ რელიგიას ვემსახურები და დღემდე ვსწავლობ მას. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. თავაძეები ხომ ისტორიულად, ეკლესიის მგალობელი გლეხები იყვნენ. „აგნი-იოგა“ „ხათჰა-იოგასგან“ განსხვავებით, ფიზიკურ ვარჯიშს გამორიცხავს. ეს არის

სულიერება და გონებრივი ვარჯიში ერთად. გულის აზროვნების შესწავლა და სხეულის, მისი შინაგანი ორგანოების აზრობრივი ფლობა.

— გულის აზროვნება? როგორც ცნობილია, ტვინი აზროვნებს და გულს ტვინისგან გადაეცემა იმპულსები.

— არ არის სწორი მიდგომა. ტვინი მექანიზმია, ისეთივე მექანიზმი, როგორც, მაგალითად, კომპიუტერი. გული კი, შეიძლება პროგრამისტს შევადაროთ. გულიდან ტვინისკენ მიდის 16-ჯერ მეტი სიგნალი, ვიდრე — ტვინიდან გულისკენ. გული აზროვნებს, მისგან მომდინარეობს ემოციები: სიხარული, სიყვარული, შიში და ა.შ.

— არატრადიციული მედიცინალა დარჩა რეფორმის გარეშე და აგერ ისიც — გადატრიალება გულის სასარგებლოდ...

— მიმაჩნია, რომ მეთოდი, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ მკურნალობისას, უფრო ტრადიციულია, ვიდრე ის, რაც დღეს ტრადიციულ მედიცინაში მოიაზრება. თავს ტრადიციული მედიცინის მიმდევრებად მივიჩნევთ. ჩვენი საქმიანობა, კარგად დავიწყებული ძველის ხელახალ აღმოჩენას ჰგავს. ჩემი მოსწავლეები საზღვარგარეთ დიდი წარმატებით მუშაობენ და სიმართლე გითხრათ, მე მსოფლიო აღიარების მოლოდინში ვარ.

— მაინც რომელი დაავადებების განკურნება შეგიძლიათ?

— ვკურნავთ ყველაფერს სურდოდან — შიდსამდე! შეგვიძლია სისხლის რეზუსის შეცვლა. გვაქვს ავთვისებიანი სიმსივნეების განკურნების უამრავი მაგალითი. განვკურნეთ შიდსით ინფიცირებული ადამიანები. დღეს მათი სისხლი, რომელიც შიდსისა და იმუნოლოგიის ცენტრში გამოსაკვლევად ინკოგნიტოდ შევაგზავნეთ, ვირუსისგან თავისუფალია. ამის ღიად გაკეთება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. იმიტომ რომ, ჩვენი მცდელობის მიუხედავად, ვერ შევძელით შიდსის ცენტრთან თანამშრომლობა. თუ რატომ — ამის განმარტებისაგან თავს შევიკავებ. არ მინდა, ჩემს განცხადებას ხელახალი აჟიოტაჟი და დაპირისპირება მოჰყვეს.

— შეგიძლიათ შიდსისაგან განკურნებული თუნდაც ერთი პაციენტი დაგვისახელოთ?

— მაგალითად, ხვიჩა წიკლაური. მასზე გაზეთი „კვირის პალიტრაც“ წერდა.

ამონაწერი ხვიჩა წიკლაურის საუბრიდან:

„30 წლის ასაკში ოდესაში დავინფიცირდი. 1995 წელს იქვე მითხრეს, რომ შიდსის დაწყებითი სტადია მქონდა. მერე თელავში ჩამოვედი. არ მჯეროდა, რომ მე შეიძლებოდა ეს საშინელება დამმართოდა. თელავშიც ივივე მითხრეს. გამოკვლევების შემდეგ, დამისვეს დიაგნოზი — შიდსი! ანალიზები 4 სხვადასხვა მეთოდით გამოიკვლიეს და დადებითი პასუხი მიიღეს. ამას წყალი არ გაუვიდოდა — ინფიცირებული ვიყავი! ჯერ სახლიდან გავიქეცი. მერე თავის ჩამოხრჩობა მინდოდა... ვერ გავბედე, რადგან დედაჩემი შემეცოდა. პირველი პასუხები დავხიე, სხვამ არ გაიგოს-მეთქი. დედამ მაინც გაიგო ამის შესახებ ახლობლებისაგან... ტირილი დაიწყო...

— რას უჩიოდით, რა გტკიოდათ?

— სისუსტე მქონდა, ნევროზი, თავბრუსხვევები, წონასწორობას ვკარგავდი. გამონაყარი მქონდა, ყურში არ მესმოდა. მითხრეს, მოკვდებიო. აპრილში ჩემს სიკვდილს ელოდნენ... უიმედოდ ვიყავი. სწორედ ამ დროს შევიტყვე, რომ თამაზ თავაძის მოსწავლე, სიმონ ღულელაური „აგნი-იოგას“ მეთოდით კურნავდა პაციენტებს. მასთან მივედი. ვიფიქრე, თავად ის ხომ კიბოსგან განიკურნა, იქნებ მეც მეშველოს-მეთქი. ეს ერთადერთი იმედი იყო. სხვა გზა აღარ მქონდა. სიმონი თავის ოფისში ვერ მიმკურნალებდა, რადგან სხვა პაციენტები მერიდებოდნენ. ცალკე ბინა დაიქირავა და ჩემს სნეულებასთან ბრძოლა დაიწყო. შედეგმაც არ დააყოვნა.

— რამდენ ხანში მოგარჩინათ?

— სამ თვეში. ჯერ სმენა დამიბრუნდა, შიშები გამიქრა, ძილიც ნორმალური გამიხდა, ღვიძლის პრობლემა მომეხსნა, წელი აღარ მტკიოდა, გამონაყარმაც გამიარა... ჩირქოვანი პროცესიც ჩაქრა.

— ახლა როგორ გრძნობთ თავს?

— ძალიან კარგად!“

— ბატონო თამაზ, რა დაავადების მქონე ადამიანთან გიჭირთ მუშაობა?

— აქ დაავადებას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია, ავადმყოფის სულიერი მდგომარეობა და ფსიქიკა. ყველაზე რთული — მშიშარა ადამიანთან მუშაობაა. შიში თავისთავად დაავადებაა და მისი დაძლევის გარეშე წარმოუდგენელია რაიმე დაავადებისაგან განკურნება. ზუსტად ამ კითხვას მიესადაგება იგავი, რომელსაც ჩემს პაციენტებს ვუყვები ხოლმე:

ხვიჩა წიკლაური: დამისვეს დიაგნოზი — შიდსი! უიმედოდ ვიყავი. სწორედ ამ დროს შევიტყვე, რომ თამაზ თავაძის მოსწავლე, სიმონ ღულელაური „აგნი-იოგას“ მეთოდით კურნავდა პაციენტებს...

ბრძენს გზად მიმავალი შავი ჭირი შეეყარა. სად მიდიხარო?! — ჰკითხა ბრძენმა. ქალაქს, ათასი ადამიანი უნდა მოვკლაო, — უპასუხა ჭირმა.

შავი ჭირი ქალაქში შევიდა და მოსახლეობას დაერია. გარკვეული დროის შემდეგ ქალაქიდან დაბრუნდა და კვლავ ბრძენს გადაეყარა.

აკი ათასი უნდა წაგეყვანა და შენ მთელი ქალაქი ამოგიწყვეტიაო! — უსაყვედურა მას ბრძენმა.

არა, არა! — გაისმა შავი ჭირის შეშფოთებული პასუხი. — მე ათასი მინდოდა და ათასი მიმყავს. დანარჩენი კი შიშმა გაწყვიტაო!

ასეა, თუ ადამიანი შიშით არის შეპყრობილი, მის თვალთახედვას საცოდავი გამომეტყველება და შესაბამისი გამოსხივება აქვს, რაც, თავის მხრივ, მდგომარეობას აუარესებს.

— მედიტაციის დროს შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სეანსზე დამსწრენი ჰიპნოზის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ...

— არა, ისინი არც ჰიპნოზის ქვეშ იყვნენ და არც შთაგონების — უბრალოდ, ვარჯიშობდნენ. აზროვნების კონცენტრაციას კი, თვალების დახუჭვა ხელს უწყობს. ჰიპნოზის დროს სხვა ადამიანი მართავს ხალხს, ამ შემთხვევაში კი, თვითონ მართავენ საკუთარ თავს.

საინტერესოა რას გრძნობენ ისინი ამ დროს?

ჩანაწერები პაციენტების საუბრიდან:

პაციენტი პირველი:

— მედიტაციის დროს გული ყურადღების ქვეშ უნდა იყოს. გულში უნდა შეაღწიო. იქ მე ვიღაც მელაპარაკებოდა. სამოთხეს რომ ვეძახით, მგონი იქ ვიყავი.

— სიკვდილზე აღარ ფიქრობთ?

— რა სიკვდილი?!. როცა იქ შეხვალ, იქ სიკვდილს რა უნდა?! იქ არის სამოთხე. ფერი დავინახე.

— რა ფერი?

— გაკაშკაშებული.

პაციენტი მეორე:

— ჯერ დავინახე წითელი ფერი, შემდეგ ის გათეთრდა. საოცარი გრძნობა დამეუფლა... ერთი ამბავი მახსენდება. მაშინ იოგას არ მივსდევდი. ჩვეულებრივად ვცხოვრობდი და უცებ დედა გამიხდა ავად. კვდებოდა. მაშინ ვთქვი: „უფალო, დედა მაჩუქე“ და გულზე მოვახდინე კონცენტრაცია. მაშინ არ ვიცოდი, რა გავაკეთე. უცბად, რაღაც გამოსახულება წარმომიდგა და მითხრა: „ნუ გეშინია, დედაშენია“. სასწაული მოხდა. გალურჯებულ დედას ფერი მოუვიდა და გადარჩა. ეს რაღაც წამებში მოხდა. დედაჩემი გაცოცხლდა. რწმენა უდიდესი რამ არის ადამიანისათვის. გულმა უნდა გაიღვიძოს. იგი არ უნდა დაამძიმოს ეჭვმა. ეჭვმა, რომ ამ სამყაროში სასწაულები აღარ ხდება.

პაციენტი მესამე:

— ბავშვობიდან სუსტი ჯანმრთელობა მქონდა. ადვილად ვიღლებოდი, ვცივდებოდი. გულის მანკიც აღმომაჩნდა. 18 წლის ასაკში უკვე ჰიპერტონიკიც გავხდი. 41 წლის ასაკში კი ჩემს დაავადებებს მკერდის კიბოც დაემატა, რომელმაც სულ მთლად გამანადგურა. გავიკეთე ოპერაცია, ჩამიტარეს ქიმიოთერაპიის 5 კურსი. გადიოდა თვეები და მე უფრო და უფრო ცუდად ვხდებოდი. ჩავვარდი ლოგინად და შემიპყრო სიკვდილის შიშმა.

ძალიან მინდოდა სიცოცხლე. მენანებოდა ქმარ-შვილი და 80 წელს გადაცილებული ჩემი მშობლები, რომლებსაც ვაჟიშვილი კიბომ უკვე ხელიდან გამოაცალა. ჩემი მდგომარეობა შეცვალა თამაზ თავაძის მიერ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში ნათქამმა ფრაზამ: „როცა გგონია, რომ ყველაფერი დამთავრდა, მაშინ დაიწყე თავიდან!“ — ამ სიტყვებმა ჩემში სასწაული მოახდინა: ტანჯვით წამოვდექი ლოგინიდან და ბატონ თამაზს მივაკითხე. ვარჯიში დიდი რწმენით და იმედით დავიწყე. პირველად შიშის გრძნობა დავძლიე. სიტყვა „კიბო“, რომელიც ერთი წამითაც არ მშორდებოდა, უკვე მავიწყდებოდა. მას შემდეგ უკვე რამდენიმე წელი გავიდა. დღემდე ვვარჯიშობ. ასეთი ბედნიერი და ჯანმრთელი არასოდეს ვყოფილვარ.

— ბატონო თამაზ, როგორ ფიქრობთ, თქვენი პაციენტები რეალური სამყაროსგან მოწყვეტილად ხომ არ ცხოვრობენ?

— რეალურ ცხოვრებას ადამიანი შეიძლება მხოლოდ ჰიპნოზის გავლენით მოსწყდეს. „აგნი-იოგა“ არ არის არც ჰიპნოზი და არც შთაგონება. ეს რაღაც უფრო მეტია. სიცოცხლისათვის ბრძოლის დროს ადამიანები საოცარ თვისებებს ავლენენ. სარეცელს მიჯაჭვული, ფიზიკურად დაუძლურებული ადამიანები სიკვდილთან პირისპირ უფრო მეტ გმირობას სჩადიან, ვიდრე მეომრები ბრძოლის ველზე.

— მე მოვისმინე ისიც, რომ პაციენტების ნდობის ფაქტორს, წარსულში თქვენს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებიც განაპირობებს. რამდენადაც ვიცი, საკუთარი თავი განიკურნეთ მე-4 სტადიის ავთვისებიანი სიმსივნისაგან და ინფარქტიც გადატანილი გქონიათ...

— დიახ, ჩემი ცოდვების გამო, მეც ისევე დავავადდი, როგორც სხვა მრავალი. მეტასტაზები თავში მქონდა გასული. 1982 წლის იანვარში კი, როდესაც პლანეტების მდგომარეობის გამო, უამრავი საბედისწერო შემთხვევა მოხდა, მეც მძიმე ინფარქტი გადავიტანე. სტიმულატორის ჩადგმას აზრი აღარ ჰქონდა. მომიყვანეს სახლში, ჩემს საწოლთან, რომლიდანაც წამოდგომა აღარ შემეძლო, ახალი, იაფფასიანი ფეხსაცმელი დააწყვეს... მეზობელ ოთახში დედაჩემი ქვითინებდა და ჩუმად მიმზერდა ოდნავ გაღებული კარიდან — ისე, რომ არ დამენახა მისი სასოწარკვეთილება. დავუძახე, მოვიდა ჩემთან, გვერდით დადგა. მე მივმართე დედას: „დედა! ხომ მაინც ვკვდები, მოდი გულზე ხელი დამადე და იავნანა მიმღერე...“

თვალები გაუთბა, საწოლზე ჩამომიჯდა, შრომისაგან გაუხეშებული მოხუცებული ხელი გულზე დამადო და... 43 წლის შემდეგ, დავიწყებული იავნანა კვლავ ჩამეღვარა გულში...

რა თქმა უნდა, იმწამსვე არ წამოვმხტარვარ ლოგინიდან. ჯერ ხანგრძლივი ავადმყოფობის პერიოდი გავიარე, მაგრამ ის იყო და ის, — დაიწყო ჩემი გამოჯანმრთელება, ხელახალი სწავლა-ძიება საკუთარი თავის შესაცნობად.

ამით იმის თქმა მინდა, რომ არსებობს გულის კულტურა. თუ რაიმეს ვეხებით, შევეხოთ სიყვარულით. თუ რაიმეს ვუმზერთ — შევხედოთ სიყვარულით, თუ ვინმეზე ვსაუბრობთ, ვისაუბროთ სიყვარულით. რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ, ვაკეთოთ სიყვარულით. უნდა ვიცოდეთ, რომ არსებობს უარყოფითი და დადებითი ემოციების სამყარო. უარყოფითი ემოციების სამყარო იწყება დაღლილობის, წყენის, შურის გრძნობით და მთავრდება შიშით და სიძულვილით. დადებითი კი, იწყება სიმშვიდით, სიკეთით, მიმტევებლობით — და სრულყოფილებისკენ მიემართება. ■

არსებობს გულის კულტურა. თუ რაიმეს ვეხებით, შევეხოთ სიყვარულით. თუ რაიმეს ვუმზერთ — შევხედოთ სიყვარულით, თუ ვინმეზე ვსაუბრობთ, ვისაუბროთ სიყვარულით. რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ, ვაკეთოთ სიყვარულით

„ჩემი 15 წლის შვილის სისხლით უსინდისოდ ვაჭრობენ...“



ბრალდებული ნიკა გოგიტაშვილი

არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულს მოსამართლეები მესამედ განიხილავენ

მეგი ცანავა

1999 წლის 30 აგვისტოს, თბილისში, თეოდორე მღვდლისა და ევდოშვილის ქუჩების გადაკვეთასთან სამ არასრულწლოვანს — 15 წლის ნიკა გოგიტაშვილს, 14 წლის დათო მიქაძესა და 15 წლის დათო ენდელაძეს ჩხუბი მოუხდათ. მიზეზი, როგორც გაირკვა, ის გახლდათ, რომ შემთხვევამდე ერთი თვით ადრე, ნიკამ, რომელიც მამამისის ავტომანქანას მართავდა, თავის ნაცნობსა და სკოლელს — დათო მიქაძეს მანქანით გასეირნებაზე უარი უთხრა, მერე კი შეაშინა, თითქოს დაჯახებას უპირებდა და მანქანით მას ახლოს ჩაუქროლა... ნიკას ასეთი საქციელით გაბრაზებულმა დათომ მასთან საქმის გარჩევა გადაწყვიტა. სწორედ იმ საღამოს, დაახლოებით 11-ის ნახევრისთვის, მან თავისი კლასელის — დათო ენდელაძის თანდასწრებით ნიკას პასუხი მოსთხოვა. კამათი ჩხუბში გადაიზარდა. ურთიერთშელაპარაკებაში დათო ენდელაძეც ჩაერია. გოგიტაშვილის მიერ მოქნეულმა დანამ კი, რომელიც ამ უკანასკნელმა ჩხუბისას ჯიბიდან ამოიღო, სწორედ ენდელაძე იმსხვერპლა.

დათო ენდელაძე სასიკვდილოდ დაიჭრა. ოპერაციის მიუხედავად, ის საავადმყოფოში გარდაიცვალა. დათოს სხეულზე ექსპერტებმა სამი ჭრილობა — ორი გულმკერდისა და ერთი მარცხენა მხარის არეში დააფიქსირეს.

რაც შეეხება დათო მიქაძეს, გოგიტაშვილმა ივი მარცხენა ბარძაყში დაჭრა. თუმცა, ჭრილობა მსუბუქი აღმოჩნდა და მიქაძის ჯანმრთელობას ამით საფრთხე არ დამუქრებია.

ნიკა გოგიტაშვილი შემთხვევის ადგილიდან შინ მივიდა, დანა მან მეორე დღეს მტკვარში გადააგდო. მომხდარის შესახებ მამას ყველაფერი უამბო. როცა შეიტყვეს, რომ დათო ენდელაძე გარდაიცვალა, მშობლებმა შვილი პოლიციაში მიიყვანეს.

ამ დანაშაულისთვის ნიკა გოგიტაშვილს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ განაჩენი ორჯერ გამოუტანა: პირველად მოსამართლე ჩხეიძემ, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებისთვის, მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. პროკურატურის მიერ განაჩენის გასაჩივრების შემდეგ, იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლემ — კვარაცხელიამ გოგიტაშვილს ორი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მსჯავრდებული ამჟამად, უკვე მესამედ, განაჩენს საოლქო სასამართლოსგან ელის. მისი საქმის ხელახალი განხილვა, როგორც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა პროკურატურამ, ასევე დაზარალებულის — მოკლულის ოჯახის ინტერესების დამცველმა ადვოკატმაც მოითხოვა. ისინი სასამართლოს ორივე განაჩენს უსამართლოსა და უკანონოს უწოდებენ.

პროკურატურის პოზიციით, ნიკა გოგიტაშვილმა დათო ენდელაძის მკვლელობა წინასწარი განზრახვით ჩაიდინა. „ჯიბიდან მან ამოიღო დანა და განზრახ მოკვლის მიზნით დაარტყა ენდელაძეს სიცოცხლისათვის უმნიშვნელოვანეს ორგანოში — გულმკერდის არეში... მანვე აღნიშნული ჩხუბის დროს, ენდელაძისთვის დანის დარტყმის შემდეგ, დანა მოუქნია მიქაძესაც, რომელიც დაჭრა მარცხენა ბარძაყის წინა ზედაპირზე...“ — წერია პროკურატურის მიერ საოლქო სასამართლოსადმი მიმართულ სააპელაციო საჩივარში.

თავად ნიკა გოგიტაშვილმა, პოლიციაში გამოცხადებისთანავე, დანაშაული აღიარა. მან განაცხადა, რომ დანით, რომელიც იმ დღეს ჯიბეში ჰქონდა, რამდენჯერმე ჩარტყმით დათო ენდელაძე მართლაც დაჭრა. თუმცა, წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ისიც დაამატა, რომ ენდელაძემ და მიქაძემ მას ცემა დაუწყეს, ის კი იძულებული გახდა, ამ დანით თავი დაეცვა. პროკურორი და ადვოკატი აცხადებენ, რომ სასამართლომ ორჯერვე გოგიტაშვილის სწორედ ეს ჩვენება გაიზიარა, ხოლო საქმეში არსებულ სხვა დეტალებს, რაც, მათი თქმით, ბრალდებულს განზრახ მკვლელობაში ამხელს, მოსამართლეებმა ყურადღება არ მიაქციეს. კანონი განზრახ მკვლელობისთვის, თუკი ასეთ დანაშაულს 18 წლამდე ასაკის პიროვნება ჩაიდენს, სასჯელის უმაღლეს ზომად ათი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში, პროკურორმა ნიკა გოგიტაშვილის დასასჯელად, ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

ქეთევან კურცხალია, მოკლულის დედა:

„ჩემს შვილს ეს უბედურება სრულიად შემთხვევით, უსამართლოდ დაატყდა თავს. იგი არაფერ შუაში არ იყო, არც მიქაძესთან ჰქონდა საჩხუბარი რამე და არც გოგიტაშვილთან.

იმ დღეს სოფლიდან ჩამოვედით. საღამოს სარდაფში ქილებს ვალაგებდი, დათუნა მოვიდა და მითხრა: გავალ, კლასელებს მოვინახულებ და მალე დავბრუნდებიო. მე ვთხოვე — არ დაიგვიანო, დედა, მალე მოდიმეთქი... მერე შინ შებრუნებულა, უბანავია, იმ დღეს ბაზრობაზე ახალი პერანგები უყიდია, ჩაუცვამს, გამოპრანჭულა და წასულა... იმდენად მოსიყვარულე, თბილი ბავშვი იყო, რომ მეგობრების უნახაობას დიდხანს ვერ ითმენდა. მთელი უბნისა და სკოლის ბავშვები ჩემს სახლში ისხდნენ ხოლმე. ერთხელ, მეზობელი შემოვიდა და ამდენი ბავშვი რომ დაინახა, უთხრა: რა იყო, რა მოგვიდათ, სულ აქ რომ ხართ, წადით თქვენ-თქვენს სახლებშიო... ჩემმა დათუნამ კი უპასუხა — თაფლი მისვია, თაფლიო...

საერთოდ, ტანად პატარა გახლდათ და მისი მეგობარი გოგონები მოფერებით „პაწოს“ ეძახდნენ. ბიჭები — „ენდელას“, რახან გვარად ენდელაძე იყო. იმ ზაფხულს კი სოფელში იმხელა გაიზარდა, ისე გამაღლდა, რომ თვალს არ ვუჯერებდი. მეზობლებს თურმე ვერ უცვნიათ, მერე ამბობდნენ — რას ვიცნობდით, ისე გაზრდილა და გალამაზებულა დათუნაო...

დათო მიქაძეს მეც ვიცნობდი, ნიკა გოგიტაშვილს კი — არა. იგი ჩემს შვილთან სახლში არასოდეს მოსულა. როგორც ჩანს, დათუნას მასთან უბრალო ნაცნობობა აკავშირებდა.

როცა საკმაოდ მოსაღამოვდა და დაბნელდა, მე ისევ სახლს ვალაგებდი. მთელი ყურადღება ამ საქმისკენ მქონდა მიმართული, ამიტომ ბავშვის არყოფნა არც შემიმჩნევია, იგი უკვე შინ მეგულებოდა. ამასობაში მეზობელმა დამიძახა — დედაჩემი შეუძლოდ გახდაო, და მასთან ჩავედი. თავს კარგად მეც ვერ ვგრძნობდი, გული თითქოს რაღაც ცუდს მიგრძნობდა... შინ რომ მივბრუნდი, უკვე ღამის 12 საათი იქნებოდა. ქმარს ვკითხე (იგი მეზობელთან ერთად ტელევიზორს უყურებდა) — დათუნა სად არის-მეთქი? რა, შენთან არ არისო? — აქეთ მკითხა გაკვირვებულმა. მაშინ ავფორიაქდი, ქუჩაში გავედი, მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ბავშვი ვერსად ვნახე. შინ რომ შევბრუნდი, ჩემი და გამოვარდა — საავადმყოფოდან დარეკეს, დათუნა დაუჭრიათო...

რა თქმა უნდა, ყველანი მაშინვე საავადმყოფოში გავიქეცით. დათუნა რეანიმაციულ განყოფილებაში ჰყავდათ, ექიმებმა არ შეგვიშვეს, — კომაშიაო... ცოტათი გონს რომ მოვიდა, ვნახეთ. ერთი მხრიდან მე დავყურებდი თავზე, მეორე მხრიდან — დეიდამისი. ჩემმა დამ ხელი რომ შეახო, წამოიყვირა — ხელს ნუ მკიდებ — მტკივაო... ერთი ჭრილობა ისეთი პატარა იყო, მაშინ ვერც კი ვიფიქრებდი, ის თუ შეიწირავდა ჩემი დათუნას სიცოცხლეს... თურმე, სასიკვდილო ყოფილა... ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ ვერაფერმა უშველა. მარცხენა მხარის გულმკერდის ზედაპირი ზოლად, დანით ჰქონდა გადასერილი: როგორც ჩანს, მოჩხუბრებს შუაში ჩაუდგა გასაშველებლად, გვერდულად, ხელებაწეული და დანამ ისე იმიტომაც გადასერა.

მოკლულის დედა ქეთევან კურცხალია

მოკლული დათო ენდელაძე

იმ დღეებში, მაშინ რა მოხდა, რისთვის ან ვისთან იჩხუბეს, არც მაინტერესებდა... მე ჩემი უბედურება მყოფნიდა, სხვა აღარაფერი მაღელვებდა. მხოლოდ შვილის დაკრძალვის შემდეგ გამოვკითხე დათო მიქაძეს ყველაფერი. მან მითხრა, დათო ჩემთან სახლში მოვიდა, მომინახულაო. მერე მიქაძისთვის მამამისს უთხოვია — ჯიხურში სიგარეტი მიყიდე და მომიტანეო. ბავშვები გარეთ რომ გამოსულან ლაპარაკლაპარაკით, პირდაპირ გზაჯვარედინისკენ წასულან, სიგარეტის ყიდვა არც გახსენებიათ. ვიდრე გზაჯვარედინამდე მივიდოდნენ, კორპუსთან, სადაც ნიკა გოგიტაშვილი ცხოვრობს, მისი ფანჯრისკენ აუხედავთ. ფანჯრიდან ნიკა და მისი და იხედებოდნენ თურმე. ამათ დაუძახიათ — ვა, ნიკა, როგორა ხარ, ჩამოდი, გავისეირნოთო... მიქაძემ მითხრა — იმწუთას მანქანის ამბავი არც გამხსენებია, გოგიტაშვილთან არანაირ ჩხუბს არ ვაპირებდიო... ძახილზე ნიკა ძირს არ ჩამოსულა. მიქაძეს და ჩემს შვილს გზა გაუგრძელებიათ. ცოტა ხანში გოგიტაშვილიც წამოსწევია მათ. სწორედ მაშინ დაუწყიათ მას და მიქაძეს მანქანის შესახებ საუბარი, რაც მალე ხმამაღალ კამათში გადაზრდილა. ჩემს შვილს, რომელიც თურმე მათგან მოშორებით იდგა, მათთვის დაუძახია — რა იყო, ბიჭო, რა გაყვირებთ, სირცხვილია, ხალხი დადისო... ნიკა ამაზე გაბრაზებულა და დათუნასთვის უხეშად უთქვამს — შენ ვინ გდიხარ, ჩვენს საქმეში რას ერევიო?! მაშინ დათუნა მას მიუახლოვდა თურმე და ნიკაში ხელი ამოარტყა — შენ ახლა ჭკვიანად იყავი, წესიერად ილაპარაკე, მე ცუდს არაფერს გკადრებ და შენც ნორმალურად მელაპარაკეო... ისევ გვერდზე გასულა. ნიკა კვლავ მიქაძეს მიბრუნებია და მისთვის უთქვამს — კი, მაგრამ შენ სასეირნოდ წამომიყვანე, თუ მანქანაზე საქმის გასარჩევადო?.. მიქაძეს უპასუხია — თუ გინდა, ვიჩხუბოთო. ამ დროს ორივე მათგანი წამომხტარა (საუბრის მომენტში იქვე, სკამზე ისხდნენ), პირველად გოგიტაშვილისთვის მიქაძეს გაურტყამს სახეში გაშლილი ხელი. მერე იმანაც დამარტყა წიხლი როგორღაც და წავიქეცი, — მითხრა მიქაძემ. ჩემი შვილი ამ დროს გამოქცეულა და შუაში ჩამდგარა, დანამაც მაშინ გადასერა პირველად, როგორც ჩანს. დათუნა რომ მოხრილა, მერე დანა მიქაძისთვის დაურტყამს გოგიტაშვილს და გაქცეულა. დათო მიქაძე ტრასაზე გამოვარდნილა და კინაღამ მანქანა დასჯახებია. მერე აღმოჩნდა თურმე, რომ იმ მანქანაში მისი უფროსი ძმის ნაცნობი — ვინმე ნინუა ივჯდა. როცა იგი სიტუაციაში გარკვეულა, მიქაძისთვის უთქვამს — შენ სახლში გაიქეცი, თავს მიხედე, ამ ბიჭს მე მოვუვლიო. პირდაპირ საავადმყოფოში წასულან.

სამწუხაროდ, დღეს მაშინდელ ნათქვამს მიქაძე უარყოფს. როგორც შევიტყვე, მიზეზი ის არის, რომ დღევანდელი „ქუჩური გაგებით“ თურმე მან გოგიტაშვილი არ უნდა „ჩაუშვას“. ხელს ალბათ სასამართლოში მას ამიტომაც არ ადებს. თუმცა, სასამართლოსთვის ობიექტური განაჩენის გამოსატანად ვიდეოფირზე დაფიქსირებუ-

ლი მასალებიც საკმარისი უნდა ყოფილიყო. კასეტაზე გოგიტაშვილის მიერ პოლიციაში ნათქვამი სიტყვებია დაფიქსირებული, იგი სრულიად გარკვევით აღნიშნავს: როცა ენდელაძეს დანა პირველად დავარტყი, იგი გაიღუნა, გავასწორე დანა და ისევ დავარტყიო. მოსამართლე კვარაცხელიამ ეს ვიდეოკასეტა საოლქო სასამართლოს რატომღაც არ გაუგზავნა.

გოგიტაშვილის ოჯახის წევრებმა ყველა გზას მიმართეს იმისთვის, რომ დამნაშავისთვის როგორმე განზრახ მკვლელობის მუხლი მოეხსნათ. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მათ ორივე მოსამართლე – ჩხეიძეც და კვარაცხელიაც მოისყიდეს. მათ მიერ გამოტანილი განაჩენი სწორედ ამაზე მეტყველებს. გარდა ამისა, გოგიტაშვილის ოჯახის წევრები მეც მემუქრებიან. ერთხელ ჩემთან დარეკეს და დაიბარეს: ჩვენს შვილს თავი დაანებოს, თორემ იმ ერთადერთ ქალიშვილსაც მოვუკლავთო...“

საოლქო სასამართლოში დასაკითხავად დაბარებული დათო მიქაძე პროცესზე არ გამოცხადდა. გაირკვა, რომ იგი ავტოავარიაში მოხვდა, რის გამოც ფეხი მოიტეხა. წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში მიქაძე მომხდარ ფაქტს ასე გადმოგვცემს:

„ნიკა ჩვენს დაძახებაზე ძირს არ ჩამოვიდა. ბნელოდა და სახეზე ვერ ვიცანი ის ახალგაზრდა, რომელმაც მხარი გამკრა. მასთან ამის გამო მომივიდა ჩხუბი. მე ძირს დავვარდი, ენდელაძეც მომეხმარა, ისიც ურტყამდა და მასაც ურტყამდა. იმ ახალგაზრდამ მე დამჭრა, მე ძირს დავვარდი...“ *ამის მერე რა მოხდა – მიქაძე ამბობს, რომ არ ახსოვს.*

თავად ნიკა გოგიტაშვილი დუმილის უფლებით სარგებლობს. გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში იგი წერს:

„... გზაში მიქაძე განუწყვეტლივ მეკითხებოდა – მანქანა რატომ არ გამიჩერე, მტყუანი ხარო. მე ვუხსნიდი – არ მეცალა, მამაჩემთან ერთად, მეზობლის ბინაში რემონტს ვაკეთებდით, მანქანით ნაგავი უნდა გადამეყარა-მეთქი. ამ საუბრით თევდორე მღვდლისა და ევდოშვილის ქუჩის გადაკვეთასთან მივედით. იქვე ხის სკამზე ჩამოვჯექით, მიქაძე და ენდელაძე აქეთ-იქიდან მომისხდნენ, მე შუაში ვიჯექი. ენდელაძე მიქაძეს გამოესარჩლა. მან კამათისას ხელი ამომარტყა ნიკაში, მეც დავაპირე ხელის გარტყმა, მაგრამ იმავე წამში კეფაში ფეხი ჩამარტყა მიქაძემ, რომელიც სკამზე იყო ასული. დარტყმისგან წინ გადავქანდი და მოვიხარე, მაშინ ენდელაძემ ზურგიდან ხელები მომხვია და გამაკავა, მე ენდელაძის მკერდქვეშ მოვექეცი. ენდელაძე ხელს არ მიშვებდა, ქვემოდან მუხლს მირტყამდა ყელისა და თავის არეში... მიქაძეც მცემდა. მე გრძნობას ვკარგავდი, გამახსენდა, რომ შარვლის ჯიბეში დასაკეცი ჯაყვა მედო. ამოვიღე, გავხსენი და მარჯვენა ხელი ზემოთ ავიქნიე ენდელაძისკენ... ვიგრძენი, რომ დანა რაღაც მაგარს მოხვდა, თან საჩვენებელი თითი მეტკინა. დანა ხელში შევატრიალე, ვნახე, რომ იგი მოიღუნა. რახან ენდელაძე ხელს არ მიშვებდა, მეორედ დავარტყი მას დანა ქვემოდან. ენდელაძემ დაიყვირა – ვაიო და ხელი გამიშვა. მაშინ დავინახე, რომ მიქაძე ჩემკენ მოდიოდა, ხელში ქვა ეჭირა და უნდოდა ჩემთვის ჩაერტყა. სწორედ ამ მომენტში თავდაცვის მიზნით დანა მასაც მოვუქნიე, მაგრამ სად მოხვდა, ვერ გავარჩიე...“

აღსანიშნავია, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში გოგიტაშვილის სხეულზე დაფიქსირებული დაზიანებები მისი გამეტებით ცემის ფაქტს არ ადასტურებს. ადვოკატის მტკიცებით, მას ტვინის შერყევის ნიშნებიც ჰქონდა, „გამომძიებლებმა სათანადო გამოკვლევის ჩატარების საკითხი არ დააყენეს“ – ამბობს იგი“. რაც შეეხება გოგიტაშვილის მიერ დანის ტარების ფაქტს, ადვოკატმა აღნიშნა, რომ ნიკას იგი ჯიბეში წინა დღეს ჩარჩა, როცა მამას მანქანის შეკეთებაში ეხმარებოდა. „თანაც, ცივი იარაღის ტარებას დღეს კანონი არ კრძალავს“ – დასძინა მან.

ლადო ნორაკიძე, ნიკა გოგიტაშვილის ადვოკატი: „მართალია, მე როგორც ადვოკატი, გოგიტაშვილის გამართლებას მოვითხოვდი, მაგრამ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი არ გამისაჩივრებია. ჯერ ერთი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ამას პროკურატურა გააკეთებდა. ასეც რომ არ მომხდარიყო, ალბათ მაინც არ გავასაჩივრებდით, რადგან საქართველოში სასამართლო პრაქტიკას გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ფაქტი არ ახსოვს. საქმეში უამრავი უკანონობაა, რასაც მოსამართლეებმა შეგნებულად აუარეს გვერდი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროკურატურის წარმომადგენლების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დამდგარიყო. სწორედ ამის გამო უდანაშაულო გოგიტაშვილი ორი წელია რაც ციხეში ზის“.

რაც შეეხება მოსამართლეთა მოსყიდვისა და გარდაცვლილის ოჯახისადმი მუქარის ფაქტს, გოგიტაშვილის მხარე ამას კატეგორიულად უარყოფს. მომდევნო სასამართლო პროცესი, სადაც არსებითი მოწმეების დაკითხვა მოხდება, საოლქო სასამართლოში 11 სექტემბერს შედგება. ■

„მკვლელის ოჯახის წევრები, ორნანიების ნაცვლად, სასჯიკად მცემენ...“ – აცხადებს გარდაცვლილის დედა

«ეს სიცრუეა, გარდაცვლილის დედა არ გვიცემია» – ირწმუნება მსჯავრდებულის და

მეგი ცანავა

ჟურნალი „გზის“ №26-ში თბილისში, „ბნელ ხიდთან“ 2000 წლის 15 თებერვალს ჩადენილი საშინელი მკვლელობის შესახებ ვწერდით. 23 წლის გოგიტა ზურაბიშვილი ხანჯლით სასიკვდილოდ დაჭრა მის მეზობლად მცხოვრებმა 25 წლის აბო მექერიშვილმა. სტატიის გამოქვეყნებიდან არ გასულა დიდი ხანი და მოკლულის დედა – დოდო ხუციშვილი რედაქციაში გვესტუმრა. უკვე საკმაოდ ხანში შესული შავოსანი ქალბატონი ტიროდა – დაღუპული შვილის გამო მოსთქვამდა და თან თავის სხეულზე საშინელ ჩალურჯებებსა და სისხლჩაქცევებს გვიჩვენებდა. მისი თქმით, ასე დაუნდობლად იგი დამნაშავის – მექერიშვილის ოჯახის წევრებმა სცემეს.

დოდო ხუციშვილი:

„სასამართლო სხდომებზე, დარბაზში არაფერს მეუბნებიან, მაგრამ გარეთ, ფოიეში გამოვალ თუ არა, მაშინვე სიტყვიერ შეურაცხყოფას მაყენებენ – რას არ მეძახიან, რა სიტყვებით არ მომმართავენ... მემუქრებიან –

აბოს თავი დაანებეო... იმის ნაცვლად, რომ დანაშაული მოინანიონ და თავი დახარონ, მე მლანძღავენ. რისთვის? იმისთვის, რომ მგათამ შვილმა 23 წლის ერთადერთი ვაჟი მომიკლა?..

წინა სასამართლო სხდომა რომ დამთავრდა, ქუჩაში გამოვედი და ოპერის თეატრის წინ, გაჩერებაზე დავდექი, ტრანსპორტს ველოდებოდი. შევნიშნე, რომ ორი ქალი ჩქარი ნაბიჯით ჩემკენ მოდიოდა, თუმცა, მაშინ ვერც ერთი მათგანი ვერ შევიცანი. როგორც მერე მივხვდი, მკვლელის დედა და და ყოფილან. უცებ მომვარდნენ და თავში, გვერდში და ხელზე რალაცით მირტყეს, არ ვიცი ზუსტად, რითი, — მე იმწუთას არაფრისთვის შემიხედავს. დარტყმისას ძირს დავეცი. სამწუხაროდ, იმ დროს გაჩერებასთან ბევრი ხალხი არ იდგა, რომ შეეჩერებინათ ისინი ან მომშველებოდნენ... ვიღაცამ წამომყენა, ის ქალები უკვე იქ აღარ იყვნენ. როგორც ჩანს, დავეცი თუ არა, მაშინვე წავიდნენ“.

ამ ფაქტს აბო მექერიშვილის ოჯახის წევრები კატეგორიულად უარყოფენ.

მზია მექერიშვილი, აბო მექერიშვილის და:

„რა თქმა უნდა, ეს სიცრუეა. არც ქუჩაში და არც სასამართლოს შენობაში, გარდაცვლილის დედას არ გამოვიდებივართ და მით უმეტეს, არ გვიცემია. სიმართლე გითხრათ, ახლაც, ამ წუთში თავს ძლივს ვიკავებ... ახალგაზრდა გოგო ვარ, ის კი საშინელი სიტყვებით მომმართავს, ყოველ პროცესზე მისგან ათასნაირ შეურაცხყოფას ვითმენთ...“

ფაქტია, რომ მოკლულის დედა სასტიკად არის ნაცემი. როგორც ამბობს, სხვა მტერი მას არა ჰყავს, „მით უმეტეს, სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სხვა არავინ გამომეკიდებოდა, თუ არა ამ მკვლელობასთან დაკავშირებული ადამიანი“, — გვითხრა მან.

დოდო ხუციშვილი ამ ფაქტთან დაკავშირებით მექერიშვილების წინააღმდეგ პროკურატურაში საჩივრის შეტანას აპირებს, სხეულზე არსებულ დაზიანებებზე კი ექსპერტიზის ჩატარებას მოითხოვს.

სასამართლო გამოძიების შედეგად, აბო მექერიშვილს გოგიტა ზურაბიშვილის განზრახ მკვლელობის ბრალდება დაუმტკიცდა. აღსანიშნავია, რომ პროკურატურა მას სხვა დანაშაულშიც სდებდა ბრალს: 2000 წლის 3 თებერვალს სათამაშო სახლ „ბინგოში“ თავისი მეგობრის ნაცნობს — აკაკი ჯიქიძეს, ჩხუბისას დანა, რომელიც იმ დღეს თან ჰქონდა, გულმკერდის არეში ჩაარტყა. მექერიშვილი შემთხვევის ადგილიდან მაშინვე მიიმალა. რაც შეეხება ჯიქიძეს, იგი დროული სამედიცინო დახმარების შედეგად გადარჩა. სასამართლომ პროკურატურას განსასჯელის მიმართ ეს ბრალდებაც დაუდასტურა. 16 ივლისს მოსამართლემ განაჩენი გამოაცხადა და აბო მექერიშვილს ჩადენილი დანაშაულებისთვის 19 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მზია მექერიშვილი:

„ბინგოში“ ჩხუბის ფაქტი რომ ჩემს ძმას პროკურატურამ განგებ მაწერა, ცხადია. მაშინ აბო ბაკურიანში იყო წასული და თბილისში საერთოდ არ იყო. სახლში სწორედ 15 თებერვალს ჩამოვიდა, როცა ზურაბიშვილთან მოვიდა ჩხუბი. სამწუხაროდ, მისი ბაკურიანში ყოფნის ფაქტს ვერ ვამტკიცებთ. იქ სასტუმროში იყო, დირექტორი ყველას გვარს ხომ არ ჩაიწერს, ვინც იქ გაჩერდება?! რაც შეეხება ზურაბიშვილის მკვლელობას, გავრცელდა ხმები, თითქოს, მე ლევან ჩულოევთან რომანი მქონდა. მერე ისიც თქვეს — ზურაბიშვილთან ჰქონია სასიყვარულო ურთიერთობაო. ეს თურმე ჩემს ძმას არ მოსწონებია და ჩხუბიც ამიტომ დაუწყია მათთვის... არც ჩულოევთან, არც ზურაბიშვილთან, მე მსგავსი ურთიერთობა არ მქონია. ზურაბიშვილს, საერთოდ, მხოლოდ გამარჯობით ვიცნობდი. სინამდვილეში, ჩულოევმა და ზურაბიშვილმა თავად დაუწყეს ჩემს ძმას „ძველბიჭური“ ლაპარაკი: შენ ვინ ხარ? რა ცხოვრებით ცხოვრობო? აბოს ასეთი შეკითხვები არ მოსწონებია და საკადრისი პასუხი გაუცია მათთვის. მისი დამცირება მაინც არ შეწყვიტეს თურმე. იმ შეურაცხყოფას, აგდებულ მიმართვებს ვერავინ მოითმენდა... ჩხუბი ატყდა და ამას მოჰყვა ყველაფერი...“

მოკლულის დედა დოდო ხუციშვილი რედაქციაში გვესტუმრა და დაიჩივლა: მსჯავრდებულის დედამ და დამ მცემესო, თან სხეულზე სისხლჩაქცევებს გვიჩვენებდა...

ლევან ჩულოევმა სასამართლოში მექერიშვილის ჩვენება არ დაადასტურა. მისი თქმით, მკვლელობის ადგილას იგი სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა, სწორედ მაშინ, როცა მექერიშვილი ზურაბიშვილს ხანჯალს ურტყამდა...

■

16 საუკუნე ჯისოსეგს ჟილეგ

ყველა ქვეყანა როდი დაიკვეხნის ისეთი ხანგრძლივი საპატიმრო ვადებით, როგორიც სამხრეთ აფრიკას აქვს დაწესებული. რამდენიმე ხნის წინ, ამ რესპუბლიკის ერთ-ერთ მოქალაქეს — არც მეტი, არც ნაკლები — 1640 წლით თავისუფლების აღკვეთა მოუსაჯეს. 50 წლის ვიტო ასანტე, ერთ-ერთი სამხრეთაფრიკული ბანკის ყოფილი მმართველია, მისი დანაშაული კი — ყალბი საინვესტიციო სერტიფიკატების გამოშვებაა, რომლის საერთო ღირებულება 350 მლნ რანდს (43,5 მლნ დოლარს) შეადგენდა. ასანტე სულ 108 თაღლითობისთვის გაასამართლეს და თითოეულში საშუალოდ, 15-15 წელი მოუსაჯეს. ბოლოს დავძენთ, რომ, ადგილობრივი კანონების თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის შანსი ყოფილ ბანკირს მხოლოდ 24 წლის შემდეგ მიეცემა.

■



სპეცსამსახური მილიარდის შეკონწიებას ცდილობს

ახალი კინობოევიკის — „პიკის საათი 2“, ლას-ვეგასში ერთ-ერთი ეპიზოდის გადაღებისას 1 მილიარდი დოლარის ჰაერში გაფანტვა იმით დასრულდა, რომ კუპიურები ხალხმა დაიტაცა. კინოკომპანიის დაკვეთით დამზადებული დოლარები იმდენად ხარისხიანი აღმოჩნდა, რომ უმალ ბრუნვაში მოექცა: იმ საღამოსვე დიდძალი თანხა ლას-ვეგასის გასართობ დაწესებულებებსა და მაღაზიებში დახარჯულა, მაგრამ ამაზე დიდი უბედურება ის არის, რომ მილიარდის მნიშვნელოვან ნაწილს ქალაქის ფარგლებიც გადაულახავს და აშშ-ის სპეცსამსახურები ახლა იმაზე იმტვრევენ თავს, როგორ მიაგნონ და ამოიღონ ეს უზარმაზარი ფულის მასა.

■

სენეგალში რომ დავბრუნდები, ეფექტურად თავსაც ქმკვე ვეძებოთ

ნატო ანთელავა 22 წლის გახლავთ. მიუხედავად მოკრძალებული ასაკისა, მან ბევრი რამ მოასწრო ცხოვრებაში. ვფიქრობთ, ამაში თქვენც დარწმუნდებით, როცა მის ინტერვიუს წაიკითხავთ.

დაჩი გრძელიშვილი

— მნიშვნელოვანი ცვლილებები ჩემს ცხოვრებაში სკოლის დამთავრების შემდეგ დაიწყო, როდესაც, 1996 წელს მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო ორგანიზაცია „როტარის“ გაცვლით პროგრამაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, პენსილვანიაში გავემგზავრე. იქ ერთი წლის განმავლობაში კოლეჯში ვსწავლობდი. ამერიკელებს საშუალო განათლება 12 კლასად აქვთ დაყოფილი, მეც მე-12 კლასი დავამთავრე.

ამერიკაში სწავლის გასაგრძელებლად დარჩენის სურვილი მაშინვე მქონდა, მაგრამ მამა გარდამეცვალა და იძულებული გავხდი, საქართველოში დავბრუნებულიყავი. აქ სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე. პარალელურად კი თარჯიმნად ვმუშაობდი, ჯერ სოროსის ფონდში, შემდეგ „იუ-ეს-აი-დი“-ის ფონდში. მოგვიანებით კვლავ გამიჩნდა შესაძლებლობა, ჩემი სურვილი ამესრულებინა — კონკურსში გასვლის შემთხვევაში, პენსილვანიის უნივერსიტეტი იქ სწავლისა და ცხოვრების სრულ დაფინანსებას მპირდებოდა. ასე მოვხვდი მეორედ ამერიკის შეერთებულ შტატებში, აღნიშნული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტოლოგიის ფაკულტეტზე.

როდესაც მეორე კურსზე ვიყავი, დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯის უნივერსიტეტში გადავედი, სადაც ექვსი თვის მანძილზე ვსწავლობდი, იქვე დავიწყე მუშაობა სტაჟიორად „ბი-ბი-სი“-ს საინფორმაციო სააგენტოში.

— როგორც ჩანს, ამერიკაში ერთი უნივერსიტეტიდან მეორეში გადასვლა და სწავლა საკმაოდ იოლია...

— რა თქმა უნდა. მთავარია, კარგი აკადემიური მოსწრება გქონდეს. იქაურ უნივერსიტეტებში ათასგვარი შიდა პროგრამა არსებობს, რომელიც სტუდენტების გაცვლას ითვალისწინებს. სურვილის შემთხვევაში, მონაწილეობას მიიღებ სპეციალურ გასაუბრებაში და ერთი წლის განმავლობაში ნებისმიერი ქვეყნის უნივერსიტეტში შეგიძლია ისწავლო, სადიპლომო ნაშრომი კი კვლავ პენსილვანიის უნივერსიტეტში დაიცვა... პირადად მე, ენის უკეთ შესწავლის მიზნით, რომელიმე ფრანგულენოვან ქვეყანაში მინდოდა წასვლა, ამიტომაც აფრიკაში, სენეგალში გავემგზავრე.

— დღესდღეობით რამდენ ენას ფლობ?

— ქართულსაც თუ ჩავთვლით, ხუთს: ვიცი ინგლისური, ფრანგული, რუსული და სენეგალის ადგილობრივი ენა — ვოლოფი.

— გამოდის, რომ, აფრიკაში ერთის ნაცვლად, ორი აგითვისებია...

— პირველი ოთხი თვის განმავლობაში სენეგალურ ოჯახში ვცხოვრობდი (სხვათა შორის, იქ ძალზე საინტერესო და უცნაური გამოცდილება შევიძინე) ასე რომ, სენეგალურ კულტურასთან ერთად, მათ ენასაც ვეზიარე. არც ისე რთულია, საკმაოდ ლოგიკური ენაა.

— საუბრისას საინტერესო და უცნაური გამოცდილება ახსენე...

— აფრიკაში ბევრი რამ ვნახე უცნაური და საინტერესო. სენეგალი ერთი ჩვეულებრივი აფრიკული ქვეყანაა, თავისი სიცხით, პრობლემებითა და გაჭირვებით, მაგრამ სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, რომ იქ უფრო მეტი იციან საქართველოზე, ვიდრე ჩვენში — აფრიკაზე. იქ საკმაოდ საინტერესო ხალხი ცხოვრობს, შეიძლება, ზომაზე მეტად პოლიტიზებულიც. აფრიკა უძახე და, იქაურმა ტაქსის მძღოლმა უფრო მეტი იცოდა საქართველოზე, ვიდრე ზოგიერთმა ამერიკელმა პროფესორმა...

სენეგალში ჩასვლის პირველივე დღეს ელდა მეცა — ასეთი გაჭირვება საქართველოშიც კი არ მენახა. თანაც, აეროპორტის საბაჟოს თანამშრომელს ჩემს პასპორტში რაღაც არ მოეწონა და რამდენიმე საათი აუტანელ სიცხეში, ერთ

პენსილვანიაში, კოლეჯში სწავლის დროს

აფრიკაში, სპილოს ძვლის ნაპირზე პირველად ჩასული, ტურისტულ ჯგუფში ჩავეწერე, რათა ქვეყანას უკეთ გავცნობოდი. მთელი დღის ხეტიალის შემდეგ, ჩვენი ჯგუფი მშვენიერი მდინარის პირას მოხვდა. სამინელი სიცხე იყო, იქაურობას „ცეცხლი ეკიდა“. რამდენიმე ტურისტს სულმა წასძლია და გიდს ჰკითხა, მდინარეში გაგრილება თუ შეიძლებაო. „როცა გნებავთ და სადაც გნებავთ“ – ასეთი იყო გიდის პასუხი და მთელი ჯგუფი ყიჟინით შევარდა მდინარეში... სულ რამდენიმე წუთში კი უარესი ყიჟინით გამოვარდა უკან, რადგან მდინარე უზარმაზარი ნიანგებით იყო სავსე. „მაგათ საჭმელს აჭმევენ და ადამიანებს არ ერჩიან“ – იგერიებდა გიდი აღშფოთებულ ტურისტებს

პატარა ოთახში მაყურყუტეს. მოგვიანებით, ჩემი შეხედულებები ამ ქვეყნის სასარგებლოდ შეიცვალა, თუმცა, ჩემთვის ბევრ უჩვეულო რამესთან მომიწია შეგუება. როგორც გითხარით, პირველი ოთხი თვე სენეგალურ ოჯახში ვცხოვრობდი. ჩვენი არ იყოს, იქაური ხალხიც ტრადიციების ერთგული მიმდევარია, ძალიან მჭიდროდ შეკავშირებული ნათესაობა და ოჯახური თანაცხოვრება აქვთ. სენეგალში „დეიდის“, „ბიძის“ ან „მამიდის“ ცნებები არ არსებობს, ყველა ნათესავ ქალს დედა ეწოდება, ნათესავ კაცს კი – მამა. როდესაც ჩემთვის „განკუთვნილ“ ოჯახში დავსახლდი, უცნაურობები პირველივე დღიდან დაიწყო – იქ ყველა ერთი ჯამიდან ჭამს... პირველად, როგორც ჩანს, „სტუმარს პატივი სცეს“ და ეს რიტუალი მაგიდაზე ჩატარდა. მეორე დღიდან კი, იატაკზე გადავინაცვლეთ: წრიულად ვსხდებოდით ხოლმე და შუაში ერთი უშველებელი ჯამი გვედგა, საიდანაც ყველა ხელით ჭამდა, ჩემ გარდა: მე კვლავ სტუმრის პატივისცემის ნიშნად, ხის კოვზი მომცეს...

— იქაური სამზარეულო თუ მოგეწონა?

– არც ისე. ჩვენთან შედარებით, ძალიან ღარიბია. ძირითადად, ბრინჯი და თევზი აქვთ, რომელსაც ათასნაირად ამზადებენ. სხვათა შორის, ოჯახში უმცროს-უფროსობა ძალიან მკაცრად არის დაცული – დიდი ჯამი რომ ვახსენე, მასში ბრინჯისგან მომზადებული კერძია ხოლმე, რომლის ცენტრშიც თევზი, ან ხორცის ნაჭერი დევს. საშინელ მკრეხელობად და უზრდელობად ითვლება, თუ დამოუკიდებლად მის აღებას და შეჭმას გაბედავ. მას ოჯახის უფროსი მოაციქნის ხოლმე პატარა ნაჭერს და დროდადრო დანარჩენებს გადაუგდებს...

— ჩვენებური კერძის მომზადება ხომ არ გიცდია?

– კი, ერთხელ ხაჭაპური გამოვაცხვე. რა თქმა უნდა, უსასრულო ბრინჯისა და თევზის შემდეგ ძალიან მოეწონებოდათ. ახლა რომ დავბრუნდები, აქედან წავიღებ რაღაც-რაღაცებს და საცივი მინდა აფრიკელებს გავასინჯო...

— „აფრიკელ აბორიგენებთან“ როგორი ურთიერთობა გაქვს? როგორც ბავშობაში წაკითხული წიგნებიდან მახსოვს, ერთ დროს, თეთრკანიანების ჭამაზეც არ ამბობდნენ უარს...

– რა ვიცი, ჯერჯერობით ასეთი სურვილი ვერავის შევატყვე. ძალიან მეგობრული და კეთილგანწყობილი ხალხია. როგორც გითხარით, საქართველოს შესახებ, ამერიკელებზე ბევრად მეტი იციან. ეს ალბათ იმითაც არის გამოწვეული, რომ ერთ დროს საბჭოთა კავშირთან მჭიდროდ იყვნენ „ჩახუტებულები“, აქტიური მიმოსვლა ჰქონდათ... ერთხელ, სემინარზე იქაური ჟურნალისტი მომიახლოვდა და ჩემთვის მოულოდნელად, სუფთა რუსულით მომესალმა. გაოცება ვერ დავმალე და ქართულად წამომცდა – ვაა, ეს რა მაგარიამეთქი. ჩემი გაოცება მაშინ უნდა გენახათ, ეს „ზანგი ჟურნალისტი“ ქართულზე რომ გადავიდა. რა თქმა უნდა, მთლად რუსულივით ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ შუაგულ აფრიკაში ქართულის მცოდნე რომ ნახო, ბედი ხომ უნდა? თანაც, იმ ქვეყანაში ჩასული პირველი ქართველი ვიყავი...

— ალბათ, არც აფრიკელ თაყვანისმცემელთა ყურადღება მოგაკლდებოდა...

– აფრიკაში თეთრკანიანი ადამიანი იშვიათობას აღარ წარმოადგენს, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთგვარი კომპლექსი ამასთან დაკავშირებით მაინც შემორჩა – ქუჩაში რომ მივდიოდი, ზოგიერთ უბანში პატარა ზანგი ბავშვები ამედევნებოდნენ ხოლმე სტვენითა და ძახილით „ტუბაბ, ტუბაბ“ – რაც ვოლოფზე „თეთრს“ ნიშნავს. თაყვანისმცემელს რაც შეეხება, მართლაც უამრავი მყავდა, ოღონდ უმეტესობა წმინდა პრაგმატული მოსაზრებით ხელმძღვანელობდა: თეთრკანიან გოგონასთან დაქორწინების საშუალებით აფრიკიდან თავის დაღწევა სურდათ. დავცინოდი ხოლმე – ტყუილად „ჩალიჩობთ“, ვაის გაეყრებით და უის შეეყრებით – საქართველო სენეგალზე დიდად კარგ დღეში კი არ არის-მეთქი...

— უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სხვადასხვა ჩვევისა და ტრადიციის მქონე ქვეყნების მონახულება მოასწარი. არ გაგიჭირდა?

– რა გითხრათ... მშობლები თავიდანვე ასე მზრდიდნენ – დამოუკიდებელ ცხოვრებას მაჩვევდნენ. თუმცა, თავდაპირველად ჩემთვის უცხო საზოგადოებაში თვითდამკვიდრება მაინც ძალიან გამიჭირდა, მაგრამ, მეორე მხრივ, როდესაც პირველად წავედი ამერიკაში, 16 წლის ვიყავი. ამ ასაკში კი, როდესაც ყველაფერს ჯერ ისევ ბავშვურად უყურებ, დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილება ძალიან ბევრს ნიშნავს...

— აფრიკაზე მეტი დრო ამერიკაში დაჰყავი. როგორ ფიქრობ, რას ნიშნავს „ცხოვრების ამერიკული სტილი“, რომლისაც ზოგ ქართველს ძალიან ეშინია და სძულს, ზოგი კი ნატრობს და აღმერთებს?

– ჩემთვის ერთიც მიუღებელია და მეორეც. ყველაფერი რეალურად უნდა შეაფასო, რათა ნებისმიერი მოვლენიდან საუკეთესოს ათვისება შეძლო. ცუდი და კარგი მხარე ყველაფერს აქვს და ასე ხელაღებით რამის გაღმერთება ან უარყოფა, ვფიქრობ, არასწორი უნდა იყოს...

შტატებში სამი წელია, რაც ვცხოვრობ. პირველად რომ ჩავედი, საქართველო საშინელ დღეში იყო – დღეს კიდევ რა გვიშავს... პირველი ამერიკული შთაბეჭდილება, აქაური სოციალური პრობლემების ფონზე, რა თქმა უნდა, მომნუსხავი იქნებოდა. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ თვალნათლივ დავინახე, რომ ერის ცხოვრებაში სოციალურზე ბევრად სერიოზული პრობ-

ლემა შეიძლება არსებობდეს — ისეთი, როგორიც ამერიკელებს აქვთ. სოციალურად, თითქოს ყველაფერი აქვთ: თავის დროზე მუშაობენ, თავის დროზე ჭამენ, თავის დროზე ისვენებენ... მაგრამ ამავე დროს, რაღაც აკლიათ. რაღაც ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი, რათა სრულყოფილი ცხოვრება ჰქონდეთ. ამ „რაღაცას" სიტყვებით ვერ გადმოსცემ: ჯერ საქართველოში უნდა იცხოვროს ადამიანმა და შემდეგ ამერიკაში, ეს რომ შეიგრძნოს...

— ალბათ იმის თქმა გინდა, რომ ამერიკა — ეს არის ქვეყანა ფესვების გარეშე... თუმცა, თავისი სიკეთე მასაც აქვს. თუნდაც, ამერიკული დემოკრატია და პიროვნების თავისუფლება...

— გეთანხმებით, იქაური ადამიანები სხვანაირი წესრიგით ცხოვრობენ. სხვათა შორის, თქვენგან ნახსენები დემოკრატია და პიროვნების თავისუფლებაც საკმაოდ მკაცრ კონტროლს ექვემდებარება.

— ანუ, როგორც ამერიკელ თეორეტიკოსებს უყვართ ხოლმე თქმა, „დემოკრატიის მონაპოვარს მკაცრი გაფრთხილება სჭირდება"?

— სწორედ ეს არის. ვერ წარმოიდგენთ, როგორი კონტროლის ქვეშ არის ამერიკელი მოქალაქე... თუნდაც, ყბადაღებული რასიზმის პრობლემა ავიღოთ. ერთხელ, უნივერსიტეტში ჩემმა ფერადკანიანმა თანაკურსელმა შემომჩივლა — გამოცდაში ცუდი ნიშანი მივიღეო. ამ გოგონასთან ახლო მეგობრობა მაქვს. გავეხუმრე, ზანგი რომ ხარ, იმიტომ დაგჩაგრეს-მეთქი (ასეთი ხუმრობა იქაც მიღებულია), ვესტიბიულში ვისხედით მაშინ. არ ვიცი როგორ და რანაირად, მაგრამ მეორე დღესვე უნივერსიტეტის შესაბამის უჯრედში დამიბარეს. ამა და ამ დღეს, ამ საათზე ასეთი რამ გითქვამს და რასისტული შეურაცხყოფის გაღვივებას თავი დაანებეო. შენიშვნას იმდენად მკაცრი და სერიოზული ფორმა ჰქონდა, მე კი იმდენად არასერიოზულად ვუყურებდი, რომ თავი ვერ შევიკავე და ავხარხარდი...

„საერთო ოჯახური პურის ჭამა" ერთი ჯამიდან...

თუმცა, ამერიკაში ბევრი კარგი ელემენტიც არის. ავიღოთ, თუნდაც, ადამიანების ერთმანეთთან და კანონთან დამოკიდებულება. იქაურ საზოგადოებაში კანონი უზენაესია და ეს ისე ღრმად აქვთ გათავისებული, ვერანაირად აიძულებთ, სხვაგვარად იფიქრონ. თუმცა, მეორე მხრივ, ამის გამო ადამიანები ნაკლებ აქტიურნი არიან, ნაკლებ პოლიტიზებულნი. ისინი თითქოს რაღაც სისტემაში არიან ჩამჯდარნი და ყველაფერში მას ემორჩილებიან, მისი მიხედვით ცხოვრობენ, მუშაობენ, ისვენებენ... და, რაც მთავარია, არც ერთ მათგანს საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობა თავის გარშემომყოფთა, ან მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების მიმართ არ გააჩნია, — თუნდაც ეს უკანასკნელი ამერიკის პირდაპირი მოქმედებით იყოს გამოწვეული. ამ მხრივ აფრიკაში, სენეგალში, გაცილებით უკეთესი ვითარება იყო. ამერიკაში კი ფიქრობენ, რომ მხოლოდ გადასახადების გადახდა კმარა, დანარჩენზე პასუხისმგებლობას უკვე სახელმწიფო იღებს...

— კოსოვოს ომის დროს ევროპაში დიდი საპროტესტო გამოსვლები იმართებოდა. იმ პერიოდში საბერძნეთში ვსწავლობდი და „ანტინატოურ" გამოსვლებში მეც აქტიურად ვმონაწილეობდი. მაშინ ყველას მიგვაჩნდა, რომ ამერიკისა და „ნატოს" საჰაერო დაბომბვებს სერბი და ალბანელი მშვიდობიანი მოსახლეობა ერთნაირად ეწირებოდა...

— მე კი მაშინ ამერიკაში ვიყავი და პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ამერიკელთა 99% -ს „ფეხებზე ეკიდა", რა ხდებოდა კოსოვოში ან სერბეთში. მიუხედავად იმისა, რომ მათ ინფორმაციის მიღების ყველანაირი საშუალება ჰქონდათ, ამით არ ინტერესდებოდნენ, რადგან ასეთ შემთხვევაში საკუთარ თავზე გარკვეული პასუხისმგებლობის აღება მოუწევდათ, ეს კი დისკომფორტს შეუქმნიდათ... რადგან ამერიკელი მოქალაქე ან არაფერს არკვევს, ან, თუ საქმე საქმეზე მიდგა, ყველაფერს ბოლომდე მიჰყვება.

რა გითხრა... ერთი ჩემი იქაური პროფესორი ამბობს ხოლმე — ამერიკა, ახალგაზრდა ქვეყანაა და იმ თინეიჯერივით არის, ჯერ რომ ვერ გაურკვევია, რა უნდაო...

— საქართველოში ახალგაზრდები ხშირად წუწუნებენ ხოლმე, რომ თავისუფალი დროის გატარება არსად არ შეიძლება, რომ არც სწავლის პირობებია, არც გართობისა და დასვენების. ამ მხრივ პატარა ქალაქებ-



„მწუხარების თაღი" ნავსადგომზეა აშენებული. აქ შესვლას აღგილობრივი მცხოვრებნი ღღემდე ერიღებიან. როდესაც აფრიკაში მონათმფლობელობა მძვინვარებდა, მონებით მოვაჭრენი „ცოცხალ ტვირთს" გემზე ამ თაღიდან ტვირთავდნენ. თაღში მოხვედრილ ნებისმიერ შავკანიანს უკან დაბრუნება არ ეწერა...

ში მართლაც საგანგაშო მდგომარეობაა, სადაც ერთადერთ გართობას სმა და თრობა წარმოადგენს...

— რაც არ უნდა დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, ამერიკაშიც ანალოგიური ვითარებაა, იმ განსხვავებით, რომ იქ სწავლისა და დასვენების ყველა პირობა არსებობს. სწავლით — სწავლობენ, იმიტომ, რომ მომავალში თავი შეინახონ და სამსახური იშოვონ. აი, გართობას რაც შეეხება, საუკეთესო „არჩევანი" იქაც დათრობა გახლავთ. ჩვენთან სადღეგრძელოებს მაინც ამბობენ, ასე თუ ისე, რაღაცას მაინც იხსენებენ, რაღაცას ეზიარებიან... ამერიკაში კი, პირდაპირ „დოღი" ეწყობა — ვინ რამდენს ჩაისხამს... მეორე დღეს კი სიამაყით იხსენებენ ხოლმე — ვინ სად ეგდო და ვინ სად დაკარგა გონება... ვინც უფრო უგზო-უკვლოდ იქნება „გატრეტილი", უკეთესი დროს ტარებაც იმას ჩაეთვლება...

ამერიკაში მოგზაურობისას, მონტანაში, ერთ-ერთ ცნობილ ბარში შევედი. ბარმენმა შემატყო, პირველად რომ ვიყავი და რკალისებური საყვირი გამომიწოდა (ვესტერნებში რომ უჭირავთ ხოლმე, ისეთი): ჩვენი ბარის ტრადიციების თანახმად, პირველად შემოსულმა კლიენტმა ამ საყვირს უნდა ჩაჰბეროს, ოღონდ ცოტა რთული ასაღერებელია და რაც შეიძლება, მძლავრად ჩაჰბერეო. ცდა არ დავაკელი, მაგრამ... საყვირი ფქვილით სავსე აღმოჩნდა...

თუმცა, ისეც ნუ გამიგებთ, თითქოს ამერიკა კატასტროფის პირას იყოს მისული. უბრალოდ, მე იქაური ცხოვრების წესის შესახებ ვყვებოდი, თორემ პირადად ჩემს სამეგობრო წრეში ბევრი ისეთი ამერიკელიც არის, სხვაგვარად რომ ფიქრობს, სხვაგვარი ზნეობრივი თუ მორალური პრინციპები რომ აქვს. ზოგჯერ ისინი ამბობენ ხოლმე — ამერიკას ერთი რევოლუცია სჭირდება, აზრზე რომ მოიყვანოსო... ■

კინოლოგიური ბიზნესი

ავსტრალიელი იან ოკონელი მოუთმენლად ელოდება აუქციონს, რომელმაც მას კარგი შემოსავალი უნდა მოუტანოს. საქმე ის გახლავთ, რომ ფერმერი ავსტრალიური ჯიშის — კელპის ძაღლებს ამრავლებს, რომლებიც ამ ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობენ: თითოეული ეგზემპლარი 1.300 დოლარამდე ღირს, ოკონელს კი წლეულს 85 ლეკვი დაუგროვდა. ფოტოზე აღბეჭდილი ოთხეული, რომელიც სიამოვნებით დასეირნობს პატრონთან ერთად, არ იყიდება. ■

ᲓᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲯᲔᲓᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲖᲘᲐᲠᲘ

დიდი ვნებათაღელვა ტრიალებს მდინარე კოლუმბიის ნაპირებთან ხუთიოდე წლის წინ ნაპოვნი ადამიანის ჩონჩხის გარშემო. მეცნიერთა აზრით, ე.წ. „კენევიელი კაცის" ნეშტი, რომელიც 9300 წლისაა, მნიშვნელოვანი ექსპონატია და საფუძვლიან კვლევას მოითხოვს. ქალაქ რიჩლენდის (ვაშინგტონი) ანთროპოლოგებმა, მოქანდაკე ტომ მაკელანდრთან ერთად, კაცის გარეგნული სახეც (იხ. ფოტო) აღადგინეს. მაგრამ სამეცნიერო კვლევას ინდიელები ეწინააღმდეგებიან: მათ მიაჩნიათ, რომ ნეშტი მათ შორეულ წინაპარს ეკუთვნის, ამიტომ შესაბამისი პატივით უნდა დაიმარხოს. ■



ᲗᲘᲜᲔᲘᲯᲔᲠᲗᲐ ᲑᲐᲜᲓᲔᲑᲘ

ამერიკულ ქალაქებში დღითი დღე იზრდება ახალგაზრდულ დანაშაულებრივ დაჯგუფებათა რაოდენობა. გასული წლის დამლევს ამის დამადასტურებელი ცნობები 25 ათასი ქალაქის ადგილობრივ ადმინისტრაციას მოეპოვებოდა, ძიებათა ფედერალური ბიუროს მონაცემებით კი, სულ ქვეყნის მასშტაბით, ახალგაზრდულ ბანდებში 600 ათასზე მეტი მოზარდი მოქმედებს. ჩვეულებრივ, ეს ღარიბული კვარტალების ხელმოკლე ოჯახის შვილები, უმეტესად — შავკანიანები და ლათინოამერიკელები არიან. როგორც წესი, მოზარდი ბოროტმოქმედები თავიანთ დაჯგუფებებს მყვირალა სახელებს არქმევენ („მე-13 ქუჩა", „ლათინელი მეფეები", „მოსისხლეები") და ურყევად იცავენ დათქმულ წესებს. მათთან ბრძოლა ძალზედ გაძნელებულია, რადგან დაჭერილი დამნაშავის ადგილს უმალ ახალი შევსება ცვლის. ბანდების მომრავლებას ექსპერტები აზიიდან და ლათინოამერიკიდან იმიგრირებულთა რაოდენობის ზრდას მიაწერენ. რაც მთავარია, სტატისტიკის თანახმად, სწორედ შავკანიანი და ესპანურენოვანი ბოროტმოქმედები გამოირჩევიან ყველაზე დიდი სისასტიკითა და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი დანაშაულებით. ■

თბილისი მეგაპოლისი არ არის და, ცხადია, ჭორებიც ელვის სისწრაფით ვრცელდება... ვეფხვისა და ვანო საყვარელიძის ამბავი ბევრს ზღაპარი ჰგონია, ზოგი ამტკიცებს: ვანიჩკა რომ ვეფხვს შეება, მე ბუჩქებში ვიჯექი და შიშით ვიწურებოდიო. იმასაც ამბობენ, ეს კაცი მთავრობის ნაკრძალში თავს ისე გრძნობს როგორც საკუთარ მამულშიო. და კიდევ — უმეტესად, მშიერი დადის, რადგან ბაზრიდან სახლისკენ წასული, გზადაგზა ბავშვებს ურიგებს ხილს, პურს, ზოგჯერ ფულსაც და შინ მხოლოდ სიამაყე მიაქვს, მისეული ქველმოქმედებით გამოწვეულიო...

ᲕᲐᲜᲘᲩᲙᲐ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ:

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲒᲠᲝᲜᲘ, ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲕᲐᲠ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲧᲘᲠᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲡ

ᲚᲔᲚᲐ ᲭᲐᲜᲙᲝᲢᲐᲫᲔ

— ბატონო ვანო, ხშირად გითქვამთ, რასაც დავიჟინებ, უეჭველად შევასრულებო. მსახიობიც ბედთან ჭიდილის შემდეგ გახდით?

— ჩემი მშობლები ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითში ცხოვრობდნენ. მეც იქ დავიბადე და გავიზარდე. პატარა ბიჭი ვიყავი, როცა ჩემს სოფელში დაიწყო „დაკარგული სამოთხის“ გადაღება. სწორედ მაშინ გავიცანი ისეთი დიდი მსახიობები, როგორებიც იყვნენ: ჟორჟოლიანი, შავგულიძე, კვანტალიანი. მათ ისე შემაყვარეს კინო, რომ ვთქვი: კინოს გარეშე ველარ ვიცხოვრებ, კინო ჩემი მომავალია-მეთქი. გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, თბილისში დავსახლებულიყავი და ჩემი თავი ამ უკვდავი ხელოვნებისთვის შემეწირა. იმდენი ვიმეცადინე, რომ მოვხვდი მარჯანიშვილის თეატრში სტაჟიორად. მსახიობებს მასობრივ სცენებში ვეხმარებოდი. უფასოდ და უანგაროდ ვმუშაობდი. დავუმეგობრდი ჟორჟოლიანს, კვანტალიანს, შავგულიძეს, ძმებს ზაქარიაძეებს, შალვა ღამბაშიძეს. ძალიან შემიწყვეს ხელი, ბევრი კარგი საქმე გამიკეთეს. განსაკუთრებით მე და შავგულიძე დავმეგობრდით. საცურაოდ სულ ერთად დავ-

დიოდით. მახსოვს, ნოემბერი იდგა. ქარი ანგრევდა ყველაფერს. ჟორამ მითხრა: წავიდეთ, აუზში შევიდეთო. მივედით. ნახევარი საათი რომ ვიცურავეთ, დასასვენებლად ამოვედით წყლიდან და საოცრება დავინახეთ. იქაურობა გადაჭედილი იყო ხალხით: ყველას უნდოდა, ახლოდან ენახა ჟორა. მე მაშინ ვინ მიცნობდა?! ყველა მას სთხოვდა ავტოგრაფს.

— მაშინ დიდი მსახიობების, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ — ვარსკვლავების ცვენა იყო. ალბათ, უამრავი ნიჭიერი ადამიანი მოექცა მათ ჩრდილში?

— ბევრი დაიჩაგრა, ძალიან ბევრმა ველარ მოიპოვა წარმატება. თეატრისა და კინოს კორიფეებმა ჩრდილში მოაქცია უმრავლესობა დამწყები მსახიობებისა. მეც მქონდა ასეთი შემთხვევა. სპექტაკლში „ამხანაგი გიორგი“ პატარა ეპიზოდში თამაშობდა სანდრო ჟორჟოლიანი. მისი გამოჩენა საკმარისი იყო, რომ ხალხი სიცილითა და ტაშით შეჰგებებოდა. ეს პიესა რეზო თაბუკაშვილმა დაწერა. სწორედ ის მამხნევებდა, როცა ჟორჟოლიანის შეცვლა შემომთავაზეს. უნდა გამოგიტყდეთ, ძალზე შეშინებული ვიყავი. რეზო ჩემი მეგობარი გახლდათ, მისმა მხარდაჭერამ განაპირობა, თორემ ამ როლზე არ დავთანხმდებოდი.

— ბატონო ვანიჩკა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ და ბატონი რეზო თაბუკაშვილი გულითადი მეგობრები იყავით, ხომ არაფერს გაიხსენებდით?

— არაჩვეულებრივი ადამიანი იყო



რეზო. მე რომ ის გავიცანი, საკუთარ თავს ვუთხარი: რიღასი გეშინია, ვანიჩკა, ასეთი ბუმბერაზი ადამიანი გიდგას გვერდით-მეთქი. დიდი სიყვარული გვაკავშირებდა ერთმანეთთან. ერთად ვნადირობდით, ერთად ვქეიფობდით. სახლში რომ ვესტუმრებოდი, მედიკო (ბატონი რეზოს მეუღლე, მედეა ჯაფარიძე. — ავტ.) ხუთ წუთში ისეთ ხაჭაპურებს დააცხობდა და ისეთ სუფრას გააწყობდა, გაოცდებოდა კაცი. ასეთი საოცარი ქალები, სამწუხაროდ, აღარ იბადებიან. ამ შესანიშნავ ოჯახთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო. სოხუმში ვიყავით. ბულვარში ვსეირნობდით. მედიკოს უყვარდა წინ სიარული. მე, რეზო და კარლო ღლონტი (რეჟისორი და მსახიობი. — ავტ.) უკან მივყვებოდით. შევნიშნეთ, როგორ მიუახლოვდა მედიკოს ორი მთვრალი ყმაწვილი. ერთმა მათგანმა მას შეურაცხყოფა მიაყენა: ალბათ იფიქრა, ლამაზი ქალი მარტო მოდის ღამით ბულვარშიო და მედიკოს ხელი წაატანა მოსაფერებლად. დაინახა რეზომ ეს და კაცი გადაიქცა ვეფხვად. ჩვენ გვითხრა: ხომ იცით, იარაღს ვატარებ, არ დამაკავოთ, თორემ არ დაგზოგავთ არავისო. უზარმაზარი კუნთები ჰქონდა რეზოს, რომ შემოჰკრა იმ ბიჭებს, სულ ჩაულეწა კბილები. ჩხუბის შემდეგ ოთხი-ხუთი თვე მაინც მკურნალობდა, ისე დალეწა საწყალი.

— ბატონო ვანიჩკა, როგორ შეძელით ოთხმოცი წლის ასაკში ასეთი ათლეტური აღნაგობის შენარჩუნება?

— თორმეტი წლიდან ვნადირობ და ამავე ასაკიდან ვვარჯიშობ. ვინ მოთვლის, რამდენი წლის წინ შევისწავლე იოგა და ახლა თბილისში, მგონი, ერთადერთი ვარ, ვისაც შეუძლია თავდაყირა დადგეს და ასე დაიძინოს. მოსკოვში ვიყავი წასული, მონადირის ლეკვს ვეძებდი. შემთხვევით შევხვდი ვიღაც კაცს, რომელიც შესანიშნავ მონადირე ძაღლთან ერთად მოდიოდა. გავაჩერე, ვკითხე, სად იშოვეთ ასეთი მეძებარი-მეთქი? ვისაუბრეთ. ლეკვიც მაჩუქა. ბოლოს დავმეგობრდით კიდეც. მკითხა: რატომ გაქვს ასეთი გაფითრებული სახეო? ვუთხარი: მსახიობებს ძალზე დაბალი ხელფასები გვაქვს, ცუდად ვიკვებებით-მეთქი. ის პროფესორი იოგის სპეციალისტი აღმოჩნდა. დამაწყებინა ვარჯიში, შემასწავლა იოგა და რადგან ვარჯიშის დროს უფრო მეტი კვება მჭირდებოდა, საკმაოდ სოლიდური თანხაც მაჩუქა. დაუვიწყარი საქმე გამიკეთა, მე კი მისი სახელიც არ მახსოვს. მისი წყალობით ისე მოვიკეთე და გამოვჯანმრთელდი, საკუთარ თავს ვეღარ ვცნობდი. უკვე ოთხმოცი წლის ვარ და არაფერს ვუჩივი. ახლა ნიკო ბაღაშვილი იღებს საბავშვო ფილმს „წიქარა“, რომელშიც მეც ვმონაწილეობ. ჩემი რეჟისორი გაოცებულია, ასეთ კარგ ფორმაში როგორ ხარო? იოგაში რომ არ მევარჯიშა, დიდი ხნის დამარხული ვიქნებოდი.

— თქვენი ფიზიკური სიძლიერე მუშტი-კრივში თუ გამოგიყენებიათ? გიჩხუბიათ?

— სულ ვჩხუბობდი. რეზოსა და დოდო აბაშიძის შემხედვარე სულ ვჩხუბობდი. დოდო პირველი მოჩხუბარი გახლდათ. თუ სადმე ჩხუბი მოხდებოდა და იქ დოდო გამოჩნდებოდა, მყის ყველა გაიფანტებოდა მისი შიშით. იყო ასეთი შემთხვევა: რუსთაველზე მივდიოდით, ლაღიძის წყლებთან ვიღაც კაცმა, დოდო როგორც კი დაინახა, უმალ გააძრო უზარმაზარი დანა და ჩვენკენ წამოვიდა: თურმე იმის შვილი რამდენიმე დღის წინ დოდოს გაულახავს. ვინ იფიქრებდა, რომ ამხელა დანის წინაშე ადამიანი არ შედრკებოდა?! გაქანდა დოდო, ჩაუქროლა გვერდიდან და უკნიდან, მთელი ძალით თავი თავზე დაარტყა. დავარდა კამეჩივით კაცი ძირს უსულოდ, ნახევრად მკვდარი იყო, ძლივს მოასულიერეს. ამის შემდეგ ძალიან მალე გასტროლებზე წავედით ქუთაისში. მარჯანიშვილის თეატრის გამოჩენა ყველგან დღესასწაული იყო და საღამოს მიგვიპატიჟეს ერთ-ერთ ოჯახში. მივდივარ იქ ჩემს ბიძაშვილ გოგონებთან ერთად, შემოგვხვდა ორი მთვრალი კაცი: ძმაო, ერთი გოგო დაგვითმეო — მითხრეს და წინ გადაგვიდგნენ. სადამდეც შემეძლო, შევიკავე თავი, მაგრამ არ მომეშვნენ. მასხრად ამიგდეს. ეს ის პერიოდი იყო, როცა მსახიობები ორმოცდარვა მანეთზე ვმუშაობდით და ნახევრად მშივრები ვიყავით. ერთადერთი თეორი პერანგი მქონდა, ვუფრთხილდებოდი. მოჩხუბრებმა ის პერანგიც შემომახიეს. რაც დარჩა ისიც მე შემოვიგლიჯე. რომ დავარტყი იმ ბიჭს, იმხელაზე გადავარდა, რომ აღარავის ეგონა, თუ გადარჩებოდა. ხიდზე ვიდექით. ხიდს დაქანება ჰქონდა და იქ დავაგორე ყველა, ვინც წინ გადამიდგა. მოცვივდა ხალხი. ზოგმა პერანგი მომიტანა, ზოგმა პიჯაკი, მარტო ედიშერ მაღალაშვილმა ოთხი საუკეთესო პერანგი მაჩუქა — ყოჩაღ, გვასახელე, არ შეგვარცხვინეო.

— თქვენი და ვეფხვის ამბავი ანეკდოტია თუ სიმართლესთან ახლოს არის?

— ნადირობა ძალიან პატარამ დავიწყე. საუკეთესო ძაღლი მყავდა, იარაღიც მქონდა. რომ დავბადებულვარ, გახარებულ ბიძას ჩემთვის უჩუქებია არაბული ცხენი, თოფი და ძაღლი. თორმეტი წლისა ვიყავი, სანადიროდ რომ წავედი და მაშინვე აფრენილი მწყერი ჩამოვაგდე. საამაყოდ მაქვს, რომ ყველაზე დიდი ცხოველი, რომელიც მე მოვკალი, ვეფხვია. მეორე მსოფლიო ომის დროს, რომელი წელი იყო, არ მახსოვს, დიღომში ხმა გავარდა — ვეფხვი გამოჩნდა, საღამოობით ღრიალი ისმისო. ზოგი ამტკიცებდა, კიდეც დავინახეთო. ყველანი, ვისაც გული გვერჩოდა, სპეციალური ტყვიებით შევიარაღდით. ვეძებდით ვეფხვს, მაგრამ მის კვალს ვერსად მივაგენით. ერთ დღესაც წავედი სასეირნოდ. მოგეხსენებათ, ბუნება ძალიან მიყვარს, რას ვიფიქრებდი, რომ სწორედ მაშინ გადავეყრებოდი ამ საშიშ ცხოველს. სრულიად მარტო ვიყავი, ვეფხვის ხმა რომ შემომესმა. შევძრწუნდი, ისე შემეშინდა, მაგრამ მალევე მოვედი აზრზე და თავს შევუძახე: შენ შიშის უფლება არა გაქვს, შენ ხომ უშიშარი ადამიანების გვერდით დგახარ-მეთქი და ჩავძვერი ბუჩქნარში. ვეფხვი ცბიერია, სუნი აიღო და პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა. მოცდის დრო არ იყო. დავუმიზნე და პირდაპირ შუბლში მოვარტყი. მაინც არ შეჩერდა, მეორედაც ვესროლე. დავარდა კიდეც მიწაზე.



სიხარულით კინაღამ გავგიჟდი. მთელი ხმით ვყვიროდი: მოდით, ხალხო, ნახეთ, ვეფხვი მოკალი-მეთქი. უამრავი ადამიანი მოგროვდა. ეს ამბავი მთელ საქართველოს მოედო, ცოცხლებიდან, მე მგონი, ერთადერთი ქართველი ვარ, ვინც ვეფხვი მოკლა.

— იმ უცნობი ქალის შესახებ გვიამბეთ, რომელსაც, როგორც ამბობენ, დღემდე ვერ ივიწყებთ.

— ვერ ვიძინებდი ღამით, იმდენად მიყვარდა ის ქალი. იცით, როგორ შემიყვარდა?! ტრამვაიში ვიდექი. ამოვიდა ვიღაც გოგო, რომ შემომხედა, კინაღამ გული შემიწუხდა, ვიფიქრე, ნამდვილად ანგელოზია-მეთქი. რატომღაც ეს გოგო ჩემს სიახლოვეს დადგა და ხელიც რკინის მილს იმ ადგილას მოჰკიდა, სადაც მე მეკიდა. მოგეხსენებათ, ვვარჯიშობდი და სულ დაკუნთული ვიყავი. ის გოგო სწორედ კუნთებზე მომჩერებოდა. მეც შევყურებდი. ერთხანს ვუყურე, მერე ხელი ხელზე მოვუჭირე და ჩამოვიყვანე ტრამვაიდან. თან ჩემს თავს ვუთხარი: ასე ხელჩაკიდებული უნდა ვატარო ეს ანგელოზი მთელი ცხოვრებამეთქი. მაგრამ სულ მალე მოხდა უბედურება. ჩემს სასიმამროს დაედო ვალები. ერთ-ერთმა პროკურორმა შესთავაზა ასეთი რამ: მომათხოვე შენი ქალიშვილი და ამ ვალებს მთლიანად მე დავფარავო. საწყალი კაცი შეწუხებულა: ჩემი ქალიშვილი დანიშნულია, უყვართ ახალგაზრდებს ერთმანეთი, დღე-დღეზე დაქორწინდებიან, მე როგორ შევუშალო ხელიო. იმ პროკურორს კი დაუჟინია: ან მომათხოვებ შენს გოგოს, ან არა და ციხეში ჩაჯდებიო... გამომაცალეს ხელიდან. ერთი თვე ისე გავიდა, ძილი არ მომკარებია. ვტიროდი და ხელებს თავ-პირში ვიცემდი. მამშვიდებდნენ, მეხვეწებოდნენ, გავმაგრებულიყავი და ბედს შევგუებოდი, მაგრამ მე სიცოცხლე აღარ მინდოდა... ერთ დღესაც ჩემი ტანჯვა გაათკეცდა. სახლში მარტო ვიყავი, კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. გავაღე და ჩემი ანგელოზი შემრჩა ხელში. უკვე იმდენი ხნის დაშორებულები ვიყავით, მისი ნახვა გამიკვირდა. გავოცდი. თვალებს ვერ დავუჯერე. შემოვიყვანე, ცრემლები შევუშრე. გამოვკითხე — რა უჭირდა, როგორ ცხოვრობდა. მითხრა: უშენოდ სიცოცხლე აღარ შემიძლია, თავის მოკვლა უკვე ვცადე, მაგრამ გადამარჩინეს, თუ ისევ გინდივარ, დავრჩები შენთან სამუდამოდ. რასაკვირველია, მინდოდა, რომ ჩემი ყოფილიყო, ჩემთან ეცხოვრა, მიყვარდა სიგიჟემდე, მაგრამ ვიცოდი, ეს უკვე აღარ მოხერხდებოდა, მას ქმარშვილი ჰყავდა, მათ წინაშე პასუხისმგებლობა და მოვალეობა ჰქონდა. თუ ოჯახიდან წამოვიდოდა, ქმარი ამას არ აპატიებდა და შეიძლება, მოეკლა კიდეც. უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. გულმა მიგრძნო უბედურების მოახლოება. ღამის ოთხ საათზე, როგორც იქნა, ის ქალი წავიდა, მაგრამ ერთი საათის შემდეგ ატყდა კარზე ბრაგაბრუგი. ფარდის უკან დავიმალე და სიბნელეში ქალის ლანდი დავინახე. მივხვდი, ქმარი სადმე იქნებოდა დამალული, როგორც კი კარს გავაღებდი, შემოვარდებოდა და მომკლავდა კიდეც. მივვარდი ჩემს „ხაზეიკას“ და ვთხოვე: მიშველე რამე-მეთქი. სხვენში დამმალა. თვითონ კი კარი გააღო. შემოვარდა ვეფხვივით კაცი. ვერსად რომ ვერ მნახა, შევიდა ჩემს ოთახში, ბალიშის ქვეშ შეყო ხელი — თბილია, ე.ი. სადმე აქ იქნება დამალულიო, — თქვა და სულ დაცხრილა იქაურობა. ჩემი დეიდაშვილის ქმარი გამოვარდა ამ დროს თავისი ბინიდან იარაღით და, როგორც იქნა, ჩემს მოსაკლავად მოსული კაცი გაიყვანა სახლიდან... ამის მერეც დამსდევდა. რამდენჯერ გადავრჩი, ვინ მოთვლის. ბოლოს, როგორც იქნა, დაწყნარდა. მე კი საერთოდ გავეცალე თბილისს.

— იმ ქალის სიყვარული მაინც დაგრჩათ გულში?

— რა თქმა უნდა. ამ ამბის შემდეგ მალე შევირთე ცოლი. მაგრამ პირველი სიყვარული დაუვიწყარია, მას ვერაფერი წაშლის. როგორი კარგი ქალიც არ უნდა შეგხვდეს, მას მაინც ვერაფერი დაგავიწყებს. დღესაც, ამდენი წლის შემდეგ, სიზმარში ვხედავ, როგორ მივდივართ ხელიხელჩაკიდებულები... გამეღვიძება და სახე სულ ცრემლებით მაქვს სველი. აი, ასეთია პირველი სიყვარული... ჩემი ცოლი კარგი ქალია. ორი შესანიშნავი შვილი გვყავს...

— კარგი მონადირე ძაღლი თუ გყავთ?

— ორი მეძებარი მყავს — ლედი და დიანა. ახალი გადასულები ვიყავით იმ სახლში, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ. საერთოდ წესად მაქვს: ძაღლებს გავუშვებ სასეირნოდ და თუ ოდნავ მაინც დააგვიანებენ, მაშინვე მოსაძებნად მივდივარ. ერთ საღამოსაც, უკვე შებინდებული იყო, გამოვედი ქუჩაში ჩემი მეძებრების მოსაძებნად და დავიძახე: დიანა, დიანა! მოდი, დიანა! მოდი, ლედი! უცბად, ვიღაც ახოვანი კაცი გამოვარდა ერთ-ერთი ეზოდან და გადამიდგა წინ. რა საქმე გაქვთ დიანასთანო, დამიყვირა. ვუძახი, ბატონო, თქვენ რა, დიანას დაძახებას მიშლით-მეთქი? — მართლა სერიოზულად გავბრაზდი. იმ კაცმა კითხვა ისევ გამიმეორა, მეც შევუტიე: დიანა ჩემი საკუთრებაა და როცა მინდა, მაშინ დავუძახებ-მეთქი! წამოვიდა დასარტყმელად. მეც გავიწიე: ჩემი ძაღლის მოძებნას რა უფლებით მიშლით-მეთქი. შედრკა ზორბა კაცი, უკან დაიხია — როგორ, განა დიანა თქვენს ძაღლს ჰქვიაო? — გაოცდა. თქვენს ცოლსაც დიანა ჰქვია-მეთქი? — ვკითხე. განა ვერ მიხვდითო? — გაიცინა და ამის შემდეგ სულ ღიმილით მხვდება...

■



რას ნიშნავს ხალი თქვენს სახეზე?

რას ნიშნავს ხალი თქვენს სახეზე?
რას ნიშნავს ხალი თქვენს სახეზე?
რას ნიშნავს ხალი თქვენს სახეზე?

კარგად დააკვირდით თქვენს მეგობარს, ახლობელს ან უბრალოდ გვერდით მყოფ ადამიანს. სახეზე ხალები ბევრ ადამიანს აქვს. შესაძლებელია, დამატებითი ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებაც შეიტყოთ. სახეზე ხალების განლაგების ადგილები სურათზე აღნიშნულია რიცხვებით. თუ საკუთარი თავის შესახებ ამოკითხულ აზრს არ დაეთანხმებით, — ნუ დაღონდებით და სხვებზე გადაერთეთ: გეძლევათ შანსი, კიდევ ერთხელ დააკვირდეთ ახლობელ ადამიანს, მის შესახებ ახალი რამ შეიტყოთ, თავად კი უფრო კეთილი და მომტევებელი გახდეთ.



1) თქვენ ძალიან ღრმა სულიერი ცხოვრებით გამოირჩევით.

2) ტემპერამენტიანი და ფეთქებადი ხართ, ადვილად ბრაზდებით.

3) ყურადღებით მოეკიდეთ თავის ხშირად ტკივილს.

4) სხვა ადამიანებთან საერთო ენის გამონახვა საკმაოდ გიჭირთ.

5) ცნობილ ადამიანთან ქორწინება გელოდებათ.

6) კარგი მეხსიერება გაქვთ და ადამიანის ხასიათის გამოცნობა არ გიჭირთ.

7) ძალიან გიყვართ სასიყვარულო ავანტიურებში ჩაბმა.

8) ეჭვიანი ხართ.

9) დაუფიქრებელი საქციელით ბევრ მტერს იძენთ.

10) თქვენ უკვე შეხვდით ცხოვრების ნამდვილ სიყვარულს.

11) ერთგულებით გამოირჩევით.

12) ძალიან გიყვართ ოჯახი, სახლი და მეზობლებთან ურთიერთობა.

13) შემოქმედებითი ნიჭით გამოირჩევით.

14) ძალიან ბედნიერი ოჯახური ცხოვრება გელით.

15) ცხოვრების ეროტიკული მხარით ძალიან კმაყოფილი იქნებით.

16) ბედნიერებას თქვენთვის ოჯახი და შვილები განსაზღვრავს.

17) ფრთხილად იყავით, შეიძლება ცუდი ადამიანების წრეში მოხვდეთ.

18) მთელი ცხოვრების მანძილზე სასიყვარულო პრობლემები გექნებათ.

19) ეკონომიური ბრძანდებით.

20) სტაბილური ოჯახური ცხოვრება გელით.

21) ძალიან გეშინიათ წყლის.

22) თქვენი იუმორი ხშირად არ ესმით და არ სიამოვნებთ გარშემომყოფებს.

23) ძალიან მგრძნობიარე ადამიანი ხართ.

24) ცხოვრებასა და თამაშში გიმართლებთ.

25) ძლიერი ხასიათი თქვენი მთავარი კოზირია.

26) თითქმის ყოველთვის კარგი გუნება-განწყობილება გაქვთ.

27) ცოტა არ იყოს, ზარმაცი ბრძანდებით.

28) მიხედეთ ჯანმრთელობას!

29) სიყვარულს მთელი არსებით ეძლევით.

30) ზედმეტი ქება თავში არ აგივარდეთ!

31) ძალიან ჯიუტი ხართ.

32) თქვენს მგრძნობიარობას საზღვარი არ აქვს.

33) თქვენსა და თქვენს მეუღლეს შორის ნამდვილი, ღრმა სიყვარულის გრძნობაა (ან იქნება).

34) ეს ეროტიკულობის ნიშანია.

35) ყოველთვის თქვენი აზრის გატანას ცდილობთ.

36) ძალიან გიყვართ წესრიგი.

37) იდეალური სისუფთავე თქვენი სუსტი წერტილია.

38) გრძნობებს ადვილად ნუ აჰყვებით ხოლმე.

39) ცხოვრებაში თითქმის ყველაფერში გაგიმართლებთ.

40) ფიზიკურ სიყვარულს სულიერ გრძნობაზე უფრო მაღლა აყენებთ.

41) გარშემომყოფებზე ძალიან ცივი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ.

42) გაქვთ მიდრეკილება ძალადობისკენ.

43) ძალიან დამოუკიდებელი ადამიანი ხართ.

44) ადვილად ექცევით სხვისი ზეგავლენის ქვეშ.

45) შივას ნიშანია: ინტუიციისა და წინასწარმეტყველების ნიჭი გაქვთ.

46) თქვენი ყველას როდი ესმის.

47) ნამდვილი პოეტური სული გაქვთ, მატერიალური კეთილდღეობა არ გაინტერესებთ.

48) მეცნიერებისადმი მიდრეკილებით გამოირჩევით.

49) წინ რთული ცხოვრება გელით.

50) ძალიან ხშირად კამათობთ და ჩხუბობთ მეგობრებთან.

51) რომანტიკული ადამიანი ხართ.

■

ნერონის ნეკ და

ნაყინი! ეს ერთი სიტყვა მრავალი წლის მანძილზე მილიონობით ადამიანს აფორიაქებს.

მისი სახელი, ვინც ნაყინი გამოიგონა, ისტორიამ დღემდე ვერ შემოინახა. ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ 3000 წლის წინ ჩინეთში წარჩინებულ მოქალაქეთა სუფრას თოვლში შერეული ტკბილი ხილის წვენი ამშვენებდა.

იმ დროს, რა თქმა უნდა, მაცივარი არ არსებობდა. ამის გამო სანუკვარი ნუგბარის მსურველ ჩვენს წინაპრებს არცთუ ისე სახუმარო პრობლემების გადაჭრა უხდებოდათ. ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში რომის იმპერატორმა ნერონმა სასახლესთან უზარმაზარი ყინულის სარდაფის აგება ბრძანა, რომელშიც ალპების მწვერვალებიდან ჩამოტანილი თოვლი ინახებოდა. კაიროს სულთანისთვის გაყინული დესერტის მოსამზადებლად კი სირიის მთიანი რაიონებიდან ყოველდღიურად (!) ჩამოჰქონდათ თოვლი.

XIII საუკუნის ბოლოს მარკო პოლომ გაცივებული შარბათის ჩინური რეცეპტი ჩაიტანა იტალიაში, მაგრამ ამ პროდუქტმა ფართო გავრცელება ვერ პოვა. მეფეებმა, რომელთაც პირველებმა გაუსინჯეს გემოსიახლეს, არ ისურვეს მისი დამზადების რეცეპტის გავრცელება. ეკატერინე მედიჩის მმართველობის დროს კი ნაყინის მომზადების რეცეპტი სახელმწიფო საიდუმლოებად იყო მიჩნეული, რომლის გამხელაც სიკვდილით ისჯებოდა.

გვარჯილის გამაცივებელი თვისებების აღმოჩენის შემდეგ, ხილის წვენების გაყინვის საშუალება გაჩნდა. ამის შედეგად XVIII საუკუნეში ნაყინი მრავალი ექსპერიმენტის ობიექტი შეიქნა. ექსპერიმენტატორებმა კი ამ საქმეში ფანტასტიკური შედეგები მიიღეს. ცნობილია, რომ არსებობდა იებისგან დამზადებული ნაყინი და წყლის პიტნის შარბათი. ნაღების დამატებამ კი ცნობილი პლომბირი შვა. ავსტრიაში გამოიგონეს შოკოლადის ნაყინი და ყავა გლასე. გერმანელების ერთ-ერთ ყველაზე უჩვეულო მონაპოვრად ილის ნაყინის გულსართიანი ცხელი ომლეტი ითვლება. იტალიელებმა, რომელთაც ყველაფრის ერთმანეთში შერევა უყვართ, ნაყინში თხილი, ხილი, ლიქიორი და ორცხობილაც კი შეურიეს. სიცხარის მოყვარულმა ამერიკელებმა მსოფლიოს ნივრის (!) ნაყინი შესთავაზეს.

XIX საუკუნეში ამერიკაში ყინულის მიღებისა და შენახვის მეთოდები აღმოაჩინეს. ამის შედეგად ნაყინი სამეფო ნუგბარიდან ფართოდ გავრცელებულ და ყველასთვის ხელმისაწვდომ დელიკატესად იქცა. სტატისტიკის მიხედვით თითოეული ამერიკელი ყოველწლიურად დაახლოებით 23 კილოგრამ ნაყინს მიირთმევს!

იმის მიუხედავად, რომ ნაყინი საკმაოდ ნოყიერი საკვებია (ბევრ მინერალურ ნივთიერებასა და ვიტამინს შეიცავს), მის სარგებლობაზე საუბარს მაინც ერიდებიან. მაგრამ, თურმე გამოჩენილი ჰიპოკრატე, რომლის რეკომენდაციებს ახლაც ითვალისწინებენ, ხალხს ჯანმრთელობის გასაკაჟებლად ნაყინის გამოყენებას ურჩევდა.

და მაინც, სასარგებლოა თუ არა ნაყინი? ამის შესახებ მეცნიერები საერთო დასკვნამდე ვერ მივიდნენ. ყოველ შემთხვევაში – გადაჭარბება საჭირო არ არის... ლეონარდო დი კაპრიოს მაგალითი ამის ნათელი დადასტურებაა: ორიოდე წლის წინ მან მკვეთრად მოიმატა წონაში. თურმე თავისუფალ დროს ლეო





ნაყინი



მეგობრებთან ერთად დისკოთეკაზე ცეკვავდა და ამასთანავე, უზომოდ ბევრ ნაყინს მიირთმევდა.

ცნობილი მსახიობი და წარმატებული მეწარმე პოლ ნიუმენი ამ ნუგბარით სხვების გაძოკვებას ამჯობინებს. ნიუმენმა საზოგადოება კიდევ ერთი ახალი ხარისხის ნაყინით გააცნო და მას „ნიუმენის განსაკუთრებული ნაყინი“ უწოდა. მის პრეზენტაციაზე პოლი მთელი სერიოზულობით ჰყვებოდა, რომ ალპების სოფელ იუბეროტენში ძროხები შეიძინა, რომლებიც 1777 წელს... მთებში გაიყინენ. გაზაფხულზე ცხოველები გალღვნენ, მაგრამ რძის ნაცვლად, ნაყინის წვეთა დაიწყეს... ხუმრობა – ხუმრობად, მაგრამ ამბობენ, რომ ნიუმენის ნაყინი მართლაც საოცრად გემრიელია. ■

...ძინების ხანის ...ელი ფერმწერი	ხახის ლორწოვანი გარსის ანთება	მრავალხმიანობა მუსიკალურ ნაწარმოებში	ქულა, დიდი უპირატესობა ძიუდოში	დასავლეთის ქარი	ტვირთის აღგილი გემბანის ქვეშ	
...ინიანინოინიაბოდგონია						
...ოხოვნა ...ლმი	დიდი რეპტილია	გუნდი იტალიაში, რომელშიც თამაშობდა მარადონა	გასასვლელი მდინარეზე	მტაცებელი ცხოველი	ქალაქი თურქეთში	ქიმიური ელემენტი, მეტალი

ქრისტიანად დარჩენილი აწ და მარადის!

გობრონ-მიქაელი ის წმინდანი გახლავთ, ვისი წამების ამბავი მისმა თანამედროვე სტეფანე მტბევარმა – ტბეთის ეპისკოპოსმა აღწერა. VIII საუკუნიდან ჩვენს ქვეყანას მოსვენებას არ აძლევდნენ არაბი დამპყრობლები. ტფილისში ხან ერთი არაბი ამირა იჯდა ძლიერი სარკინოზთა ციხიონით, ხან მეორე. მურვან ყრუს შემოსევებისას ორი ძმის დავითისა და კონსტანტინეს წამებიდან ათი წლის შემდეგ, ქართლის მეფე არჩილი აწამეს. ოცი წლის შემდეგ კი სარკინოზებმა არაბი წარმოშობის ჭაბუკს აბოს მოჰკვეთეს თავი.

914 წელს ხალიფას უზარმაზარი ლაშქარი სარდალ აბულ-კასიმის მეთაურობით, საქართველოში შემოიჭრა. ტფილისში ამირა ჯაფარ ალიმ მხარი „დაუმშვენა“ და ასე ერთად, კახეთისაკენ აიღეს გეზი. უჯარმის ციხეს სამასი მეციხოვნე იცავდა, მაგრამ მტრის სიმრავლემ თავისი ქნა. კახეთიდან ქართლი გამოიარეს და სამცხეში, თმოგვის ციხის დამცველთა მიერ, უკუქცეულნი იქნნენ.

მტერი ჯავახეთში გადავიდა, გზას ძარცვა-რბევით იკვლევდა და მოსახლეობას იკლებდა. შეშინებული ხალხი შავშეთსა და აჭარაში გაიხიზნა. სარკინოზებს ძალიან გაუჭირდათ ყველის ციხეზე იერიშების მიტანა. ოცდარვა დღე იბრძოდნენ მეციხოვნეები, რომელთა სათავეში ჭაბუკი მხედარი გობრონი იდგა. ირგვლივმყოფნი გაკვირვებულები შესცქეროდნენ, ვერ გაეგოთ, საიდან ჩასახლებულიყო ამ ჭაბუკის სხეულში ამოდენა სიმამაცე და გამბედაობა. ხელჩართულ ბრძოლაში, ციხის გარეთ თუ შიგნით გამოირჩეოდა გობრონი და შეუძლებელი იყო, ადამიანის თვალს არ შეემჩნია იგი. ქართველთა მხედრული გმირობის შედეგად, არაბთა გვამებმა ლამის გაავსო ციხე, მაგრამ არ წყდებოდა სარკინოზთა ისრების წვიმა. ქართველთა რიცხვმა კლება რომ იწყო, მტერს ეს არ გამოჰპარვია. არც აბულ-კასიმის ბრძანება – გობრონის ცოცხლად შეპყრობა დაუტოვებია უყურადღებოდ. 133 მხედარი დაატყვევეს, რომელთა შორის გობრონის გარდა ყველა დანარჩენი სამიზნედ აქციეს: ჩაამწკრივეს და ერთიანად დახოცეს.

აბულ-კასიმი გობრონის მამაცობითა და სიჭაბუკით მონუსხულიყო. დიდი სურვილი გაუჩნდა, ასეთი ვაჟკაცი მისი ლაშქრის სარდალი გამხდარიყო. ამიტომაც, არჩევანის წინაშე დააყენა. გობრონისთვის კი ერთადერთი არჩევანი არსებობდა: მისთვის დიდება და პატივი, ოდენ „ენა, მამული, სარწმუნოება“ იყო. ამიტომ ნებისმიერი წამების ასატანად მზად აღმოჩნდა მისი სულიცა და სხეულიც. სარკინოზს უთქვამს: ნახოს თავისი თვალით ჩემ მიერ აღთქმული სიმდიდრე და დაჩეხილი მოძმეებიო... მაგრამ გობრონი წამითაც არ შეყოვნებულა. მან ასე მიმართა აბულ-კასიმს: „მე პირველადვე გითხარ შენ, არა მიდრეკად ქრისტეს უფლისა ჩემისაგან“.

ბევრი აღარ უფიქრიათ: გობრონი დარჩენილ ქართველ ტყვეებთან მიიყვანეს და მათი სიკვდილის მოწმე გახადეს. ქართველთა თავები ცვიოდა მის ფეხებთან. იდგა მშობლიურ, თბილ სისხლში გობრონი. ამ ტანჯვის შემყურეს გული გაყინვოდა ისე, რომ სხეულის არც ერთი ნაკვთი არ უტოკავდა.

წამების პირველ ეტაპს მეორე მოჰყვა: ახლა თვითონ გობრონს ეცნენ, თმით დაითრიეს და ორჯერ მსუბუქად დაჰკრეს ხმალი კისერზე, თითქოს გონზე მოყვანას უპირებენო. სისხლმა იფეთქა ჭრილობიდან. გობრონიც ელოდებოდა საკუთარი სხეულიდან გამოსული სისხლის ხილვას. მან ხელები შეიღება თავისივე სისხლით და შუბლზე ჯვარი გამოისახა. ასეთი რამ ჯერ არ ენახათ სარკინოზებს. ასეთმა პროტესტმა და გაკერპებამ იძულებული გახადა ჯალათები, კვლავ აბულ-კასიმთან მიეყვანათ გობრონი და მას გადაეწყვიტა ამ უცნაური ჭაბუკის ბედი.

კვლავ ხვეწნა-მუდარა ამოუვიდა პირიდან სარკინოზების მბრძანებელს: რად იკლავ თავს?! ყური დამიგდე, რასაც შეგპირდი, ყველაფერს შეგისრულებ, უმდიდრეს კაცად გაქცევ, ოღონდ განუდექი ქრისტეს სჯულსო.

და აი, უკანასკნელი სიტყვები, თქმული გობრონის მიერ: „იქმოდე რაიცა გნებავს. მე ქრისტიანი ვარ და ქრისტიანადვე დავრჩები აწ და მარადის“.

... რარიგ ჰგავს ერთმანეთს ჭეშმარიტ მორწმუნეთა, მოწამეთა საბოლოო სიტყვები! როგორ მოწიწებასა და პატივისცემას აღძრავს თითოეული ადამიანის გულში! როგორი მაგალითის ძალა აქვს უთვალავი თაობისთვის!

914 წლის 17 ნოემბერს გობრონს თავი მოჰკვეთეს. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა გობრონი და მას ახალი სახელი – მიქაელი უწოდა. მისი ხსენების დღედ კი 30 ნოემბერი დააწესა.

ნინო შევარდნაძე

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების მეკარე როლანდ ერაძე ისლანდიის წლევანდელი ჩემპიონატის გამორჩეული პრიზის მფლობელი გახდა: ის არა მარტო საუკეთესო მეკარედ დაასახელეს, არამედ საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს. შვებულებით საქართველოში ჩამოსულ როლანდს სასაუბროდ შინ ვეწვიეთ.

თბილისში თამაშის დროს (მარცხნიდან მეორე)

როლანდ ერაძე:

„ქვეყნის პრეზიდენტი ტრენაჟორებზე ჩემთან ერთად ვარჯიშობს“

შურაბ ტაბატაძე

– რეიკიავიკის „ვალური“ – ასე ჰქვია კლუბს, რომელსაც 90 წლიანი ისტორია აქვს. ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდია – მრავალგზის ჩემპიონი, თასის 8 გზის მფლობელი. ხელბურთში სულ სამი ლიგაა. უმაღლეს ლიგაში შარშან 12 გუნდი იყო, აქედან 11 ჩემპიონობისთვის იბრძოდა: თანაბარი სიძლიერის გუნდებია.

— წელს თქვენი გუნდი რომელ ადგილზე გავიდა?

– ძალიან დაძაბული ბრძოლა გვქონდა. ჩემპიონატის ბოლოს 8 გუნდი გადის ფლეიოფში. მეოთხედფინალური მატჩი მოვიგეთ. ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონს, პატარა ქალაქ ხაფნა-ფიორზას „ხოიკერს“ გადავეყარეთ. პირველი თამაში გასვლაზე 6 ბურთის სხვაობით წავაგეთ, შინ 6 ბურთით მოვუგეთ. წესდების შესაბამისად, დამატებითი, მესამე თამაში მათ ქალაქში გაიმართა. ძირითადი და დამატებითი დროც ფრედ დამთავრდა. შემდეგ კი,,,ოქროს გოლის“ პრინციპით,დავმარცხდით. აი, მატჩი მესამე ადგილისთვის კი ადვილად მოვიგეთ. ბრინჯაოს მედალი, ჩემპიონატის საუკეთესო მეკარისა და საუკეთესო მოთამაშის პრიზები – ასეთია წლევანდელი მონაგარი.

— მეკარის ადგილი თავიდანვე მოგწონდა?

– არა, მეკარე სრულიად შემთხვევით გავხდი. 14 წლის ვიყავი, ხელბურთის სკოლაში რომ მოვხვდი. თავიდან წინა ხაზზე ვთამაშობდი. 2 თვის შემდეგ მეკარე ავად გაგვიხდა და მთხოვეს, კარში დავმდგარიყავი. ჩემი პირველი მწვრთნელი ალექსანდრე ხუციშვილი, თვითონაც მეკარე იყო და ალბათ ჩემი მონაცემებიც პირველად მან შეამჩნია. ცნობილ მეკარეს, აწ გარდაცვლილ ჯემალ აბაიშვილსაც ბევრჯერ მოუცია ჩემთვის სასარგებლო რჩევები.

— როგორი იყო შენი პირველი წარმატებები?

– ერთ წელიწადში მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონი გავხდი. შემდეგ იყო ტურნირი ვოლგოგრადში, სადაც საუკეთესო მოთამაშის პრიზი მერგო. ჩვენი გუნდი მთელი შემადგენლობით მიიწვიეს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში. შემდეგ „ბურევესტნიკის“ სათადარიგო შემადგენლობაში ჩამრიცხეს. სკოლა რომ დავამთავრე, ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩავაბარე. „ბურევესტნიკი“ ერთი წლით პირველ ლიგაში გავარდა. 1989 წელს ისევ დავბრუნდით უმაღლეს ლიგაში, მაგრამ საბჭოთა კავშირი მალე დაიშალა და მეც 4 წელი არ მივარჯიშია. 1994 წელს „სტუ–შევარდენში“ მიმიწვიეს და 7-ჯერ გავხდი საქართველოს ჩემპიონი. 3-ჯერ ვიყავი მონაწილე ევროპის შესარჩევი თამაშებისა ნაკრების შემადგენლობაში, ორჯერ კი – მსოფლიო ჩემპიონატის ციკლისა.

— ქვეჯგუფში მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვეთ. შეიცვლებოდა თუ არა შენი კარიერა, გუნდს ფლეიოფში რომ არ წაეგო?

– მარტო ჩემი კი არა, მთელი ჩვენი გუნდის ბიჭების კარიერა შეიცვლებოდა. მაშინ ევროპის ჩემპიონატზე რომ გვეთამაშა, აუცილებლად მივიღებდით წინადადებებს ტრანსფერებზე. ძალიან კარგი გუნდი გვყავდა, თუმცა, არც ახლაა ურიგო.

— მერე იყო იუგოსლავია... ისიც, მხოლოდ 3 თვით...

– ზუსტად 3 თვე ვითამაშე ნოვისადის „ვოევოდინაში“: შემდეგ ბალკანეთზე ომი განახლდა, ბომბები ცვიოდა და მეც საქართველოში დავბრუნდი.

— მერე თითქოს საფრანგეთში აპირებდი წასვლას.

– საფრანგეთში ჩემი ქვისლი და ცოლისდა თამაშობენ: ფრენბურთელები არიან. მათთან ვაპირებდი ჩასვლას, რომელიმე კლუბში რომ გამომენახა ადგილი. ვიდრე წავიდოდი, ეროვნულ ფედერაციაში მთხოვეს, ჩემს გუნდში – „სტუ–შევარდენის“ შემადგენლობაში ჩემპიონთა თასზე მეთამაშა. კვიპროსის გუნდს მოვუგეთ პირველ წრეში, შემდეგ კი ესპანეთის „ბარსელონას“ (ის ხელბურთშიც ძალიან ძლიერია) გადავეყარეთ წილისყრით და, ბუნებრივია, გამოვეთიშეთ ასპარეზობას.



გუნდის მწვრთნელი გეიერ სვენსონი და მე, ძმაკაცები ვართ

— ისლანდიაში სათამაშოდ შარშან სექტემბერში გადახვედი. ვისგან წამოვიდა ეს წინადადება?

— გერმანიაში, მენეჯერთა ფირმაში მუშაობს წარსულში ცნობილი თბილისელი ხელბურთელი ალექსანდრე ანპილოგოვი. მისი დახმარებით მოვხვდი რეიკიავიკში: სასინჯ თამაშებზე გამომიძახეს. მხოლოდ 10 წუთი აკვირდებოდნენ ჩემს ვარჯიშს და იქვე კონტრაქტიც შემომთავაზეს.

— გამიგია, ისლანდიაში დალევა უყვართო. როგორ „დაასვეელეთ“ წლევანდელი ბრინჯაოს მედლები?

— ეროვნულმა ფედერაციამ გამარჯვებული გუნდები, როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს პრესტიჟულ რესტორან „საგაში“ მიიწვია და გრანდიოზული შოუც მოაწყო. ტელევიზიის პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა ყოველივე ეს: ისლანდიაში ხელბურთი პოპულარობით ფეხბურთს სჯაბნის.

— როგორი პირობები შეგიქმნეს კლუბის მეპატრონეებმა?

— 3 ოთახიანი ბინა მაქვს ოკეანის პირდაპირ. მყავს „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანა. ხელფასის გარდა, კლუბი მინაზღაურებს მგზავრობის ხარჯებს ოჯახის წევრებისთვისაც კი. მეუღლე მყავდა ჩაყვანილი 4 თვით... ახლა ბავშვიც მიმყავს, დამპირდნენ, რომ საბავშვო ბაღის ხარჯებსაც კლუბი თავის თავზე აიღებს. რომ დავბრუნდები, ალბათ ახალ მანქანასაც დამახვედრებენ.

— ქართველებს თუ ხვდები ისლანდიაში?

— ისლანდიაში სულ 11 ქართული ოჯახია. რეიკიავიკის გუნდში, თბილისში გაზრდილი ხელბურთელი ალა აკოფოვა თამაშობს. რუსეთის კლუბებში გამოდიოდა და იქიდან მოხვდა „გროტა-კრ“-ში. ძლიერი ხელბურთელია, საუკეთესო მოთამაშისა და საუკეთესო ბომბარდირის პრიზები ერგო. ალას მეუღლე და ვაჟიშვილი ლევანიც ისლანდიაში ცხოვრობენ... იქაურ ქართველებთან ოჯახებით ვმეგობრობთ. მიხარია, რომ ქართულად ლაპარაკის საშუალება მაქვს, — თანაც საოცარი გულშემატკივრები არიან.

— ჩვენი ნაკრებიდან ვინმეს წაყვანას ხომ არ აპირებ ისლანდიაში?

— ბექა ორჯონიკიძის წაყვანა მინდა და მისი თამაშის ამსახველი ვიდეოკასეტები უნდა წავიღო. ტექნიკური აზროვნებით, ჩვენი ბიჭები აშკარად სჯაბნიან ისლანდიელებს, თუმცა ფიზიკურად, ისინი ჩვენებზე უკეთ არიან მომზადებულები. ეს არცაა გასაკვირი — მათ ხომ საუცხოო პირობები აქვთ ვარჯიშისათვის!..

— ჩვენი ნაკრების წევრი სხვა ბიჭების ტრანსფერების საქმე როგორღაა?

— ჩვენი წამყვანი ხელბურთელი ტიტე კალანდაძე ახლა თბილისშია: ოპერაციის შემდეგ გამოკეთდა და ნელ-ნელა იბრუნებს ჩვეულ ფორმას. ის ალბათ ისევ იტალიაში წავა, თუმცა, როგორც გავიგე, პორტუგალიაშიც ეპატიჟებიან. ზოგი გერმანიაში თამაშობს, ზოგი ბელგიაში, ზოგიც საბერძნეთში. ჩერნიგორიის „ლოვჩენში“ მოთამაშე სერგო დათუკიშვილი წლეულს იუგოსლავიის ჩემპიონი გახდა.

— ევროთასებზე თამაში თუ მოგიწევს?

— ევროთასებზე თამაშის უფლება კი მოვიპოვეთ,მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, წელს არ ვიასპარეზოთ ამ ტურნირზე: სამმა გამოცდილმა მოთამაშემ დატოვა გუნდი ასაკის გამო, გუნდის გაახალგაზრდავების პროცესი მიდის. ახლა ორი ლეგიონერი დავრჩით, მეორეც მეკარეა — ლიტველი პეტკიავიჩუსი, რომელიც იშვიათად მცვლიდა ხოლმე, თუმცა 27 წლის ეს სპორტსმენი თავისი ქვეყნის ნაკრებში №1 მეკარეა.



საოცრად მენატრებოდა 2 წლის მარიამი, რომელიც ახლა თან მიგვყავს

— რამდენი წელი აპირებ ისლანდიაში დარჩენას?

— კონტრაქტით კიდევ სამი წელი უნდა ვითამაშო. ჯერჯერობით პირობები მაკმაყოფილებს. მე ხომ ბევრი რამ ჯერ კიდევ წინ მაქვს: ახლა 30 წლის ვარ, რუსი მეკარე ანდრეი ლავროვი 39 წლისაა და ახლაც თამაშობს გერმანიის საკლუბო გუნდში. შემდგომში თუ უკეთესი ვარიანტი შემომთავაზეს, სხვა ქვეყანაშიც შეიძლება გადავიდე.

— თავისუფალ დროს რას აკეთებ?

— საოცრად წყნარი და მშვიდი ქვეყანაა ისლანდია. მოსახლეობა სულ 250 ათასს აღწევს, დედაქალაქში კი — მხოლოდ 100 ათასი ცხოვრობს. თავისუფალ დროს მთელი გუნდი ბარში მივდივართ ხოლმე: ვსვამთ ლუდს, ვთამაშობთ კეგლს... ხშირია გადაპატიჟებები ოჯახურ პურმარილებზე, როცა ვინმეს დაბადების დღე აქვს. ენის ბარიერი არ მაქვს — ინგლისური ყველამ იცის, თუმცა, სალაპარაკო ისლანდიურსაც ვსწავლობ თანდათან. ცხოვრების დონე კი მაღალია ამ ქვეყანაში, თუმცა თავისთავად, ყველაფერი ძვირი ღირს: მაგალითად, სიგარეტი — 5 დოლარი, პური — 7, 1 კგ ხორცი — 10 დოლარამდე. ყველაზე ძვირი, სასმელია: 1 ბოთლი არაყი 50 დოლარი ღირს.

— ისლანდიაში საცხოვრებლად დარჩენასაც ხომ არ აპირებ?

— წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. მინიმუმ 7 წელი უნდა იცხოვრო იქ, მოქალაქეობის მიღება თუ გინდა. საოცრად პატარა და მშვიდი ქალაქია რეიკიავიკი. სპორტსმენებს ყველა ცნობს. მე პირადად ხანდახან ტაქსიში ფულს არ მახდევინებენ ხოლმე. გულშემატკივრები პურს მიგზავნიან საკუთარი საცხობიდან. უფრო მეტს გეტყვით: მთელი გუნდი ტრენაჟორებზე სავარჯიშოდ დავდივართ დარბაზში, სადაც ჩვენ გვერდით ქვეყნის პრეზიდენტიც ვარჯიშობს. არავითარი დაცვა — ის სუპერმარკეტშიც თვითონ დგება რიგში და ოჯახობაც საკუთარი მანქანით დაჰყავს ხოლმე.

— გუნდის ხელმძღვანელო-

მეუღლესთან, ნაგალიასთან და რუს ხელბურთელთან ალისა ზუევასთან ერთად

ბასთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?

— გუნდის მწვრთნელი გეიერ სვენსონი და მე ძმაკაცები ვართ, ოჯახებით ვმეგობრობთ. ამ დღეებშიც დამირეკა თბილისში. ის ხაზის მოთამაშე იყო. ამ ლეგენდარულ ხელბურთელს სუპერთასი აქვს მოგებული, ევროპის 7 საუკეთესო მოთამაშეთა შორის დაასახელეს. უთამაშია გერმანიის, საფრანგეთისა და ესპანეთის უძლიერეს საკლუბო გუნდებში. გუნდის პრეზიდენტი გისლი იოჰანსონიც თავის დროზე ხელბურთელი იყო და ამავე კლუბში თამაშობდა. მასთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. მენდობა და მეც მინდა, რომ იმედები არ გავუცრუო. ხშირად გვეპატიჟება თავისთან ოჯახში. წამოსვლის წინ მე და ჩემი მეუღლე რესტორანში დაგვპატიჟა.

— ნოსტალგია არ გაწუხებს? ნაკრების თამაშებზე რატომ არ ჩამოხვედი?

— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები ჩემი მიზეზით არ გამიცდენია: ჩვენს ფედერაციას ფული არ ეყო, მგზავრობის ხარჯები რომ აენაზღაურებინა, ჩემი ფულითაც ვერ ჩამოვიდოდი, იმდენად ძვირია ბილეთები. ნოსტალგია ქართულ პურმარილზე და მეგობრებზე ნამდვილად მაქვს, საოცრად მენატრებოდა 2 წლის მარიამი, რომელიც ახლა თან მიგვყავს.

— სახელგანთქმულ ისლანდიურ გეიზერებში თუ გიბანავია?

— „ბლუ-ლაგუნ“ — ასე ჰქვია ბუნებრივი წყლების დიდ აუზს: გარშემო თოვლია, 10 გრადუსი ყინვაა, შენ კი ღია ცისქვეშ ბანაობ... წელს ჯეკ ნიკოლსონი და ფრენსის ფორდ კოპოლა იყვნენ ჩამოსულები სპეციალურად საბანაოდ, საკუთარი თვითმფრინავებით... მე თქვენ გეტყვით და, ვიზებზე „ჩალიჩი“ დასჭირდებოდათ...

■

ლო

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის

უშის წიგნაკიდან:

1. ჰიტლერი სტალინზე ათი წლით უმცროსი იყო.

2. ე.წ. ვარდების ომში პლანტაგენეტების ორი დინასტია, ლანკასტერები და იორკები ჟუჟავდნენ ერთმანეთს. ლანკასტერების გერბზე წითელი ვარდი იყო გამოსახული, იორკების გერბზე – თეთრი. P.S. ეს ომი ლანკასტერებმა წააგეს.

3. ნოე მათუსალას შვილიშვილი იყო.

4. ფაროსთან ბრძოლაში ეგვიპტელები კეისრის ნავს გარს შემოერტყნენ და ისრები დაუშინეს. კეისარი წყალში გადახტა. ამ დროს მას საკუთარი ჩანაწერების მრავალი წიგნაკი ეჭირა ხელში. მიუხედავად იმისა, რომ ისრებისაგან თავის დასაცავად წყალში ჩაყვინთვა უწევდა, წიგნაკებისთვის ხელი არ გაუშვია. ისინი ცალი ხელით მაღლა ეჭირა და მეორე ხელით მიცურავდა.

5. ბომარშეს მამა მესაათე იყო.

6. კარლო გამბინო, სალვატორე მარანძანო, სემ ჯანკიანე, ვიტო ჯენოვეზე, ჯოზეფ კოლომბო, ჯონ როსელი, ჯო გელო – ეს სია სიცილიური წარმოშობის მქონე ამერიკელ მაფიოზთა ჩამონათვალია. P.S. კაპო დე ტუტი კაპო (პატრონი პატრონთა შორის) – ასე იხსენიებენ იტალიელი მაფიოზები თავიანთ უპირველეს ზვიგენებს.



7. ნოდარ დუმბაძეს რომ სიმაღლის შიში არ აწუხებდა, დანამდვილებით არის ცნობილი. იგი ელგუჯა ამაშუკელის „ქართლის დედაზე“ აძვრა, მკერდზე ეამბორა, შამპანურით დალოცა და უკანაც მშვიდობით ჩამოვიდა.

8. აზიური ტურა თანამომძეებს არასოდეს უყოფს ნადავლს. იღბლიანი ნადირობის შემდეგ იმართება სასტიკი ჩხუბი და ნადავლი მთლიანად გამარჯვებულს ხვდება წილად.

9. აზიაში ლაშქრობის წინ, ცხრა დღე, ცალ-ცალკე, ცხრავე მუზის სახელზე იზეიმა და ინადიმა ალექსანდრე მაკედონელმა და მეათე დღეს – ჩვენს წელთ, აღრიცხვამდე 334 წლის 9 მარტს, აზიისაკენ დაიძრა.

10. ელინიზმმა მსოფლიოს სამი ათასამდე ხელოვანი და მეცნიერი მისცა.

11. II მსოფლიო ომის დროს იაპონელებმა ატმოსფეროს მაღალ ფენებში სწრაფი საჰაერო დინება აღმოაჩინეს და ეს აღმოჩენა სამხედრო მიზნებისათვის გამოიყენეს: მათ

170 წლის მითი

კოჭოია პაპავა... თუ საოცარი რეალობა?

თამაგ ხაბეიშვილი

ბორანი მთელი ზუგდიდი ურეკმი

1932-1935 წლებში ზუგდიდში ისტამბებოდა გაზეთი სახელწოდებით „ყაზაყეში გაზეთი“, რაც „გლეხის გაზეთს“ ნიშნავს. ამ მეგრული გამოცემის ინიციატორი ისაკ ჟვანია გახლდათ. თავის დროზე, ამ ფაქტმა აღაშფოთა ქართველი ინტელიგენცია. ჟვანიას განსაკუთრებულ წინააღმდეგობას ადგილობრივი მეგრელები უწევდნენ. ცნობილია ისიც, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ ხანჯლით გაიწია ისაკ ჟვანიაზე, რომელსაც, როგორც ჩანს, სეპარატისტული მიზნები ამოძრავებდა. მოგვიანებით, 1937 წელს ბერიამ ჟვანია უკვალოდ გააქრო.

თავისთავად ასეთი გაზეთის გამოცემა, რა თქმა უნდა, მისასალმებელი არ გახლდათ, მაგრამ მასში დაბეჭდილია ერთი სენსაციური წერილი, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია.

1935 წლის ერთ-ერთ ნომერში ვ. თოფურიძის პუბლიკაციაში „კოჭოია პაპავა“, ვკითხულობთ: „ერთ დღეს ღრმად მოხუცებულ კოჭოია პაპავას ვესტუმრე. იგი ზუგდიდში, სოხუმის ქუჩაზე, ბოტანიკური ბაღის პირდაპირ ცხოვრობს. ჩემს შეკითხვაზე, რამდენი წლის ბრძანდებით-მეთქი, მიპასუხა, – 170 წელზე მეტი ხნისა ვარო. კოჭოიას გუშინდელ დღესავით ახსოვს ის დრო, როდესაც ზუგდიდში მის გარდა, არავინ ცხოვრობდა, როცა იქაურობა უღრან ტყეს წარმოადგენდა. ალაგ-ალაგ გატეხილ ახოებზე სიმინდს თესდა. კოჭოიას თვალნათლივ ახსოვს დადიანების სასახლის მშენებლობა: იმ დროს ურმები არ ჰქონდათ და სამშენებლო ქვებს, ვინ ზურგით და ვინ მარხილით ეზიდებოდაო. უტუ მიქავა კოჭოიასთან შედარებით ბავშვია. მას მეოთხე ცოლი ჰყავს, ისიც ძალზე მოხუცია, არც ახსოვს რამდენი წლისაა. კოჭოია პაპავა ჯერაც საღად აზროვნებს. არც ერთი წინა კბილი არ აკლია, გამართული დადის, ოღონდ მხედველობას და სმენას უჩივის“.

დავუშვათ, გაზეთში შეცდომაა გაპარული და 170 წლის ნაცვლად, 110 უნდა იყოს. მაშინ, ბუნებრივია, მომდევნო ნომრებში შეცდომის გასწორება იქნებოდა დაბეჭდილი, რასაც ვერსად წავაწყდით. არადა, სხვა სტატიების შესწორებები ხშირად გვხვდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამხელა ტყუილს ზუგდიდის მოსახლეობა გაზეთს არ აპატიებდა.

ისტორიული წყაროების მიხედვით, კოჭოიას ნათქვამი სიმართლეს ჰგავს. და კიდევ, თუ ის 110 წლის იყო (და არა 170-ის), მაშინ მას არ ემახსოვრებოდა ის პერიოდი, როცა ზუგდიდის ადგილას უსიერი ტყე იყო. ასე რომ, არც გაზეთი უნდა ტყუოდეს და არც კოჭოია. ყურადსაღებია ერთი ფაქტი: უხუცეს კაცს ოთხი ცოლი ჰყოლია. აქედან გამომდინარე, შვილიც უნდა დარჩენოდა და შვილიშვილიც, მაგრამ მისი შთამომავლობის შესახებ ზუგდიდში ვერანაირი ცნობა ვერ მოვიპოვეთ.

ერთი შეხედვით ისე ჩანდა, რომ ზუგდიდმა დაივიწყა კოჭოია პაპავა, — კაცი, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს ზუგდიდის ერთ-ერთ ფუძემდებლად. თუმცა... გარკვეული პერიოდის შემდეგ შევხვდი პიროვნებას — კახა ლეჟავას, რომელიც კოჭოიას არაპირდაპირი შთამომავალი უნდა იყოს, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, კოჭოია პაპავა მისი დიდ ბებიის — ძაგულის პირველი ქმარი ყოფილა. ძაგული შანახეს (იგივე შანავა) კოჭოიასგან შვილი არ შესძენია, რაც ოჯახის დანგრევის მიზეზი გამხდარა. მეორედ ქალი ლეჟავას გაჰყოლია ცოლად. როგორც კახა ლეჟავა გადმოგვცემს, ბებია თურმე სულ პირველ ქმარს მისტიროდა. ხშირად იხსენებდა მის ვაჟკაცობას. კოჭოია, მისი მონაყოლით, 1764-65 წლებში დაბადებულა სოფ. ცაიშში. 12 დედმამიშვილი ჰყოლია, რომლებიც კოჭოიასავით მათუსალას ხნის მოყრილან. სამწუხაროდ, მათ შესახებ ჯერჯერობით ვერაფერი შევიტყვეთ.

„ბავშვობაში დიდ ბებიას ხშირად ვეკითხებოდით ხოლმე, — რა იყო პაპავას ხანგრძლივი ცხოვრების საიდუმლოო? — იხსენებს კახა ლეჟავა. — ბებია გვპასუხობდა, — ჯიში და კაიკაცობაო. კაიკაცობაში პაპავას უწყინარ ხასიათს გულისხმობდა. თურმე სანამ ძალიან არ გააბრაზებდნენ, კოჭოია არავის აწყენინებდა, ავს ვერავისზე დააცდენინებდით, ყაჩაღობისა და ცუდკაცობის დროს თავისი შრომითა და ნადირობით არჩენდა ოჯახს, ხელი სხვის კუთვნილზე არასოდეს წასცდენიაო“.

ლეჟავას თქმით, თურმე ძალიან საამო სანახავი ყოფილა ცხენზე ამხედრებული, სანადიროდ მიმავალი კოჭოია. ნადირობიდან დაბრუნებული ხელცარიელი არავის ახსოვს. დიდი ბებიის გადმოცემით, კოჭოიას ნაკლი ის იყო, რომ ქალები ჰყვარებია (ნაკლია ვითომ?). პირველი ცოლი ისეთი კაპასი შეხვედრია, ერთი წლის მერე თავისივე ხელით მიუბრუნებია ოჯახში — ქალი კი არა, ქაჯიაო, უთქვამს სიმამრისათვის. მეორე ცოლი ქორწილიდან მოუტაცია: ძალით გაუთხოვებიათ. კოჭოიას იგი კარგა ხანია, გულში ჰყოლია ჩავარდნილი, არც ქალი ყოფილა გულგრილი... შეურაცხყოფილ საქმროს ბატონთან უჩივლია. პატარძალთან ერთად გახიზნული კოჭოია, ბატონს დაუბარებია, მისი საქციელი დაუგმია და ქალის არშემდგარ ქმართან მორიგება უბრძანებია. საქმროს კოჭოიასათვის იმ თანხის გადახდა, რომელიც პატარძალს მის ოჯახში მზითვად უნდა მიეტანა და თან საჯაროდ ბოდიშის მოხდაც მოუთხოვია. დათქმულ დღეს სანახშოზე კოჭოიას უარყოფილი საქმროსთვის ფული ფეხებში მიუყრია — აი ის, რაც ქალის სანაცვლოდ მოითხოვე, ახლა კი ბოდიში ვინ უნდა მოიხადოს, ხალხმა განსაჯოსო. კარგა ხნის შემდეგ კოჭოიას ის კაცი ფათერაკისგან უხსნია.

გადმოცემით, კოჭოია იმდენად პატივსაცემი ვაჟკაცი ყოფილა, რომ ბატონს მისი ცოლისთვის პირველი ღამის უფლება ვერ უკადრებია. იგი სიბრძნითა და ჭკუით განთქმული ყოფილა, მის სიტყვას ფეხს ვერ დაადგამდნენ. თუ ვინმე მეზობელს ცხენს მოჰპარავდა ან რამეს დაუშავებდა, კოჭოია იყო მშველელი და მტყუან-მართლის გამრიგე.

შესაძლოა, კოჭოია პაპავას დღეგრძელობის საიდუმლო მის უბრალოებაშიც იყო.

დაბოლოს, კახა ლეჟავა დამპირდა — თუ რამე ახალი შევიტყვე კოჭოიაზე, უსათუოდ შეგატყობინებთო. ეგებ მკითხველმაც იცოდეს რამე 170 წლის მოხუცზე? გამოგვეხმაურეთ.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

საჰაერო ბურთები ბომბებით აღჭურვეს და ამერიკის მიმართულებით გაგზავნეს. იარაღის ეს ახალი სახეობა 33 საათში აღწევდა ამერიკის კონტინენტს და ჭურვებს აშშ-ის ტერიტორიაზე ყრიდა. ერთ-ერთმა ასეთმა ბომბმა მიტჩელების ოჯახი შეიწირა. მშვიდობიანი მოსახლეობიდან მხოლოდ ამ ოჯახის წევრები იყვნენ, ვინც II მსოფლიო ომის დროს აშშ-ის ტერიტორიაზე დაიღუპა. P.S. ამერიკელებმა მალე აღმოაჩინეს საჰაერო ბურთების მწარმოებელი ქარხნები და ავიაციის საშუალებით მათგან აღარაფერი დატოვეს.

12. ნაომი კემპბელს მართლაც რომ შესაშური აღნაგობა აქვს. გერმანელები ვერ ეგუებიან იმ ფაქტს, რომ შავკანიანი ტოპმოდელი ასეთი ლამაზი ნაკვთებისა და აღნაგობის პატრონია. ბევრ გერმანულ ჟურნალში შეხვდებით ნაომის ფოტოს, სადაც მის ფეხებს ყოვლად უსინდისოდ ფარავს სარეკლამო წარწერა, მაშინ, როდესაც იმავე ჟურნალებში თავიანთი თანამემამულე კლაუდია შიფერი მთელი თავისი ბრწყინვალებით არის წარმოდგენილი.

13. დასვენებისას სირაქლემები მართლაც ყოფენ თავს ქვიშაში. ისინი ნიადაგის ვიბრაციას გრძნობენ და ამ გზით იგებენ მტრის მოახლოებას.

14. ქარი ცათამბჯენების პირველი მტერია. P.S. ნიუ-იორკის ცნობილი ცათამბჯენი სიტიკორპი ისეა აშენებული, რომ ძლიერი ქარის დროს შეუძლია გადახაროს, იქანაოს, შებრუნდეს კიდეც და მიუხედავად ამისა, არ დაზიანდეს.

15. ჩვეულებრივი სვავი ერთადერთი ფრინველია, რომელიც ქვებს, როგორც იარაღს, ისე იყენებს. მათი გამოყენებით იგი სირაქლემას კვერცხებს ამტვრევს და ჭამს.

16. არაოფიციალური და არასერიოზული წყაროების მიხედვით, ხაში, პახმელიიდან გამოსვლის ეს უებარი საშუალება, რაჭველების მოგონილია. საწყლებს ხორცის ფული არა ჰქონდათ, იყიდეს ძვლები, მოხარშეს და ნახარშს მარილი უქნეს. „ე ბიჭო, ამან არ მოგვწამლოსო“ — იფიქრეს მერე და ნირიც უქნეს ბლომად. P.S. „ქვე გამოვიდა ხაში“.

■

პიროკინეზის ფენომენი

რა იწვევს ცოცხალი ადამიანის აალებას?

ეს ამბავი 1969 წელს, ლუქსემბურგის ერთ ქუჩაზე მოხდა. დარა მეტცელი თავის ავტომანქანაში იჯდა. უეცრად, მისი სხეული მოგიზგიზე ჩირაღდნად იქცა. რამდენიმე ჯაცი მას საშველად მივარდა, მაგრამ ამაოდ – ის სულ რამდენიმე წამში დაიფერფლა. თუმცა, ყველაზე საოცარი ამ ამბავში მაინც ის იყო, რომ მანქანის სალონი და ქალის სავარძელიც ცეცხლისგან სრულიად უვნებელი დარჩა.

იმავე წელს, ავტოფარეხში მდგარ თავის მანქანაში მჯდარი ალმოაჩინეს ტეხასელი მაიკლ ლიფშინი. მას სახე და ხელები დასწვოდა, თმა ჯი სრულიად ხელუხლებელი ჰქონდა. თავიდან პოლიციელებს ეგონათ, რომ საცოდავმა გამონაბოლქვით მოიკლა თავი, მაგრამ ავტომობილის ძარა იმდენად გახურებული იყო, რომ თითები დასწვა მათ... ამ და სხვა მსგავს ტრაგიკულ შემთხვევათა მიზეზად ძნელად ასახსნელი, იდუმალებით მოცული მოვლენა – თვითაალება იქცა.

ინციდენტები, რომელიც ადამიანთა თვითაალებითა და წამებში დაფერფვლით აღნიშნულა, უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. ისიც დადგენილია, რომ ცეცხლის გაჩენის მომენტში ალის ტემპერატურას 3000 გრადუსისთვისაც კი მიუღწევია! საკვირველი ის არის, რომ მსხვერპლის გვერდით მოთავსებულ ადვილად აალებად ნივთებს (ლოგინს, რომელზეც ეს ადამიანი იწვა, ავტომანქანის სავარძელს, ქაღალდს და სხვა ამგვარს) ცეცხლი არ შეჰხებია. ამას ადასტურებს ორი უკვე აღწერილი შემთხვევაც და ის ამბავიც, რომელიც 1992 წელს სიდნეიში რონ პრაისტს გადახდა: კაცი თავის საწოლში იწვა და სრულიად დაიფერფლა, ლოგინი და ბალიში კი უვნებელი დარჩა და ერთ მეტრში დადებულ ასანთის კოლოფსაც არ მოსდებია ცეცხლი.

საინტერესოა ისიც, რომ პიროკინეზის (როგორც თვითაალებას მეცნიერები უწოდებენ) მსხვერპლი ყოველთვის როდი იფერფლება. რამდენიმე წლის წინ მონღოლეთის ერთ-ერთ სოფელში ადგილობრივი მწყემსი არჟანდა დაიწვა (სხვათა შორის, მისი ტანსაცმელი არ დამწვარა), მისი მეწყვილე და ამ ამბის მომსწრე კი ასე აღწერს მომხდარს:

– ფარის ნაწილი წინ გავრეკე. არჟანდასთან რომ დავბრუნდი, გზაზე მჯდომი დამხვდა. როცა სულ ახლოს მივედი, დავინახე, რომ ნახშირივით შავი იყო. დახმარებისთვის, უახლოესი სოფლისკენ გავიქეცი. ჩემთან ერთად წამოსულმა არჟანდას ნათესავებმა ის ხის საკაცეზე დააწვინეს, მაგრამ საკაცეს კვამლი აუვიდა. როცა ნეშტი გადაასვენეს, ყველამ დაინახა, რომ ფიცარი დამწვარი იყო. ცოტა ხანი დავიცადეთ, სანამ გვამი გაცივდებოდა.

დაღუპულის მეწყვილე დაიჭირეს და განზრახ მკვლელობაში დაადანაშაულეს. მაგრამ როცა დაპატიმრებული მწყემსის სანახავად გამომძიებელი ციხეში მივიდა, მას ფერფლის გროვა დახვდა. მომხდარი ტრაგედია ყველასთვის აუხსნელი დარჩა.

სრულიად ფანტასტიკური ამბავი მოხდა კანადის ალბერტის პროვინციაში: ცოლქმარ მელბის ორი ქალიშვილი ერთდროულად აალდა – თუმცა გოგონები ქალაქის სხვადასხვა ადგილას, ერთმანეთისგან დაახლოებით 1 კილომეტრის მანძილზე იმყოფებოდნენ.

არანაკლებ იდუმალი შემთხვევა 1989 წელს, მიუნხენის მახლობლად მომხდარა: 13 წლის გოგონა იუტა აკორდეონზე უკრავდა, როცა მამამისმა ვერნერ როტკემ ბავშვის სასოწარკვეთილი კივილი გაიგ-

ონა. მის ოთახში რომ შევარდა, ალმოკიდებული იუტა აქეთ-იქით დარბოდა. გოგონამ სხეულის 30%-იანი დამწვრობა მიიღო, მამამისმა კი – მეორე ხარისხის დამწვრობა. მოგვიანებით იუტა ჰყვებოდა, რომ აკორდეონზე დაკვრის დაწყებისთანავე, ცეცხლის ალში გაეხვია...

1993 წლის გაზაფხულზე პერუს ქალაქ ორელიანოს ეკლესიაში საკვირაო წირვაზე შეკრებილები საოცარი სანახაობის მოწმენი გახდნენ. მღვდელი მგზნებარე სიტყვას წარმოთქვამდა, ცოდვილებს ჯოჯოხეთის საშინელებას უქადდა და უეცრად, არაადამიანური ღრიალი გაისმა... გაოცებულმა მრევლმა იხილა ხელაპყრობილი მღვდელმსახური, არაბუნებრივ პოზაში გაშეშებული. მომდევნო წამში კი, მისი გულმკერდიდან ცეცხლი ამოვარდა, თავად კი ნამდვილ ჩირაღდნად იქცა. შეშინებული ხალხი გასასვლელისკენ მირბოდა და ვერც ერთმა ადამიანმა ვერ ნახა ის, რაც შემდეგ გამომძიებლებმა დაფიქსირეს: კათედრაზე მღვდლის ხელუხლებელ სამოსში, ერთი მუჭა ფერფლიღა იყო.

ამ შემთხვევამ უამრავ ჭორს დაუდო სათავე. მორწმუნეებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ უფალმა რაღაც დიდი ცოდვებისთვის დასაჯა მღვდელი. ერთნი ამბობდნენ, უქორწინებლობის აღთქმის მიუხედავად, ის იმით სცოდავდა, რომ მალულად პორნოგრაფიულ ფილმებს უყურებდა, სხვები ამტკიცებდნენ – მღვდელმსახურმა სული ეშმაკს მიჰყიდაო. გაჩნდა საოცარი ვერსიაც: თითქოს, მღვდლის სამოსით მათ წინაშე თვით სატანა გამოდიოდა ხოლმე... მოწმეების დაკითხვის შემდეგ, პოლიციელებმა საქმე დახურეს.

პიროკინეზად წოდებული სასწაულებრივი ცეცხლი ფანტაზიის ნაყოფი ნამდვილად არ არის, თუმცა, ფიზიკისა და ქიმიის კანონების თვალსაზრისით, სრულიად შეუცნობელი მოვლენაა. ცნობილია, რომ ადამიანის სხეულის ორი მესამედი წყალს წარმოადგენს და მის დასაწვავად, დიდი რაოდენობის ენერგიაა საჭირო, ის კი ცოცხალ ორგანიზმს არ გააჩნია. კრემატორიუმშიც კი, გვამის ფერფლად ქცევას 2000 გრადუსიანი ტემპერატურა და ოთხიოდე საათი სჭირდება.

თვითაალების შემთხვევა ძალიან იშვიათად ხდება და მაინც, მხოლოდ გასულ საუკუნეში 19 ასეთი ფაქტია ცნობილი. მეცნიერები მათი ახსნისას, სხვადასხვა აზრს გამოთქვამენ. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გაჩნდა ვერსია, რომლის თანახმად, თვითაალების მსხვერპლი ჩვეულებრივ, ლოთია: მისი ორგანიზმი სპირტით არის გაჟღენთილი, ამიტომ, უბრალო ნაპერწკალიც საკმარისია, რომ ცეცხლი წაეკიდოს. ზოგი პიროკინეზს ადამიანის შინაგანი მდგომარეობით ხსნის: ცნობილია, რომ თვითაალების ბევრი მსხვერპლი ღრმა სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. არიან მკვლევარები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ პიროკინეზი სფერული ელვის შედეგია: ის ახლოს მყოფი ადამიანის ბიოველში აღწევს და ამ მიზეზით ხდება მყისიერი აალებაო...

მეცნიერები ორი ტიპის აალებას გამოყოფენ: პირველ შემთხვევაში ადამიანი სრულიად იფერფლება, მეორეში – თითქოს იხრუკება, მაგრამ მთლიან მასას ინარჩუნებს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სხეულის რაღაც ნაწილი ცეცხლისაგან ხელუხლებელი რჩება.

შვეიცარიელმა მეცნიერმა ლუდვიგ შუმახერმა პიროკინეზის თავისებური ახსნა წარმოადგინა. „რატომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, – ამბობს იგი, – რომ არსებობს მეცნიერებისთვის ჯერჯერობით უცნობი გამოსხივება, რომელიც ჩვენ გვერდითაა?! განსაზღვრულ პირობებში, ორგანიზმის ბიოველთან ურთიერთქმედების შედეგად, ის აფეთქებას იწვევს, რომელიც ცოცხალი სხეულის აალებით მთავრდება. უეცრად გაჩენილი ენერგიის კონა შემოსაზღვრულია სივრცეში და შერჩევით მოქმედებს. სხეულის ის ნაწილი, რომელიც არ ხვდება ამ დასხივების სფეროში, ხელუხლებელი რჩება“.

ამ ცოტა ხნის წინ, იაპონელმა ხარუგი იტომ კიდევ ერთი ჰიპოთეზა წამოაყენა. მისი აზრით, პიროკინეზის მიზეზი დროის მდინარებაში მომხდარი ცვლილებებია. ჩვეულებრივ, ადამიანის სხეული გამოიმუშავებს და სივრცეში განავრცობს გარკვეული რაოდენობის სითბოს, მაგრამ თუ რაღაც მიზეზით, ორგანიზმში მკვეთრად ნელდება ფიზიკური პროცესები (მათ შორის, ატომების მოძრაობა), კანის ზედაპირზე კი ამ პროცესების სიჩქარე უცვლელი რჩება, გამომუშავებული სითბო უბრალოდ, ვერ ასწრებს სივრცეში გასვლას და ადამიანს ცეცხლად მოედება.

ბოლო დროს მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ენერგიის წყაროს ცოცხალ უჯრედში თერმობირთვული რეაქცია წარმოადგენს. ამ ვერსიის თანახმად, გარკვეულ პირობებში, ორგანიზმის უჯრედებში ატომური ბომბის აფეთქების იდენტური, უცნობი ენერგეტიკული პროცესები ვითარდება, რომელიც ზემოქმედებას არ ახდენს მეზობელი მატერიის მოლეკულებზე (ტანსაცმელზე, ავტომანქანის სავარძელზე)...

როგორც ხედავთ, ვერსია უამრავია და მეცნიერები ერთიან შეხედულებამდე ვერ მისულან. ნათელი ჯერჯერობით მხოლოდ ერთი რამ არის: პიროკინეზი ფანტასტიკა როდია, ის მხოლოდ კიდევ ერთი, დღემდე გამოუცნობი, იდუმალი მოვლენაა.

■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რომელ ძვეყანაში ბინადროს ალიგატორები?

ა) ინდოეთში;
ბ) ჩინეთში;
გ) ავსტრალიაში.

2. სივრცის შიშს, როდესაც ადამიანი ვერ ახერხებს გადაიაროს მოედანი ან დიდი დარგაზი, ეწოდება:

ა) კლაუსტროფობია;
ბ) პარანოია;
გ) აგორაფობია.

3. ვინ უწოდებდა მექანიკას „მათემატიკურ მეცნიერებათა სამოთხეს“?

$$\int_{-\infty}^{0} x^2 \sin y\,dx\,dy + \int_{0}^{5} (z + \ln y)^3\,dz\,dy:$$

ა) ლეონარდო და ვინჩი;
ბ) არქიმედე;
გ) პითაგორა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ხახელოვან მამაკაცებთან რომანების შემდეგ

შირლი მაკლეინი ახალმაზრდა მეგზურზე ოცნებობს

შირლი მაკლეინს სამოცდაშვიდი წელი შეუსრულდა. ის წითურია, მხიარული და მუდამ იცინის. შირლის ბავშვური ჭორფლი და პროფესიონალი მოცეკვავის უბერებელი ფეხები აქვს. მას ასევე ჰყავს ცნობილი ძმა – უორენ ბიტი და უამრავი მეგობარი ჰოლივუდის ბოჰემური წრიდან

ხუთიოდე წლის წინ ის გასტროლებით პარიზს ეწვია და იცეკვა. მაკლეინი დღესაც ცეკვავს და... წერს. შირლის ახალი წიგნის სახელია „ჩემი ცხოვრების ვარსკვლავები". ამჟამად ის ლიზ ტეილორთან ერთად მონაწილეობს ერთ-ერთ ტელეფილმში. ფილმ „ბრუნოში" მისი სარეჟისორო დებიუტი შედგა. შირლი ძველებურად ხშირად სტუმრობს ევროპას, მისი რვა ბინიდან ერთ-ერთი ჰოლივუდის პლაჟზე მდებარე ცათამბჯენშია. შირლის რანჩოც აქვს მექსიკაში.

მსახიობი 1934 წელს, ვირჯინიის შტატის ქალაქ რიჩმოდნში დაიბადა. მისი ნამდვილი სახელია შირლი მაკლინ ბიტი. სახელი გოგონას, მის ბავშვობაში პოპულარული მსახიობის – შირლი ტემპლის პატივსაცემად დაარქვეს. მამამისი ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის პროფესორი იყო, დედამისი – მსახიობი და დრამატული ხელოვნების პედაგოგი. შირლის უმცროსი ძმა ცნობილი მსახიობი უორენ ბიტია. დედამ შვილების გაჩენისთანავე მიატოვა კარიერა და ჩვეულებრივი დიასახლისი გახდა.

ორი წლის ასაკიდან შირლი ვაშინგტონის საბალეტო სკოლაში დაჰყავდათ.

უმაღლესი სკოლა გოგონამ არლინგტონში დაამთავრა და ნიუ-იორკში გადავიდა, სადაც მოდელის კარიერის შექმნას შეუდგა. სულ მალე ბროდვეის ერთ-ერთი თეატრის სპექტაკლში მასობრივ სცენაში მიიღო მონაწილეობა, მაკლეინის ვარსკვლავური ჟამი კი, 1954 წელს დადგა, როცა მიუზიკლში – „თამაშები პიჟამებით" მთავარი როლის შემსრულებელმა ფეხი მოიტეხა და როლი შირლის ერგო. გამოსვლის შემდეგ, ცნობილმა კინოპროდიუსერმა კონტრაქტი გაუფორმა.

1955 წელს მაკლეინის კინოდებიუტიც შედგა – ალფრედ ჰიჩკოკის „შავ" კომედიაში „უსიამოვნებები ჰარისთან". ფილმიდან აღებული ჰონორარით ქალმა მალიბუში ბინა შეიძინა, სადაც დღემდე ცხოვრობს, როცა ლოს-ანჯელესში უწევს ჩასვლა.

1954 წელს შირლი მსახიობ სტივ პარკერს გაჰყვა ცოლად. დროის დიდ ნაწილს სტივი იაპონიაში ატარებდა. 1964 წელს მათ ქალიშვილი სტეფანი საჩიკო შეეძინათ. შვიდი წლიდან გოგონა მამასთან ცხოვრობდა, რადგან მშობლებმა გადაწყვიტეს, უმჯობესი იქნებოდა, რომ საჩიკო ჰოლივუდისგან მოშორებით გაზრდილიყო. მიუხედავად ამისა, დედასა და შვილს ერთმანეთთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ.

1982 წელს, 28 წლიანი ოჯახური თანაცხოვრების შემდეგ შირლი და სტივი ერთმანეთს დაშორდნენ.

შირლი სულ ცხრამეტი წლის იყო, როცა ჰიჩკოკის ფილმში მიიღო მონაწილეობა. სტუდიამ მას კონტრაქტი გაუფორმა, მაგრამ ზუსტად არცკი იცოდნენ, რას მოითხოვდნენ გოგონასგან. სწორედ ამ დროს ალფრედ ჰიჩკოკი გოგონას ეძებდა თავისი ფილმისთვის. რეჟისორისა და მსახიობის შეხვედრა ნიუ-იორკის ერთ-ერთ სასტუმროში მოხდა. პირველი, რაც

ქალიშვილ საჩიკოსთან და მეუღლესთან, სტივ პარკერთან ერთად

შირლის თვალში მოხვდა, ის იყო, რომ ჰიჩკოკი ძალიან სქელი და მოკლეფეხება კაცია... მათ სცენარის კითხვა დაიწყეს, მაკლეინს კი სცენარი მანამდე არასოდეს სჭეროდა ხელში, ამიტომ ცდილობდა, რეჟისორზე შთაბეჭდილება მოეხდინა და რაც შეიძლება ხალისიანად და ბუნებრივად წაეკითხა.

შირლი მაკლეინი ჰოლივუდში 50-იან წლებში ჩავიდა. ეს სწორედ „ოცნებების ფაბრიკის" აყვავების ხანა იყო. შირლი იმ დროს თავის „ოქროს ეპოქად" მოიხსენიებს. „მაშინ ჰოლივუდი გრანდიოზული იყო, – იხსენებს მსახიობი, – რა თქმა უნდა, ტელევიზიასთან არანაირ კონკურენციაზე საუბარიც არ იყო, საზოგადოებრივი ცხოვრება ჩქეფდა, ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს ყველანი ერთ კომუნაში ვცხოვრობდით. აგენტების სისტემა, დღეს არსებული სახით, მაშინ არ იყო და მსახიობებს თავიანთი წარმოჩენა ძირითადად ღამის კლუბებში უხდებოდათ. მე უცებ ავითვისე ჰოლივუდის ძირითადი კანონი: ვარსკვლავი სტუდიაში ყოფნის დროს ხარ, შემდეგ კი, უბრალოდ, შინ ბრუნდები და ზღაპარიც მთავრდება – აღარ არსებობს: ყოველივე იქ, გადასაღებ მოედანზე რჩება. ამაში, რა თქმა უნდა, მე მხოლოდ კარგს ვხედავ".

შირლი მაკლეინს უამრავი შესანიშნავი პარტნიორი ჰყავდა, მათგან რომელიმეს გამორჩევაც კი უჭირს: ივ მონტანი, მორის შევალიე, ჯეკ ნიკოლსონი, ალენ დელონი... შირლი იხსენებს, რომ მორის შევალიე ძალიან მომხიბლავი იყო, ივ მონტანში გალანტური ჯენტლმენისა და რევოლუციონერის თვისებები იყო გაერთიანებული, ალენ დელონს კი თურმე საოცრად უყვარდა სისწრაფე: ერთხელ მან შირლი იტალიიდან სამხრეთ საფრანგეთში სამ საათში ჩაიყვანა და თან უბრძანა, – გზაში ხმა არ ამოიღო, რომ ყურადღება არ გამეფანტოსო... შირლი მთელი გზა შიშისგან კრთოდა და ფიქრობდა, რომ ისინი აუცილებლად გადაიჩეხებოდნენ.

მაკლეინი დიდი სიამოვნებით იხსენებს გადაღებებს მერილ სტრიპთან ერთად და ამბობს, რომ მერილი მსოფლიოში საუკეთესო მსახიობია. მიუხედავად დიდი ურთიერთსიმპათიისა, ქალები ნამდვილ მეგობრებად ვერ იქცნენ, რადგან თურმე მერილი იმდენად შეიჭრა როლში, რომ გადაღებებს შორის პერიოდშიც კი საკუთარ პერსონაჟად იქცა.

შირლი კიდევ ერთი მსახიობი ქალით არის აღფრთოვანებული. ეს გახლავთ ჯულია რობერტსი: „საინტერესოა: არ ვიცი როგორ, მაგრამ უმალ შეიძლება შეამჩნიო, არის თუ არა მსახიობში რაიმე განსაკუთრებული. მე მასში „ეს განსაკუთრებული" იმავე წამს შევნიშნე, როგორც კი გადასაღებ მოედანზე გამოჩნდა, – ამბობს შირლი. – მას საოცრად გრძელი ფეხები აქვს, მაგიური თვალები, ყვრიმალები, პირი. მას აქვს ის „რაღაც", რაც ადამიანთა უმეტესობას არ გააჩნია... ოთხი თვის მანძილზე ჩვენ მეზობლები ვიყავით. ის ჩემთან ყოველ საღამოს მოდიოდა, რჩევას მეკითხებოდა ყველაფერზე – ცხოვრებაზეც. მე მას დედობას ვუწევდი, ჩვენ ნამდვილ მეგობრებად ვიქეცით. ყველა მსახიობი, ასე თუ ისე, ბავშვივით იქცევა. ამის მიღმა კი, ძალიან ხშირად, სევდიანი ან ბილწი ოჯახური ამბები იმალება".

უმცროს ძმაზე, უორენ ბიტიზე შირლი ბევრს არ საუბრობს. მხოლოდ აღნიშნავს, რომ უორენი აუცილებლად უნდა გამხდარიყო მსახიობი და გახდა კიდეც. და-ძმას ერთად არ უთამაშია.

შირლი მაკლეინს ძალიან სწყდება გული, რომ არ გადაიღეს ფილმში – „ალისა აქ აღარ ცხოვრობს". მან არ იცოდა, რომ ფილმის შემქმნელი მარტინ სკორსეზე იქნებოდა.

მაკლეინი ოთხჯერ იყო წარდგენილი „ოსკარზე", სანუკვარი პრემიის მიღება კი მხოლოდ ერთხელ შეძლო – 1983 წელს ფილმში – „სინაზის ენაზე" შესრულებული როლისთვის, რომელშიც ჯეკ ნიკოლსონთან ერთად მონაწილეობდა. მას მიღებული აქვს აგრეთვე „ოქროს გლობუსის" ოთხი პრემია.

მსახიობს ძალიან სჯერა რეინკარნაციის. რამდენჯერმე მან ამ თემაზე სემინარიც ჩაატარა, მაგრამ ცოტა ხანში ეს საქმიანობა მიატოვა, რაც იმით ახსნა, რომ არ სურდა ვინმეს გურუ გამხდარიყო.

მაგალითად, შირლი დარწმუნებულია, რომ მისი ქალიშვილი, წარსულ ცხოვრე-

ფრენკ სინატრასთან და დინ მარტინთან ერთად, 1958 წელი

ტესტი ერუდიციაზე

1. რომელი არ არის სვანური სიმღერა?

ა) ლილეო;
ბ) მირანგულა;
გ) რაშოვდა.

2. რომელ ფულის კუპიურას აწერია: „ჩვენ გვწამს ღმერთი“?

ა) ინგლისურ გირვანქა სტერლინგს;
ბ) აშშ-ის დოლარს;
გ) ბელორუსულ ზაიჩიკს.

3. რამდენი ძულაა ძიუდოში ვაზარი?

ა) 3;
ბ) 7;
გ) 5.

4. თავისი პირველი რომანი ნაძლევზე დაწერა:

ა) ფენიმორ კუპერმა;
ბ) ოსკარ უაილდმა;
გ) ჯაბა იოსელიანმა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ნათესავები და ახლობლები: შირლი ძმასთან უორენ ბიტისთან და მის ცოლთან ანეტ ბენინგთან ერთად

ბაში დედამისი კეტლინი იყო. თავის ერთ-ერთ წიგნში მაკლეინი წერდა, რომ ოდესღაც რომანი ჰქონდა შვედეთის პრემიერ-მინისტრ ულოფ პალმესთან, რომელიც წარსულ ცხოვრებაში CHARLEMAGNE – ჩვენს ერამდე 814 წელს გარდაცვლილი დასავლეთ ევროპის დამპყრობელი იყო.

მაკლეინი ერთადერთი ქალი და საპატიო წევრი იყო ფრენკ სინატრას მიერ დაარსებული „ვირთხების ხროვის“ საძმისა, რომელშიც ასევე შედიოდნენ დინ მარტინი, სემი დევის-უმცროსი, ჯონ ბიშოპი და პიტერ ლოუფორდი.

შირლი მაკლეინი მტკიცე დემოკრატია. 1960 წელს საძმოს ჯონ კენედის საპრეზიდენტო კამპანიისთვის ფულის შეგროვებაშიც ეხმარებოდა. მოგვიანებით, 1968 წელს, ბობი კენედის, 1972-ში კი ჯორჯ მაკგოვერნის კამპანიებშიც მონაწილეობდა.

თავის წიგნში მაკლეინი აღიარებს, რომ სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა ივ მონტანთან და ალენ დელონთან, მწერალ პიტ ჰემილთან და ბრიტანეთის პარლამენტის წევრთან, რომლის სახელიც უცნობია. მისი ბოლო თაყვანისმცემელი ავსტრალიის ექსპრემიერ-მინისტრი ენდრიუ პიკოკი იყო, რომელსაც ამჟამად თავისი ბიზნესი აქვს ვაშინგტონში და, როგორც ამბობენ, მალე ელჩიც შეიძლება გახდეს.

ახლახან მაკლეინმა აღიარა, რომ ურჩევნია ცხოვრების თანამგზავრად ახალგაზრდა მამაკაცი ჰყავდეს და არავითარ შემთხვევაში – თავისი ასაკისა, რადგან ახალგაზრდები თურმე უფრო ყურადღებიანები და დამთმობნი არიან. შირლის აზრით, მამაკაცი მასზე სულ ცოტა, თხუთმეტი წლით უმცროსი მაინც უნდა იყოს.

შირლი მაკლეინი საგულდაგულოდ ადევნებს თვალყურს საკუთარ გარეგნობას. თავისუფალ დროს ალპინიზმსაც მისდევს, ყოველდღიურად სეირნობს ფეხით, იცავს დიეტას და დღეში რვა ჭიქა წყალს სვამს.

შირლი მაკლეინს, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო მსახიობებთან ერთად მონაწილეობს მრავალ ფილმში, ერთი ოცნებაც აქვს: ოდესმე ფილმში მარლონ ბრანდოსთან ერთად ითამაშოს.

■



დასაწყისი იხ. „გზა“ №22-28

ნიკო ამპარელი

ბელისწერა

დათომ შორიდანვე შეამჩნია ტრასაზე მარტო მდგარი კაცი და გუმანით იცნო, უსიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა. მანქანამ სვლა შეანელა. ნამდვილად გიგია იყო. პირქუშად იდგა და თვალებში უყურებდა. დათომ ნელი სვლით ჩაუარა.

გიგია შემობრუნდა და დაჟინებული მზერა გააყოლა. დათო სარკეში ხედავდა მისკენ შემობრუნებულ გიგიას. ბოლოს გააჩერა მანქანა და უკან დახია.

გიგიამ კარი გააღო და უსიტყვოდ ჩაჯდა.

დათომ გადაცემათა კოლოფის ბერკეტს დაადო ხელი. გიგიამ ბერკეტზე ხელი წაუვლო.

— სად წავიდეთ? — დაბნეულად ჰკითხა დათომ.

— არსად, — მშვიდად უპასუხა გიგიამ.

— მაშ... — რაღაცის კითხვა კიდევ დააპირა დათომ.

— ნინო გათხოვილი ქალია, — თითქოს თავისთვის, მძიმედ თქვა გიგიამ.

დათომ მხრები აიჩეჩა.

— მის სახელს ჩრდილი არ მიადგეს, — ისევ პირქუშად უთხრა გიგიამ.

დათომ თვალებში შეხედა, ყველაფერს მიხვდა, მაგრამ ვერაფერი უპასუხა.

გიგიამ იმის ნიშნად რომ სულ ამის თქმა უნდოდა, თავი დაუქნია და მანქანიდან გადმოვიდა.

დათოს აზრმა გაუელვა და ჯერ კიდევ მანქანასთან მდგარ გიგიას აღგზნებულმა და გაბრაზებულმა ყვირილით მიაყარა:

— იცი, რა გითხრა, ბიჭო?!.. შენ... შენ რა უფლება გაქვს ნინოზე რაღაცა თქვა?!.. ხომ არაფერი გეშლება, აბა დაფიქრდი... შენ გააუბედურე ის გოგო... შენ რომ არ გამოჩხერილიყავი... ახლა კიდევ ჩამოხვედი... ვითომ დიდი ვინმე ხარ... რომ გაიჩითე... ადრე რისი მიმცემი იყავი მისთვის, შე ჩემა... ან ახლა რისი მიმცემი ხარ... მე შენზე ნაკლებად არც მაშინ მყვარებია და არც ახლა მიყვარს, გაიგე?.. არ გამომეცხადა, ჭკუის დამრიგებელი... თუ რამე სხვა გინდა, თქვი... დაგეხმარო?! მითხარი, იქნებ გზაზე დადგე... თუ არა და — წადი, შენ გზას მიხედე...

გიგიამ ლაპარაკი აღარ აცალა. ისეთი ძალით მიახეთქა მანქანის კარი, რომ მანქანა შეირყა და სალონი აზრიალდა.

— შენი დედა... — შეიგინა დათომ და მანქანა ადგილს მოსწყვიტა.

ეზოში ხის ქვეშ ჩამომჯდარი გიგია ცელს ლესავდა. ჭიშკარზე მომდგარი თამარი დაინახა. ცელი გვერდზე გადადო და მისკენ გაემართა.

— გამარჯობა, გიგი, — მიესალმა თამარი.

— გამარჯობათ.

— სახლში შევიდეთ, შვილო, რაღაც უნდა გითხრა.

დიდხანს ელაპარაკებოდა თამარი გიგიას. ვაჟს თითქმის არაფერი უპასუხია. თავჩაქინდრული უსმენდა.

— აი, ჩემი სათქმელი ეს იყო, შვილო. — დააბოლოვა თამარმა.

გიგიამ თავი დაუქნია.

— ახლა შენ იცი, როგორც გინდა, ისე მოიქეცი. ერთი კი ცხადია, თქვენი ახლო-ახლო ყოფნა აღარ შეიძლება... — თამარი ამაში ნამდვილად გულწრფელი იყო.

— კარგი, — თქვა გიგიამ.

— ეეჰ, — ამოიოხრა თამარმა და წავიდა.

გიგიას ქალი არ გაუცილებია. ასე თავჩაქინდრული დარჩა. მეორე დღეს გიგიამ ეზო მიალაგა და მეზობელი გადმოიყვანა.

— ნიკა ძიავ, შენ იცი. გადმოხედე ხოლმე აქაურობას.

— ჰო, კარგო ბიჭო. მივხედავ. დედაკაცსაც დავავალებ, გადმოხედოს ხოლმე. ნუ იდარდებ. როდის ჩამოხვალ, აღარ იტყვი?

— არ ვიცი, ნიკა ძიავ. ჩამოვალ, როცა... იქნება, — გაურკვევლად უპასუხა გიგიამ.

— გაყიდვა ხომ არ მოგსვლია აზრად, გიგიავ? — პირი უკითხა ნიკამ.

— არა. ამის მეტი არაფერი მაბადია. არა, არც მიფიქრია.

— ჰო, რა ვიცი.

— არა. ჩამოვალ, როცა იქნება, ჩამოვალ — უფრო საკუთარი თავის დასარწმუნებლად თქვა გიგიამ და ზურგჩანთა მხარზე მოიგდო.

აფორიაქებული და დამუხტული დახვდა დედაქალაქი გიგია ამირანაშვილს. ხალხს არც დღე, არც ღამე არ ეძინა. ცენტრალური გამზირი პოლიტიკური მოვლენების არენად იყო ქცეული. საზოგადოება შუაზე იყო გაყოფილი, ერთი ნაწილი მხარს უჭერდა ახალი, დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტს, მეორე ნაწილი კი მის გადადგომას მოითხოვდა. თავისუფლება და დამოუკიდებლობა ერთ მხარესაც უნდოდა და მეორესაც, მაგრამ

რომ გეკითხათ, ხეირიანად ცოტამ თუ იცოდა რას ნიშნავდა რეალური დამოუკიდებლობა.

სოფლიდან ჩამოსულმა გიგიამ ბევრი იხეტიალა ხალხში. მთავრობის სასახლის წინა ტერიტორია პრეზიდენტის მხარდამჭერ მომიტინგეებს ეკავათ, გამზირის დანარჩენი — ოპოზიციის იყო. ხან ერთ ჯგუფში შეერეოდა და უსმენდა ორატორ-აგიტატორებს, ხან — მეორეში. ხეტიალში დაუღამდა კიდეც. გიგიამ გვიანღა მოიაზრა, რომ ღამის გათევა მოუწევდა. ერთი კი იფიქრა, ბიძამისთან წასულიყო, მაგრამ ეს აზრი უკუაგდო. არ უნდოდა, ბიძისგან საყვედური მოესმინა მისი არეული ცხოვრების გამო. არც ის უნდოდა, რომ ბიძას გაჭირვების ჟამს მისდგომოდა დახმარების სათხოვნელად. ავიწყობ ცხოვრებას და მერე ვნახავო, გაიფიქრა და მხატვრის სახლის უკან, ალექსანდრეს ბაღს მიაშურა. გრძელ სკამზე ჩამოჯდა.

გაახსენდა, რომ დიდი ხნის წინ, ამ სკამზე ერთხელ უკვე გათენა ღამე, მაშინ სამხედრო სასწავლებლის კურსანტი იყო და ნინიკოსთან ერთად კინოთეატრიდან გამოსულებმა, სასეირნოდ აქ გამოიარეს. სკამზე ჩამოსხდნენ და... ასე ჩახუტებულებს თავზე ისე დაათენდათ, რომ ვერაფერი გაიგეს...

გიგია ახლაც იმ სკამზე იჯდა. შუაღამეც კარგა ხნის გადასული იყო. აღარსად ღირდა წასვლა და იქვე დაიძინა.

დილით დამტვრეულმა და გუნებაწამხდარმა გამოიღვიძა. კისერი გაავარჯიშა. წამოდგა, ცოტა გაიარ-გამოიარა. მერე თავისი ჩანთა გადაიკიდა და გამზირზე გამოვიდა. ადრიანი დილა იყო. მანქანები კანტიკუნტად მოძრაობდა.

გიგია ერთ-ერთ მაღაზიას მიადგა.

მაღაზიის საწყობის კართან მანქანა მიეყენებინათ და ძარიდან ლიმონათის ყუთებს ცლიდნენ.

— დახმარება არ გინდათ? — ჰკითხა გიგიამ კაცს, რომელიც ძარასთან იდგა და ეტყობოდა უფროსი იყო.

საწყობიდან გამოსულმა რუსული გარეგნობის კაცმა, რომელიც უფროსის მაგივრად მუშაობდა, რუსულად უპასუხა.

— მაგას რას ეკითხები, მე მკითხე, მოდი, რაღა მარტომ ვიმუშაო. დავცალოთ ეს ძარა და გავიყოთ.

დაახლოებით ერთი საათი ლიმონათის ბოთლებს ცლიდნენ. გიგიას ხვითქი გადაუვიდა. ცდილობდა, მეწყვილეზე მეტი ემუშავა. არც მისი მეწყვილე ეწინააღმდეგებოდა. მორიგება გაურკვეველი და ზერელე იყო. მუშას არ უთქვამს, რამდენსაც იმუშავებ, იმდენს დაგითმობო. გაგიყოფო, უთხრა და მორჩა.

შემდეგ მაღაზიის საწყობში, ონკანზე დაიბანეს და გასუფთავდნენ. რუსმა ფული ამოიღო, შუაზე გაუყო, გადასცა და ხელი ხელზე დაჰკრა.

— ყოჩაღ, კარგი ბიჭი ყოფილხარ.

გიგიამ ფული შეათვალიერა და ჯიბეში ჩაიკუჭა.

— წამოდი, დავლიოთ — მიირტყა წკიპურტი ყელზე.

— არა, არ მინდა, — იუარა გიგიამ.

— ხვალე მოხვალ? — შეეკითხა მუშა.

— არ ვიცი. ხვალ ვნახოთ.

— მოდი, როცა გინდა. სამუშაო იმდენი მაქვს, ვერ ავუდივარ. შენ ჩემთან მოდი, — ძმაკაცურად დაჰკრა ხელი მხარზე გიგიას.

— ვნახოთ, — უპასუხა გიგიამ და გასწია.

ისევ მომრავლებულ მომიტინგეებს შეერია.

შუადღემდე იხეტიალა. შუადღისას მთავრობის სასახლის წინ თავშეყრილ მომიტინგეებში მოხვდა. პრეზიდენტის მხარდამჭერ რამდენიმე ათას კაცს მოეყარა თავი. ტრიბუნაზე თვითონ პრეზიდენტი იდგა და მსმენელების ტაშის გრიალსა და გამამხნევებელ შეძახილებში — „პრეზიდენტს გაუმარჯოს!“, „საქართველოს გაუმარჯოს!“, როგორც ჩანს, რაღაც ცეცხლოვან სიტყვას ამბობდა:

— ჩვენს წინააღმდეგ მდგომმა ოპოზიციამ არ იცის, რას აკეთებს, მეგობრებო! ისინი ჩვენი მეგობრები არიან, მაგრამ გზააბნეულები. მათ შორის ბევრია სუკის აგენტი, ბატონებო. ისინი ჩემს გადადგომას მოითხოვენ. ისინი ტყვიას გვესვრიან, მაგრამ ჩვენ მათ ყვავილებს ვესვრით! — ქუხდა პრეზიდენტი.

გიგიამ კიდევ ცოტა ხანს უსმინა პრეზიდენტსა და მის მხარდამჭერებს. შემდეგ მიატოვა ისინი და ოპოზიციურ მხარეს გასწია. ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ყვირილი აყრუებდა ქუჩას.

— პრეზიდენტმა მთავრობაში უვიცები და მარიონეტები შეყარა. თვითონაც იმპერიის მარიონეტია. ჩვენთვის კი დიქტატორია, პირსისხლიანი დიქტატორი. ძირს მთავრობა, ძირს დიქტატორი!

ექსტაზში შესული ბრბო გაჰყვიროდა:

— ძირს! ძირს! ძირს!

უცებ მომიტინგეთა უკანა რიგებში ჩოჩქოლი ატყდა.

გიგიასაგან მოშორებით ცოცხალი ადამიანი აბრიალდა.

— უშველეთ!

— თავი დაიწვა!

— ბენზინი გადაისხა!

— იწვის!

ცეცხლმოკიდებული კაცი ცოტა ხანს დაბარბაცებდა. მერე დაეცა... ვილაცები მისცვივდნენ. პალტოები და საბნები მიაყარეს. რამდენიმე წუთში ცეცხლი ჩააქრეს და სასწრაფო დახმარების მანქანაც მოვიდა. კაცს კი სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

დამწვარი წაიყვანეს. მიტინგები ორივე მხარეს ისე გრძელდებოდა, თითქოს არაფერი მომხდარაო. მეტიც — გამოსვლებს სიმწვავე მოემატა და ორატორები მომხდარში ერთმანეთს ადანაშაულებდნენ. მალე ყველაფერი ძველებურ კალაპოტში ჩადგა.

მრავლის მნახველი გიგია გაოგნებული იყო, რუსთაველის გამზირს გაეცალა, ვერის პარკში ჩავიდა და სკამზე ჩამოჯდა.

— Товарищ командир — მოესმა მხიარული მიმართვა.

— ზურა? გამარჯობა, ბიჭო! — იცნო გიგიამ და ფეხზე წამოუდგა.

ერთმანეთს გადაეხვივნენ. ზურა და გიგია მონღოლეთში ერთად მსახურობდნენ. ზურა ჯარისკაცი იყო. ასაკით თითქმის ტოლები იყვნენ.

— როგორ ხარ, გიგი, აქ რას აკეთებ? — ჰკითხა ზურამ.

— არაფერს. ბედს დავეძებ — უხერხულად აიჩეჩა მხრები გიგიამ.

— ჯარი?

— ჯარი?.. შევეშვი ჯარს.

— ახლა სადა ხარ?

— არსად. სოფელში ვიყავი. ვერ გავძელი და აქ ჩამოვედი.

— დრო გაქვს?

— კი, აურაცხელი.

— მაშინ წამო. აქვე ვცხოვრობ, წამო. ჯარისკაცული გავიხსენოთ.

აღმართს შეუდგნენ.

— აქ ცხოვრობდა ცხონებული ბებიაჩემი, რომელმაც ეს ბინა დამიტოვა. მერე მოკვდა. ნუ გეშინია, აქ კი არ მომკვდარა. ბოლოს ჩვენთან გადავიყვანეთ. დედაჩემს უნდოდა, გაექირავებინა, მაგრამ არ გაქირავდა, — უხსნიდა ზურა.

ამ დროს მეორე სართულიდან კიბეზე ახალგაზრდა, მოხდენილმა ქალიშვილმა ჩამოირბინა.

— გამარჯობა, ზურა — მიესალმა ზურას და შეუჩერებლივ გაუყვა გზას.

— „პრივეტ“, მაკუშ! — უპასუხა ზურამ და გიგიას თვალი ჩაუკრა, — მართალია, აპარტამენტები არ არის, მაგრამ ცხოვრება შეიძლება. იცხოვრე და იყავი რამდენ ხანსაც გინდა. ცოტა ნესტიანი კია, მაგრამ ღუმელს დადგამ და გამოშრება. დედაჩემი აქ გაიზარდა, ბოლოს და ბოლოს.

— რამდენი ხნით შეგიძლია მომაქირავო?

— მოიცა, რა უნდა მოგაქირავო?! იცხოვრე, სადამდეც გინდა, მერე, როცა ახალი პრეზიდენტი ახალ ბინას მოგცემს, ცოტა მე მაცხოვრე იქ და ბარი-ბარში ვიქნებით, — გაიხუმრა ზურამ. ოთახში შეუძღვა და ავეჯზე მიუთითა — აი, აჰა საწოლი, მაგიდა...

გიგიამ თვალი მოავლო იქაურობას.

— სუპერია — თქვა მოწონების ნიშნად.

— თან, რა მეზობელი გყავს?

— კაი გოგოა, — უპასუხა გიგიამ.

— მართლა სუპერია, რო იცოდე. იცი, რა „დუშკა“ და გულკეთილი გოგოა... კარგი, წავედი, ხვალ დილას გამოგივლი. ხაშზე გავიდეთ, კარგი ადგილი ვიცი.

— კარგი.

ზურამ გიგიას მხარზე მიარტყა ხელი და კარში გაუჩინარდა.

დაბინავებულ გიგიას სამუშაოს პოვნა არ გასჭირვებია. დიდი არჩევანი გაუჩნდა, თუმცა ისევ მაღაზიაში მტვირთავად დარჩენა არჩია და რუს ლიოვასთან ერთად დარაჯობაც შეითავსა.

ლიოვა წყალწაღებული ლოთი არ აღმოჩნდა. ორი შვილის მამა იყო. ზომაზე დალევდა ხოლმე და სახლში ორიოდე კაპიკი მიჰქონდა. გიგიას მიმართ დიდი სითბოთი და პატივისცემით განიმსჭვალა. ჯერ ერთი, ჯანმაგარ ახალგაზრდა კაცთან წყვილში მუშაობა მისთვის გაცილებით ადვილი იყო, მეორეც — მაღაზიის სადარაჯოდ უფრო საიმედო ცვლას ვერც ინატრებდა. სამუშაო კი, რუსთაველის გამზირზე, რამდენიც გინდა, იმდენი იყო. სამუშაოს შერჩევის რეგულირება ლიოვამ ივალდებულა. გიგია კი უყოყმანოდ და უპრეტენზიოდ მიჰყვებოდა. ხან ცლიდნენ, ხან ტვირთავდნენ, ხან თხრიდნენ, ხან გაჰქონდათ და ხანაც შეჰქონდათ.

ვითარება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. გიგია ცდილობდა,

გარკვეულიყო მოვლენებში, ზოგიერთი პოლიტიკური წრის წარმომადგენელს დაუახლოვდა კიდეც, მაგრამ ვითარება ისე იყო ჩახლართული, რომ მის პროგნოზირებას გიგია ვერც თვითონ და ვერც სხვისი დახმარებით ვერ ახერხებდა. გიგიას ვერ გაერკვია, რა გზას დაადგებოდა მისი ქვეყანა და რა ბედი ეწეოდა თვითონ.

საღამოს გიგია და ლიოვა მაღაზიასთან მომდგარ მანქანას ცლიდნენ. რუსთაველზე ვითარება დილიდანვე დაძაბული იყო, იმ მომენტისათვის კი კულმინაციას მიაღწია.

ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხარდამჭერი მომიტინგეები წინასწარ შეთანხმებულებივით ერთმანეთისკენ ხმაურითა და ღრიანცელით დაიძრნენ. მომიტინგეები ერთმანეთს მაღაზიის პირდაპირ შეეფეთნენ, მათ შორის მცირე მანძილი იყო, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ლიოვამ მანქანის ძარიდან გადმოხედა ხალხს და სეირის მოლოდინში გიგიას მიმართა:

— უყურე, „კამანდირ“, აქ რაღაცა მოხდება.

გიგიამ უსიამოვნოდ მოისრისა შუბლი.

მომიტინგეები აგუგუნდნენ, ერთმანეთისკენ ხელებს იშვერდნენ და შეურაცხმყოფელ სიტყვებს ისროდნენ:

— ჯალათები ხართ, ყველანი.

— მონები ხართ.

— ცრუ, მატყუარები ხართ.

— ბრიყვები ხართ.

— თქვენი დედა...

— თქვენი დედა...

მომიტინგეებისგან უზარმაზარი ტალღა წარმოიქმნა და წინა ხაზისკენ დაიძრა. მეწინავეებმა თავი ვეღარ შეიკავეს და ერთმანეთს შეეჯახნენ, სადაცაა ხელჩართული ბრძოლა დაიწყებოდა.

გიგიას ბევრი არ უფიქრია. ერთბაშად შევარდა მეწინავეებს შორის,

რომლებიც ჯერჯერობით, უფრო დაზღვევის მიზნით იქნევდნენ მუშტებს, ვიდრე ერთმანეთის ცემის სურვილით.

გიგია მოვლენათა ეპიცენტრში აღმოჩნდა და ორივე მხარის დაშოშმინებას ცდილობდა.

— ოი, ოი, ოი! — აყვირდა ლიოვა, — რას აკეთებ „კამანდირ“, გაგიჟდი?

უკვე გვიანი იყო. გიგიას ერთ წუთში გადაუარა ტალღამ და გადათელა. ხელჩართული ბრძოლა დაიწყო. ლიოვამ ძლივს გამოათრია დაჩეხილ-დაბეგვილი გიგია, მხარში შეუდგა და სახლისკენ მიათრევდა.

— წამო, წამო, „კამანდირ“, — ამხნევებდა გზადაგზა — რომელია შენი კარი, ეს არის?

— ჰო, ჰო. გასაღები ჯიბეში მაქვს, ნელა, ნელა, — კვნესოდა გიგია.

— გეტკინება, აბა, რა გინდოდა, — საყვედურობდა ლიოვა და ცდილობდა, კარისთვის გასაღები მოერგო.

სადარბაზოში მაკა შემოვიდა.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — შეიცხადა გოგომ, — ეს რა არის, ეს რა მოგსვლიათ?

გიგიამ კვნესას უკლო.

— თქვენ იცნობთ, არა? — მიმართა ლიოვამ მაკას — ნათესავი ხართ, ხომ? აი, თქვენი გმირი, შუაში შევარდა... გეგონება ... ჰოდა, მიიღო კიდეც. რომ არ მოკლეს, მადლობა ღმერთს, — ბუზღუნებდა ლიოვა რუსულ-ქართულად.

— არაფერია, არაფერი, — კბილს კბილზე აჭერდა სიმწრისგან გიგია.

მაკამ მეორე მხრიდან მოჰკიდა ხელი გიგიას. მერე სულაც მხარში შეუდგა და ლიოვას გიგია ოთახში შეაყვანინა. მძიმე-მძიმედ ჩამოსვეს საწოლზე. მაკამ დასისხლიანებული პერანგი გაუხსნა:

— ღმერთო ჩემო, ტანზე მთელი ადგილი აღარ გაქვთ — შეიცხადა გოგომ, მერე ლიოვას მიუბრუნდა, — პირსახოცი დამისველეთ, სპირტი, იოდი ან არაყი არა გაქვთ?

— არა, — შეწუხდა გიგია — არაფერია, დავიბან და გამივლის, თქვენ ნუ წვალობთ.

— დაიბანთ და გაგივლით, გაჩუმდით ბოლოს და ბოლოს, — სერიოზულად დატუქსა მაკამ გიგია, — შარვალი გაიხადეთ, — მკაცრი ტონით უთხრა და თვითონვე დაუწყო შარვლის გახდა. გიგია მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და დაემორჩილა. ლიოვამ და მაკამ ფეხსაცმელები და შარვალი გახადეს.

გიგიას ფეხებიც დასისხლიანებული და დალურჯებული ჰქონდა. მაკამ ბარძაყზე ღრმა ნაიარევი შენიშნა.

— ოჰ, ეს ძველია. როგორც ჩანს, არც ადრე დაგკლებიათ... სასწრაფოდ იოდი, ბოლოს და ბოლოს, მოიტანთ რამეს?! — მიუბრუნდა მაკა ლიოვას.

— არაყს მოვიტან. მე სხვა რამეს არ ვცნობ — სხაპასხუპით მიაგება ლიოვამ.

— მოიტანეთ.

უკან დაბრუნებულმა ლიოვამ მაკას წასვლის ნებართვა სთხოვა და მაღაზიისკენ გასწია.

მაკა მთელი ღამე თავთან ეჯდა გიგიას.

ღამე გიგიას ძალიან გაუჭირდა.

კოშმარმა გამოაღვიძა. თვალი გაახილა და მაკას სახე დაინახა. გოგომ თვალებში ჩახედა გიგიას, მიხვდა, რომ კაცს გაღვიძებოდა.

— თქვენი ასე დატოვება არ შეიძლება. მაღალი სიცხე გაქვთ, ახლაც გაბოდებდათ. უნდა გაიჭირვოთ და მაღლა, ჩემთან ამოხვიდეთ.

— რას ბრძანებთ, გამივლის, — იუკადრისა გიგიამ.

მაკამ გაბრაზებით მოუწკურა თვალები.

— იცი, რა გითხრა? რასაც გეუბნები, ის გააკეთე. გმირს ნუ თამაშობ, გირჩევნია, ის გააკეთო, რასაც გეუბნები, თუ არა და, გრძნობას რომ დაკარგავ, და გვერდით არავინ გეყოლება, რაღას იზამ...

გიგია მიხვდა, რომ ზედმეტი შეწინააღმდეგებით მაკას მხოლოდ შეაწუხებდა, ისე კი თვითონაც გვარიანად შეშინდა. ძალზე სუსტად იყო, ასეთ დღეში იგი ჯერ არასოდეს ჩავარდნილიყო.

გიგიამ წამოდგომა სცადა, მაგრამ დაუხმარებლად ვერ შეძლო. გოგომ ძლივძლივობით აიყვანა დათეთქვილი ვაჟი თავისთან, დილით კი ექიმი მოიყვანა.

ექიმმა საშიში ვერაფერი აღმოაჩინა. მისი თქმით, ორ-სამ დღეში ტკივილებს უნდა გაევლო. წოლითი რეჟიმი და დასვენება კი აუცილებელ პირობად მიიჩნია.

გიგია მართლაც ორ დღეში მომჯობინდა.

მაკასთან ურთიერთობა კი თავისთავად აეწყო.

მაკას ოთახი სავსე იყო სცენური სურათებით. ის პანტომიმის თეატრის მსახიობი იყო. მაკა მშობლებისგან ცალკე, დამოუკიდებლად ცხოვრობდა. მისი ერთოთახიანი ბინა ღარიბულად, მაგრამ გემოვნებით იყო მოწყობილი.

იმ საღამოს გიგია და მაკა ჩაის სვამდნენ.

— ზეგ მოსკოვში მივდივარ, — სასხვათაშორისოდ თქვა მაკამ.

— დიდი ხნით? — ჰკითხა გიგიამ.

— კონტრაქტს უნდა მოვაწერო ხელი. პარიზში მიგვიწვიეს.

— პარიზში?

— ჰო, ჩვენი თეატრიდან ოთხი გოგო მივდივართ. ჩვენი ხელმძღვანელი უკვე საფრანგეთშია. ჯგუფს აგროვებს, ფორმალური მხარეებიღა დარჩა, ვიზები უკვე მზად არის.

— რამდენი ხნით აპირებთ?

— აღარ ჩამოვალთ ალბათ.

— რატომ? — გაიკვირვა გიგიამ.

— მე მიმი ვარ, გიგი. ვის რად უნდა აქ მიმი? ჩვენი თეატრი სამი წელია დახურულია. მე ხელოვანი ვარ. რომ არ ვიცეკვო — მოკვდები. ჩვენ ვიყავით საფრანგეთში ხუთი წლის წინ. ანშლაგები გვქონდა. ეს ბედნიერებაა.

— მესმის... მაგრამ...

— აქ რა ვაკეთო, გიგი, შიმშილით მოვკვდე და პატრიოტობაში ჩამეთვლება? არა მწამს მე ასეთი პატრიოტიზმის. მითხარი, დარჩი-თქო და დავრჩები, ოღონდ ჯერ დაიფიცე, რომ ეს სწორი იქნება.

გიგია ჩაფიქრდა.

— ვერ გეუბნები...

— რატომ?

— რა ვიცი... — დამნაშავესავით წარმოთქვა გიგიამ.

— მე თავიდანვე ვიცოდი, რომ შენ ჩემთვის არ გაჩენილხარ. მე ვგრძნობ, რომ შენ სხვისი ხარ, სხვა გზა გაქვს. მე შენ მომეწონე და არც არაფერს ვნანობ... შენ ჩემი ვალი არა გაქვს. პირიქით... მადლობელი ვარ შენი. შენისთანები იშვიათად თუ შეხვდება კაცს. მიხარია, რომ გაგიცანი და შეგხვდი.

— მეც, მეც ძალიან მიხარია.

— ჰოდა, მორჩა, — გაულიმა მაკამ.

გიგიამ მაკა მოსკოვში გააცილა და მანამდე გასცქეროდა მის თვითმფრინავს, სანამ ღრუბლებში არ გაუჩინარდა.

გაგრძელება იქნება

ლელა ჯიყაშვილი

სასიძო ნიკა თითებთან ამოტრიალი ფეხსაცმელებით

1967 წლის 27 ივლისი იდგა. აკაკი კვანტალიანმა თეატრთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობა დაასრულა და დასასვენებლად წყნეთში, საკუთარ აგარაკზე ავიდა. იქ საყვარელი ძმისშვილის ოჯახი და 94 წლის დედა ეგულებოდა. ძალიან გაიხარა თურმე იმ საღამოს... ხან ბლის ხეზე ავიდა, ხან თუთისა. ჩვეული ხალისითა და ღიმილით მიეალერსა ყველაფერს... გვიან ღამით იმდენად ძლიერი შეტევა მოუვიდა, რომ ვერავინ დაეხმარა, ვერც მეუღლე, რომელიც იმ საღამოს ასულიყო წყნეთში, ვერც ძმისშვილი... მეზობლად მცხოვრებ ექიმსაც დაუძახეს. ამაოდ. უკვე გვიანი იყო...

როცა სახლის მეორე სართულზე 59 წლის უსაყვარლეს მსახიობს მთელი საქართველო ეთხოვებოდა, პირველ სართულზე მის ღრმად მოხუცებულ დედას გულნატკენს უთქვამს: რამდენი სტუმარი მოდის, ქეიფობენ, მე კი არც დამიძახესო... მან არაფერი იცოდა თავს დამტყდარი უბედურების შესახებ... 1969 წელს უკვე მძიმედ ავადმყოფ მოხუცებულს, რომელიც აგონიაში იყო, ქალიშვილმა ჩასძახა ორი წლის საიდუმლოდ შენახული სიმართლე: დედა! რომ გეუბნებოდით, აკაკი გასტროლებზეა, უცხოეთშიაო, გატყუებდით: რა ხანია, შენი შვილი დავასაფლავეთო. მომაკვდავს ცრემლი ჩამოუგორდა ლოყებზე. სამ საათში აღესრულა კიდეც: ის ხომ საყვარელ აკაკის აღარ ელოდებოდა.

აკაკი კვანტალიანი 1907 წლის 14 დეკემბერს დაიბადა სამტრედიაში. მამა – ლუკა ადრე გარდაეცვალა. დედა – ანეტა ძლიერი ნებისყოფის, მარჯვე ქალი იყო. მან ხუთი ობოლი შვილი გაზარდა. ხუთივეს უმაღლესი განათლება მიაღებინა. კვანტალიანების ოჯახი საკმაოდ შეძლებული იყო. ორი გლეხის ოჯახი ეხმარებოდა მას მეურნეობის გაძღოლაში. ანეტამ წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ მის ოჯახს რაც სჭირდებოდა, ყველაფერს შესანიშნავად უმკლავდებოდა. ცხოვრების ავ-კარგიც ესმოდა და ხელოვნებაც უყვარდა. როცა თბილისში „დაისის“ და „აბესალომ და ეთერის“ პრემიერები შედგა, ანეტამ სამტრედიიდან მოჯამაგირე გამოაგზავნა ბილეთების ასაღებად. თვითონ კი სადღესასწაულოდ გამოწყობილი ურმით ჩამოვიდა სპექტაკლზე დასასწრებად. აკაკი კვანტალიანი ხშირად ამბობდა: ა, ამისი შვილი ვარ მეო... დედის არტისტიზმი, თვითნაბადი ნიჭი ჰქონდა მხედველობაში. გივი კვანტალიანი, მსახიობის ძმისშვილი, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობდა მასთან თბილისში, იხსენებს: ანეტა ბებია რომ ჩამოვიდოდა ხორაგით დატვირთული, შემოუსხდებოდნენ მსახიობები სუფრას, თამადად მას დააყენებდნენ და ისე ქეიფობდნენო... მახსოვს, როგორ შეჰხაროდა სესილია თაყაიშვილი: ანეტა დეიდა, ერთი, სამტრედიული ტყემალი მაჭამეო...

ცელქი და მოუსვენარი ბავშვი ყოფილა აკაკი კვანტალიანი. ობოლი მამიდაშვილები ჰყავდა. ერთ-ერთს – ვალიკოს სულ ატირებდა თურმე. რამდენჯერ გაულახავს ამის გამო წონასწორობადაკარგულ დედას! ვერაფერი მოუხერხებია ონავარი კაკოსთვის. ბოლოს მუდარით უკითხავს: მითხარი მაინც, შვილო, რა დაგიშავა ვალიკომ, იქნება, ის დავსაჯოო... რო იცინის, კბილები უჩანსო, – სერიოზულად განუცხადებია მოჩხუბარს.

ბატონი აკაკი ღიმილით იხსენებდა, როგორ ჩაატეხა ლაყე კვერცხები თავში ანტიკა კოშკაძეს. ეს ობოლი გოგო აკაკის დედას ჰყავდა შეფარებული. შავგვრემანი, შავკულულებიანი ყოფილა. ანეტა ამბობდა, ორი საათი ვბანე, ლაყე კვერცხებით მოსვრილი თმაო.

აკაკი კვანტალიანი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგრამ როცა კოტე მარჯანიშვილმა ქუთაისის თეატრში წასვლა შესთავაზა, დაუყოვნებლივ მიატოვა ყველაფერი. ბუნებით მსახიობი იყო. „არასოდეს მინახავს, როლი ესწავლოს ან ეზუთხოს სახლში, მაგრამ არასოდეს არაფერი დავიწყებია, – მითხრა ბატონმა გივიმ. – ის კი არა და, სხვისი ტექსტიც ყოველთვის კარგად იცოდა. ერთ მის მეგობარს სულ ავიწყდებოდა, რა უნდა ეთქვა. კაკო ბიძია მოხერხებულად ჩაუვლიდა და წაუჩურჩულებდა, გაახსენებდა. ერთხელ, ჩვენთან იყო მოსული ის მსახიობი და თქვა: კაცო, კაკო, რა იცი ეს, გამოსვლისას რაღაცებს რო მეჩურჩულები და მაბნევო... ბიძაჩემი „აღშფოთდა“: გესმის, გივი, რას მეუბნება?!.. ესე იგი, გაბნევ, არა? კარგი, ბატონო... ამ საუბრის შემდეგ, სცენაზე ისევ დაავიწდა მას სათქმელი. თურმე არც აკაკი იღებს ხმას პრინციპულად. ბოლოს, მეგობარს ჩუმად უთქვამს: კაკო, შენ ქე რო იცოდი ხოლმე, მიდი მითხარიო... კი ვიცოდი, მარა, შენ რო შენიშვნა მომეცი, გამოვსწორდიო.“

ძალიან ბევრს კითხულობდა, ხშირად ცალ მხარეს წიგნი ედო, მეორე მხარეს თეფში საჭმლით. ძმისშვილს, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა უთქვამს: არ შეიძლება, კაკო ბიძია, ჭამის დროს კითხვა. მაგ დროს სისხლი კუჭს მიეწოდება და თავი ცარიელდებაო... შენ ჯერ

დიპლომი აიღე და მერე მელაპარაკეო...

მართალი სიტყვის თქმა ჰყვარებია ბატონ აკაკის. ამის გამო, ბევრი უფრთხოდა. ერთხელ შოთა მანაგაძეს უთქვამს მისი ძმისშვილისთვის: ბიჭო, უთხარი რამე ბიძაშენს, ასე არ შეიძლება. შესანიშნავი მსახიობია, გვინდა როლი მივცეთ, მაგრამ არ შეეპუება, აწყენინებს ვიღაცას „ზემოთ“, თვითონაც გაიფუჭებს საქმეს და სხვასაც გაუფუჭებსო... როცა ბიძისთვის ამის გადაცემა შეუბედავს, აკაკი განრისხებულა: ერთხელ მითხარი მაგ და მეორედ აღარ მითხრაო! სიმართლეს ყოველთვის ყველას პირში ვეტყვიო.

„უდიპლომო სასიძოს“ იღებდნენ. სცენარი ასე იყო ჩაფიქრებული — ქვრივ ვარდენს, მეზობლის ქვრივი ქალი უყვარდა. ცოლად უნდოდა. ამის გამო უშლიდა ქალიშვილს იმ მეზობლის ბიჭის სიყვარულს. გადაირია კომისია, ფილმი რომ აჩვენეს: რას ჰქვია, საბჭოთა მოქალაქეს მეზობელი უყვარდესო!.. მიჭრეს-მოჭრეს ფილმი და რაც უნდა ყოფილიყო, იმის ნახევარი გამოუშვეს. ისე გამწარებულა ბატონი კაკო, აღარც უყურებდა თურმე ამ ფილმს.

1966 წელს პოლიკარპე კაკაბაძის „ცხოვრების ჯარა“ დადგა თვითონ. აკაკი კვანტალიანი ლოპიანეს როლს ასრულებდა. ეს იყო გაქნილი „ბობოლა“, ყველაფერი რომ ერთად მოინდომა: დისერტაცია, თანამდებობა, უზრუნველი ყოფა-ცხოვრება... გენერალურ რეპეტიციაზე დაესწრნენ „ზემოდან“ და მტკიცე უარი სტკიცეს: ხალხისთვის ამის ჩვენება როგორ შეიძლებაო. დიდი ნერვების ფასად და მოთმინების შედეგად სპექტაკლი მაინც დაიდგა, მაგრამ ძირითადი ხიბლი დაკარგა... ასეთი შემთხვევებით გულგახეთქილმა აკაკი კვანტალიანმა სხვა გზა მონახა: მან პირველმა შექმნა საქართველოში მინიატურების თეატრი, რომელიც მეტი თავისუფლების საშუალებას იძლეოდა. თუმცა, არაერთხელ დაუბარებიათ ძლიერთა ამა ქვეყნისათა, არაერთხელ უთქვამთ მისთვის საყვედური. ხალხს კი ამასობაში უსაზღვროდ შეუყვარდა მსახიობი.

ვახტანგ ტაბლიაშვილი სპექტაკლს დგამდა, ლენინის როლი აკაკი კვანტალიანს მისცა. მას შეუსწავლია ბელადის ხმა, სიარული და ისეთი სრულყოფილი მსგავსებისთვის მიუღწევია, რაც იშვიათად ხდება ხოლმე. სპექტაკლი რომ უნახავთ, განკარგულება გაუციათ „ცეკას“ თანამშრომლებს — კვანტალიანი შეცვალეთო: ეგ რომ სცენაზე გამოვა, ხალხი სიცილს დაიწყებს და ბელადზე სიცილი არ შეიძლებაო. გაგულისებულ რეჟისორს უთქვამს: მე მაგაზე უკეთეს ლენინს ვეღარ ვიპოვიო.

სპექტაკლში „მარინე“

ქართული ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში, 1958 წ.
მარცხნიდან: იაკობ გრიპოლსკი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ვასო გოძიაშვილი, მარინა თბილელი, აკაკი კვანტალიანი

საოცრად გულღია და უბრალო იყო ბატონი აკაკი. არ უყვარდა ზედმეტი „გამოპრანჭვა“. ცოლის მოყვანას აგვიანებდა. სამტრედიიდან შემოუთვლია რძალს: ჩამოდი, ერთი კარგი გოგო უნდა გაჩვენოო. ზაფხული იდგა. მატარებლის მოლოდინში სადგურზე გამოსულიყვნენ აკაკი კვანტალიანის ნათესავები, რძალიცა და ის გოგოც, ელოდებიან გამოპრანჭული „სასიძოს“ გამოჩენას. გაჩერდა მატარებელი და ჩამოვიდა ტილოს შარვალში, ტილოს უბრალო პერანგსა და, ყანაში რომ იხურავდნენ, ისეთ ქუდში გამოწყობილი აკაკი კვანტალიანი. ფეხზე თეთრი ნაჭრის საზაფხულო ფეხსაცმელი ეცვა. ნეკა თითებთან სპეციალურად ამოეჭრა: მაწუხებსო. „ამ ფორმაში რომ დავინახე, კინაღამ გული წამივიდა“, — გაუმხელია მერე მის რძალს...

შინ იშვიათად იყო, მაგრამ როცა იყო, ყოველთვის „შორტებით“ დადიოდა. ახლა ასე ჰქვია, თორემ ადრე ამ ჩასაცმელს სულ სხვა სახელს უწოდებდნენ... ერთხელ მეზობლებმა — კახიანებმა რძალი მოიყვანეს. კვანტალიანებსა და კახიანებს დერეფანი და სველი წერტილები საერთო ჰქონდათ. ერთ დილით, ახალმა რძალმა დერეფანში გამოსვლა რომ დააპირა, ბატონ აკაკის შეეჩეხა, რომელიც საცვლის ამარა დასეირნობდა. გულგახეთქილ გოგოს (სულ 17 წლისა იყო) კარი მიუხურავს და ოთახში შებრუნებულა ნირწამხდარი: უხერხულ მდგომარეობაში წავაწყდი მეზობელსო. ცოტა ხანში მათ კარზე კაკუნი გაისმა. ზღურბლზე აკაკი კვანტალიანი იდგა. ხელი თავისი „შორტებისთვის“ მოეკიდა და სერიოზულად

უხსნიდა ახალ რძალს: აქ ცხოვრებას თუ აპირებ, შვილო, ამასაც უნდა შეეჩვიოო.

ქალბატონი ქეთინო კვანტალიანი იხსენებს: ბოლოს ყველა შეეჩვია ამ ამბავს, მარტო კახიანები კი არა, მათი სტუმრებიც – თუ ვინმე მოვიდოდა, ასე გამოწყობილი მამაჩემი მოუბოდიშებდა: Ох, простите, я без галстука! გამოიქცეოდა, შიშველ ტანზე ჰალსტუხს გაიკეთებდა და დაჯდებოდა სუფრასთან.

ისეთი თამადა იყო, ხალხს ჭამის საშუალებას არ აძლევდა: სიცილით იხოცებოდნენ მისი შემყურენი და მსმენელნი. როცა მისი ბიჭის – ჯუნას სკოლის დამთავრების აღსანიშნავად კვანტალიანებთან ბანკეტი გადაიხადეს, პირველ დღეს აკაკი იყო თურმე თამადად. მეორე დღეს სპექტაკლი ჰქონდა და თენგიზ ჩანტლაძეს სთხოვა სუფრის გაძღოლა... ჰოდა, ერთი კვირა დადიოდნენ ბავშვები ბანკეტზე და ერთი კვირა თითქმის ხელუხლებელი რჩებოდა სუფრა: მხოლოდ სიცილს უნდებოდნენ და აბა რა იქნებოდა!

ბატონი აკაკი გაჭირვების ტალკვესი იყო ყველასთვის, ნაცნობისა თუ უცხოსთვის. მისმა ქალიშვილმა გაიხსენა: „ჩვენთან ერთი თათარი „ბაჯი“ (ქალი) დადიოდა, მაწონი დაჰქონდა. ერთხელ ატირებული მოვიდა. არც ქართული იცოდა, არც რუსული და

კადრი ფილმიდან „მაგდანას ლურჯა“, 1959 წ.

ვერაფერი გაგვაგებინა; შევწუხდით, ვანიშნეთ – ვინმე მოიყვანე, რომ გვითხრას, რა მოგვიდა-თქო. მეორე დღეს, ქალიშვილთან ერთად მოვიდა. გოგონამ გვითხრა: ჩემი ძმა დაიჭირეს: რაღაც ჩხუბი მოხდა, ყველა გაუშვეს, აგაჯანა კი (ასე რქმევია იმ ბიჭს) სხვის მაგივრად უდანაშაულოდ დაიჭირესო. ამ თათარ ქალს 11 შვილი ჰყოლია. გულშემატკივარი არავინ გამოსჩენია მის აგაჯანას. მამაჩემი დახმარებას შეჰპირდა და შეწყალების კომისიის თავმჯდომარეს – გრიგოლ აბაშიძეს დაურეკა. მოვიდოდა ეს ქალი, მოიტანდა მაწონს, გვანიშნებდა: ჩემი ბიჭი არ გამოუშვიათო... ყოველდღე, დილა უთენია ურეკავდა მამა გრიგოლ აბაშიძეს და ერთადერთ სიტყვას ეუბნებოდა: აგაჯანა!.. ბოლოს და ბოლოს, გამოუშვეს ეს ბიჭი. მოგვადგა დედამისი თავის გოგონასთან ერთად, ტორტით ხელში. კინაღამ გაგიჟდა მამაჩემი: 11 შვილი გყავს და ამ ტორტის ფული მათ როგორ მოაკელიო?! როცა მამა გარდაიცვალა, „ბაჯი“ თავისი გამოპრანჭული შვილებით, სამძიმარზე მოვიდა, დაჯდა და თათრულად დაიტირა. მისმა გოგომ მოგვიბოდიშა: არ გეწყინოთ, ეს ჩვენი წესია, დედა გაუნათლებელი ქალია და როგორც იცის, ისე იქცევაო... ასე გადაუხადა მადლობა მამას...“

აკაკი კვანტალიანს შესანიშნავი მეუღლე ჰყავდა – მაია ჭიპაშვილი. მას რუსული სკოლა ჰქონდა დამთავრებული და ქართული მეტყველება ცოტა უჭირდა. თეატრალურ ინსტიტუტში უნდოდა სწავლის გაგრძელება. უთხრეს: ერთი წელი მარჯანიშვილის თეატრში იმუშავე, ქართულში ენა გაიწაფე და მერე ჩაბარე გამოცდებიო. ბატონ აკაკის რომ უნახავს ეს მშვენიერი გოგონა, მაშინვე შეჰყვარებია. ასაკობრივი სხვაობა დიდი იყო – 17 წელი. ვერაფერმა შეუშალა მათ სიყვარულს ხელი. ეს კი იყო – ბატონმა აკაკიმ ცოლობა სთხოვა და თავიდანვე გააფრთხილა: ოღონდ, არანაირი მსახიობობაო...

განსაკუთრებით უყვარდა აკაკი კვანტალიანს თავისი უფროსი ძმა – ალექსანდრე. ის ომში დაიკარგა. და აი, სამოციანი წლების ბოლოს, პიონერებისაგან წერილი მიიღო: რუსეთში, რომელიღაც ყორღანზე განისვენებს

კადრი ფილმიდან „უდიპლომო სასიძო“, 1960 წ.

ჯარისკაცი, რომლის გვარია კვანტალიანი და იქნებ დაგვეხმაროთ ამ ა. ლ. კვანტალიანის ნათესავების მოძებნაშიო. მსახიობის ქალიშვილი – ქალბატონი ქეთინო იხსენებს: მამა თავის დიდ ტახტზე იჯდა, ამ წერილს რომ კითხულობდა, მაშინ პირველად ვნახე მის თვალზე ცრემლი: ოცნებობდა, როგორ წავიდოდა ძმის საფლავზეო... ვერ მოესწრო – იმ ზაფხულს გარდაიცვალა.

ვერც 60 წლის იუბილეს მოესწრო...

ხანმოკლე სიცოცხლე ჰქონდა, მაგრამ ღირსეულად გაიარა ცხოვრების გზა. რამდენჯერაც შესთავაზეს პარტიაში შესვლა, უპარტიობა უსაყვედურეს, იმდენჯერ განაცხადა თურმე: მე, ასეთი ცუდი, თქვენი საუკეთესო პარტიის წევრობის ღირსი არ ვარო. ალბათ გაგეღიმათ... ამ ხუმრობამ კი თვით მსახიობს არაერთხელ გადაულობა გზა: იყო შემთხვევა, რომ მომზადებული, ნაფიქრი როლი სულ ბოლო დღეს ჩამოართვეს უმიზეზოდ. რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით უმიზეზოდ, თორემ მიზეზს მკითხველი იოლად მიხვდება.

ჩვენს მეხსიერებაში ღიმილით უკვდავყოფილმა მსახიობმა კი ბევრი ტკივილი გაიყოლა სამარადისო სასუფეველში.

P.S. დახმარებისათვის მადლობას ვუხდით მსახიობის ძმიშვილს – ბატონ გივი კვანტალიანს და ქალიშვილს – ქალბატონ ქეთინოს. ■

Volvo SCC-ი უსაფრთხოების ფილოსოფიის განსახიერებაა



წლეულს დეტროიტის ავტოსალონზე VOLVO-მ ორი კონცეპტუალური მოდელი წარმოადგინა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ეს კომპანია მათ რიგში დგას, ვინც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ავტომობილის უსაფრთხოებისთვის საჭირო სხვადასხვა სისტემის მიმართ.

SCC-ის სახელით ცნობილი მანქანის შექმნას „ვოლვოს" ინჟინრებმა მაშინ მოჰკიდეს ხელი, როცა გამოქვეყნდა იმ გამოკვლევის შედეგები, რომლის თანახმად, საჭესთან ჯდომისას ადამიანი 90%-მდე ინფორმაციას საქარე მინიდან და გვერდითი ფანჯრებიდან იღებს. ამასთან, მისი თვალთახედვის არეს ხშირად ხელს უშლის ძარის ცალკეული ნაწილები, კერძოდ: გვერდითი დგარები, კაპოტი, სახურავი და სხვა ამგვარი.

გვერდით დგარებზე მთლიანად უარის თქმა ჯერჯერობით არ შეიძლება (თუმცა, ამის ცდებიც უკვე ყოფილა), მაგრამ ის კი სავსებით რეალურია, რომ ეს დგარები გამჭვირვალე იყოს, — ასე გადაწყვიტეს კომპანია „ვოლვოში", ამიტომ ცხაური დგარები დაამზადეს და ნაპრალები პლექსიგლასით ამოავსეს. რაც შეეხება ძარის ცენტრალურ დგარებს, რომელიც ხშირად, გვერდით ხედს ფარავს, ისინი სულ მოაცილეს და სალონში გადაიტანეს: გადაწყვეტის ორიგინალობა იმაში მდგომარეობს, რომ გვერდითი დგარები წინა და უკანა სავარძლებს უერთდება. ეს რამდენიმე დადებით ეფექტს იძლევა: ჯერ ერთი, როგორც უკვე აღინიშნა, მძღოლის თვალთახედვის არე იზრდება, მეორე — სავარძლები ძარის კარკასთან ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ეს, თავის მხრივ, ზრდის ე.წ. პასიურ უსაფრთხოებას, განსაკუთრებით — გვერდითი დარტყმის შემთხვევაში.

ყველაფერ ამის გარდა, მძღოლსა და მგზავრებს უსაფრთხოების ახალი ღვედები იცავს — ისეთი, როგორითაც სარბოლო ავტომობილებია აღჭურვილი. ცხადია, VOLVO SCC-ი უსაფრთხოების ბალიშებითაც არის აღჭურვილი, რომელთაგან ერთზე აუცილებლად უნდა შევჩერდეთ. „ვოლვოს" ისტორიაში პირველად, SCC-ის გარე ბალიში აქვს, რომლის დანიშნულება, სავარაუდო შეჯახების შემთხვევაში, ფეხით მოსიარულეთა დაცვაა. ის საქარე მინასთან გაიშლება და უპირველესად, ადამიანის თავს დაიცავს, ტანისა და ფეხებისთვის კი, დაპროექტებულია ისეთი კაპოტი, რომელიც ადვილად „დაიკუჭება". მართალია, „ვოლვოს" ინჟინრებმა ჯერჯერობით ის ვერ გამოიგონეს, როგორ უნდა მოხდეს დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა — სუსტი დარტყმისგან „დაკეცილი" კაპოტის გამოცვლა ან შეკეთება ხომ საკმაოდ ძვირი დაჯდება! და კიდევ ერთი შტრიხი: მანქანას არ დასჭირდება საბავშვო სკამი, რადგან უკანა სავარძელი, ღვედებთან ერთად, ნებისმიერ სიმაღლეზე შეიძლება დააყენო.

VOLVO SCC-ი, რომ იტყვიან, გაჟღენთილია ელექტრონიკით, რომელიც ისევ და ისევ, უსაფრთხოებასა და მოსახერხებელ მართვას ემსახურება. ამას კაცი, სალონში ჩაჯდომისთანავე შეამჩნევს: თავდაპირველად, კომპიუტერი „მოსთხოვს" მას, პირდაპირ გაიხედოს. ამ მომენტში სპეციალური ხელსაწყო განსაზღვრავს მძღოლის თვალების მდგომარეობას გზის, კაპოტის, სახურავის მიმართ. შემდეგ, მისი სავარძელი ავტომატურად აიწევა ან ჩამოიწევა მანამდე, სანამ არ მიიღებს იმ მდგომარეობას, რომელიც საუკეთესო თვალთახედვას უზრუნველყოფს. ამ დროს, სავარძლის გარდა, მოძრაობაშია აგრეთვე, საჭე, პედლები და გადაცემათა კოლოფის ბერკეტიც კი.

აღნიშნულის შემდეგ, უკვე ნაკლებად გვაკვირვებს, ვთქვათ, უკანა ხედის ვიდეოკამერა ან სათვალთვალო ხელსაწყო, რომელიც აკონტროლებს, რამდენად ახლოს მიხვედით მეზობელ ავტომობილთან: ამგვარი ტექნიკა პრაქტიკულად, ყველა კონცეპტ-კარზე შეგხვდებათ. აი, „მკვდარი" ზონების მოთვალთვალე კამერები კი, ნამდვილად სიახლეა. მათი მეშვეობით, ხელსაწყოთა პანელზე ჩნდება იმ ავტომანქანის გამოსახულება, რომელიც სახიფათო სიახლოვეს არის, რათა მძღოლი იმის საქმის კურსში იყოს, რაც გზაზე ხდება.

საინტერესოა სანათები. დიდი სისწრაფით მოძრაობისას განათებული ზონა დაგრძელებულია, სიჩქარის დაკლების შემდეგ კი სხივი კვლავ მოკლდება, სამაგიეროდ განიერდება, მოხვევის დროს კი, წინა ბორბლების მოძრაობას მიჰყვება. SCC-ი ღამის ხედვის სისტემითაც არის აღჭურვილი: ამ სისტემის მეშვეობით მძღოლის თვალწინ მონიტორზე გამოსახულება ჩნდება.

სხვა სიახლეებს შორის ყურადღებას იპყრობს VPC (VOLVO PERSONAL COMMUNICATION) სისტემა, რომელიც არა მარტო ავტომობილის დისტანციურად დაქოქვის საშუალებას იძლევა, არამედ სალონში უცხო პირის შესვლის შესახებ ამცნობს პატრონს (სპეციალურ ხელსაწყოს ადამიანის გულის ცემის „გაგონებაც" კი შეუძლია). გარდა ამისა, VPC თავის მეხსიერებაში შეინახავს ყველა მონაცემს მძღოლის შესახებ: სისხლის ჯგუფს, წარსულში გადატანილ დაავადებებს, სხვადასხვაგვარი წამლისადმი შეუთავსებლობას... ავარიის შემთხვევაში, სისტემა ადამიანის დაუხმარებლად გაგზავნის ყველა ამ მონაცემს სამედიცინო ცენტრში.

როგორც ამბობენ, VOLVO SCC-ი არასდროს მოხვდება სერიულ წარმოებაში, რადგან მას სულ სხვა დანიშნულება აქვს. მისი შექმნის მიზანი, თანამედროვე მიღწევათა და ტექნიკურ შესაძლებლობათა დემონსტრირება იყო. თვით ეს სიახლეები, ცალ-ცალკე, მართლაც შეიძლება მოხვდეს სხვადასხვა სერიული მოდელის წარმოებაში. ■

ახალი Ferrari F60 ყველასთვის ჰოდი იქნება ხელმისაწვდომი

ეს ავტომობილი 1 მლნ დოლარზე მეტი ეღირება! თუმცა, ბევრ პოტენციურ მყიდველს ესეც არ შეაშინებს: კომპანიამ უკვე 100-მდე წინასწარი განაცხადი მიიღო. წარმოიდგინეთ, ამ დიდი თანხის ფასადაც, ის ყველა მსურველს ვერ შეხვდება: როგორც კომპანიის მესვეურები აცხადებენ, F60-ს მხოლოდ ნაცად კლიენტებს მიჰყიდიან, რომლებსაც არ შეუბღალავთ თავიანთი რეპუტაცია. ამასთან, „ფერარის“ ხელმძღვანელობას ისიც კარგად ესმის, რომ F60, ბოლოს და ბოლოს, მაინც მოხვდება „შავ ბაზარზე“, სადაც მისი ფასი 1,5-2 მლნ-საც მიაღწევს.

ჯერჯერობით კი ეს მოდელი ცდებს გადის მარანელოს პოლიგონზე, რომელშიც თვით მიხაელ შუმახერი მონაწილეობს. ავტომობილი 6.0 ლ, 667 ცხ. ძ. V12 ძრავით არის აღჭურვილი, რაც მას 100 კმ/სთ-მდე სიჩქარეს 3,2 წმ-ში განავითარებინებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 328 კმ/სთ იქნება. შესაძლოა, საბოლოო ვერსიამ უფრო დიდ სიჩქარესაც მიაღწიოს – ჯერჯერობით კი, უბრალოდ, ამაზე მეტი სისწრაფის ამტანი საბურავები არ არსებობს. „ფერარი“ ახლა კონცერნ BRIDGESTONE-თან აწარმოებს მოლაპარაკებას, ამ მოდელისთვის ახალი, ზეგამძლე საბურავების შექმნის თაობაზე. F60-ს 6 საფეხურიანი, ნახევრად ავტომატური ტრანსმისია ექნება, რომელიც გადაცემათა ხელით გადართვასაც ითვალისწინებს.

მისი ტექნიკური აღჭურვილობა ძალიან ჰგავს „ფორმულა-1“-ის ბოლიდს. ამის გამო, ზოგიერთი ექსპერტი ხუმრობს – „ფერარიმ“ გადაწყვიტა, ამ ავტომობილისთვის განკუთვნილი ახალი შასი არ შეემუშავებინა, რათა ცოტაოდენი ეკონომია გაეწია და უბრალოდ, ძარა პირდაპირ „ფორმულის“ ბოლიდს დაადგაო.

ავტომობილის ძარა ნახშირპლასტიკისგან არის დამზადებული. ამან საგრძნობლად შეამცირა მანქანის მასა და გაზარდა მისი სიმკვრივე. ახალი, აქტიური საკიდარი ავტომატურად დაარეგულირებს მანძილს მანქანის იატაკსა და გზის საფარს შორის, რაც აუცილებელია აეროდინამიკური პაკეტის გამართული მუშაობისთვის, აეროდინამიკა კი ასეთი სწრაფი ავტომობილისთვის ერთ-ერთ ყველაზე სასიცოცხლო თვისებას წარმოადგენს: სწორედ ამიტომ, მოდელის ამ ნაწილზე „ფორმულის“ გუნდის საუკეთესო სპეციალისტები მუშაობდნენ. ■

MG Rover-ი Ferrari-ს კონკურენტს ქმნის

MG ROVER-მა იტალიური კომპანია QVALE AUTOMOT GROUP-ი შეიძინა, რომელიც ძვირად ღირებული სპორტული ავტომობილების წარმოებით არის ცნობილი და ამჟამად მხოლოდ ერთ მოდელს – MANGUSTA-ს უშვებს,რომელსაც 4,6 ლიტრიანი, 305-308 ცხ. ძალიანი V8 ძრავა აქვს (მაქსიმალური სიჩქარე – 300 კმ/სთ; 100 კმ/სთ-მდე მიღწევის დრო – 5 წმ).

ახლა „მანგუსტას“ 70-მდე ადამიანი აწყობს. ექსპერტთა აზრით, სწორედ ამ მოდელმა დააინტერესა „როვერი“, რომელიც ახალი მძლავრი სპორტული ავტომობილის შექმნაზე მუშაობს. X80 კოდური სახელით ცნობილი მოდელი მსოფლიოში ერთ-ერთ უსწრაფეს მანქანად და „პორშესა“ და „ფერარის“ მომავალ კონკურენტად არის ჩაფიქრებული. გარდა ამისა, სწორედ ახალი სუპერკარით აპირებს „როვერი“ ამერიკულ ბაზარზე გასვლას, რომელზეც უკვე 20 წელია არ გამოჩენილა.

MG ROVER-ის თავმჯდომარის მოადგილის ნიკ სტეფენსონის თქმით, ახალი X80 „მანგუსტას“ პლატფორმაზე აიწყობა, მისი ძრავის სიმძლავრე კი 400 ცხ. ძალას მიაღწევს. ძარის დიზაინზე ამჟამად „მგ როვერის“ მთავარი დიზაინერი პიტერ სტივენსი მუშაობს, რომელმაც თავის დროზე LOTUS ELAN-ი და MCLAREN F1 შექმნა.

MG X80-ს წარმოებაში 2002 წელს ჩაუშვებენ. მას ძარის ორი ვერსია – კუპე და როდსტერი ექნება. მომავალი ავტომობილის ფასი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა როგორც ვარაუდობენ, 70.000 დოლარამდე ეღირება. ■

სად დავისვენოთ?



თამარ მამაცაშვილი

ზაფხულია და ბუნებრივია, ყველა ოჯახში დგას დასვენების ორგანიზების საკითხი. თუ სწორად შეარჩევთ თქვენი ჯანმრთელობის შესაფერის კლიმატს, ამით საგრძნობლად გაიუმჯობესებთ არა მარტო სულიერ, არამედ ფიზიკურ მდგომარეობას.

სიტყვა „კურორტი“ სამკურნალო ადგილს ნიშნავს. ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორთა მიხედვით ორი ტიპის კურორტია ცნობილი: კლიმატოთერაპიული (ჰავა) და ბალნეოთერაპიული (სამკურნალო წყლები, ტალახი და სხვ.)

საკურორტო ფაქტორებით კომპლექსური მკურნალობა სხვა გარემო ფაქტორების ზეგავლენასთან ერთად, არსებით ძვრებს იწვევს ორგანიზმში, რაც საბოლოოდ, ხელს უწყობს პათოლოგიური მოვლენების ჩაქრობას ან, ყოველ შემთხვევაში, მათ შემსუბუქებას და, ამრიგად, იწვევს საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მთის კლიმატი. საშუალო სიმაღლის (400-1200 მეტრი ზღვის დონიდან) მთის კლიმატი ორგანიზმს მეტეოროლოგიურ ფაქტორთა კომპლექსის მკვეთრი გავლენისაგან იცავს. მას არ ახასიათებს სპეციფიკურობა, როგორც, მაგალითად, უდაბნოს ან მაღალი მთის კლიმატს.

მაღალი მთის კლიმატისათვის (1200-1500) დამახასიათებელია დაბალი ბარომეტრული წნევა (ყოველ 11 მეტრზე ზღვის დონიდან წნევა ვერცხლისწყლის სვეტის ერთი მილიმეტრით კლებულობს), დღეღამის ტემპერატურის ზომიერი ცვალებადობა, მზის რადიაციის მაღალი ინტენსივობა და ხანგრძლივობა. მთის ჰაერი აგრეთვე მდიდარია ოზონით და მნიშვნელოვნად იონიზებულია.

მაღალი მთის კლიმატის უარყოფით თვისებებს შორის აღსანიშნავია ჰაერის გაიშვიათება, დროდადრო ატმოსფერული წნევის მკვეთრი ცვალებადობა, რაც მგრძნობიარე, ნერვულ ავადმყოფებში საერთო აგზნებულობას იწვევს.

მაღალი მთის კლიმატით მკურნალობისათვის ნაჩვენებია შემდეგი დაავადებები: ფილტვების, ძვალ-სახსართა, ლიმფური ჯირკვლების და კანის ტუბერკულოზი; ბრონქული ასთმა და სუნთქვის ორგანოების სხვა არატუბერკულოზური დაავადებები; მეორადი ანემია (სისხლნაკლებობა), რაქიტი, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები და სხვ.

მაღალი მთის კლიმატით მკურნალობისათვის უკუნაჩვენებია შემდეგი დაავადებები: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების დეკომპენსაციის ფაზა, ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაავადებები, მკვეთრად გამოხატული ათეროსკლეროზი, ჰიპერტონიული დაავადება (წნევა), ნეფროსკლეროზი (თირკმლების სკლეროზული გადაგვარება), ფილტვის ტუბერკულოზის დეკომპენსაციის სტადია და სისხლიანი ხველებისადმი მიდრეკილება, ნივთიერებათა ცვლის მძიმე მოშლილობა, ეპილეფსია, მწვავე დაავადებები და სხვა.

საქართველოში საშუალო სიმაღლის მთის კლიმატური ადგილებია: სურამი – 750 მ ზღვის დონიდან, წყნეთი – 750-1000 მ, ქვიშხეთი – 750 მ, მანგლისი 1200 მ და სხვა.

მაღალმთიან კურორტებს განეკუთვნება: აბასთუმანი – 1250-1500 მ, ბახმარო – 1950 მ, შოვი – 1600 მ, ლებარდე – 1300-1600 მ, კოჯორი – 1300-1400 მ.

ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომრებში ბორჯომის ჯგუფის კურორტებსა და ზღვის კლიმატზე გესაუბრებით. ■

შხამიანი მწერის ნაკბენი

ფუტკრის, კრაზანის, მორიელის, ობობას ნაკბენ ადგილზე ადამიანი გრძნობს ძლიერ წვასა და ტკივილს, ნაკბენის არე შეწითლებულია, შესივებული, მის ცენტრში კი ჩანს ნაკბენი ხვრელი და ნესტარი. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ შხამი შეიცავს ადამიანის ორგანიზმისთვის უცხო ცილებს, რომელთა შეჭრას ნაკბენიდან თან ახლავს ადგილობრივი ანთებითი რეაქციის განვითარება. გარდა ამისა, უცხო ცილა იწვევს ალერგიულ რეაქციას, რომელიც უფრო ხშირად ადგილობრივად ვლინდება, შეშუპებისა და ქავილის სახით. მაგრამ თუ ადამიანი რამდენიმე მწერმა დაკბინა, ან თუ მისი ორგანიზმი ალერგიულად ზემგრძნობიარეა, მაშინ შესაძლოა, განვითარდეს ზოგადი მოვლენები: საერთო სისუსტე, თავბრუსხვევა, თავისა და კუნთების ტკივილი, გულისრევა, პირღებინება, ტემპერატურის მომატება, მძიმე შემთხვევებში შეიძლება განვითარდეს კრუნჩხვები და ანაფილაქსიური შოკიც კი.

დახმარება. საჭიროა, ნაკბენიდან ამოვიღოთ ნესტარი, მაგრამ ფრთხილად, ისე, რომ არ გაიჭყლიტოს მასზე მიმაგრებული პარკი და ქსოვილში არ შევიდეს შხამის დამატებითი რაოდენობა. ნაკბენ ადგილზე უნდა დავადოთ ყინულის ბუშტი, ცივი საფენები ან ცივი ლითონი. ალერგიული რეაქციის შესამსუბუქებლად იყენებენ სუპრასტინს, ტავეგილს. ხოლო მძიმე შემთხვევაში ავადმყოფის შოკური მდგომარეობიდან გამოყვანა ხდება ჰორმონული პრეპარატებით (პრედნიზოლონი). ასეთ დროს სასწრაფოდ უნდა მიმართოთ ექიმს. ■

სამკურნალო მცენარეები

ქაცვი

ქაცვი ტანმორჩილი ხეა ან ბუჩქი. აქვს ეკლიანი ტოტები და წვრილი მოყვითალო ყვავილები. ნაყოფი ნარინჯისფერ-წითელია, ხორციანი, წვნიანი, მწიფდება სექტემბერ-ოქტომბერში და მთელი წელი რჩება მცენარეზე. გავრცელებულია საქართველოს მთა-ტყიან ზონაში, მდინარეების ხეობებში. ზოგჯერ ქმნის ვრცელ მასივებს. ნაყოფი შეიცავს 10%-მდე ცხიმოვან ზეთს, დიდი რაოდენობით კაროტინოიდს და სხვა ვიტამინებს, შაქრებს, ორგანულ მჟავებს. ნაყოფის შეგროვება შეიძლება შემოდგომიდან თებერვლამდე. ინახება გამშრალი, გაყინული, დაკონსერვებული ან შაქართან ერთად, გახეხილი სახით.

ქაცვის ზეთს აქვს რეგენერატორული (ქსოვილთა აღმდგენი) თვისებები და ანტიბაქტერიული მოქმედება (სტაფილოკოკზე, სტრეპტოკოკზე, ეშერიხიაზე, პროტეუსზე). იგი თრგუნავს კუჭის სეკრეციას, დადებით გავლენას ახდენს ლიპიდურ (ცხიმოვან) ცვლაზე ღვიძლში, ზრდის დამცველობით ფუნქციას უჯრედულ დონეზე. ქაცვის ზეთი აფერხებს ათეროსკლეროზული პროცესის განვითარებას, ამცირებს ქოლესტერინის შემცველობას სისხლში.

გამოყენება მედიცინაში:

1. ქაცვის ზეთს იყენებენ დამწვრობის, კანის ტროფიკული წყლულებისა და დუნედ, გახანგრძლივებულად მიმდინარე დაავადებების, აგრეთვე დაჩირქებითი პროცესების დროს.

2. გინეკოლოგიაში ქაცვის ზეთს იყენებენ საშვილოსნოს ყელის ეროზიისა და სხვა ანთებითი დაავადებების დროს.

3. ქაცვის ზეთი კარგ შედეგს იძლევა კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულით დაავადებულებში.

4. ამ ზეთის შემცველ სანთლებს საკმაოდ წარმატებით იყენებენ სწორი ნაწლავის მრავალი პათოლოგიის: ეროზიული პროქტიტის, სფინქტერიტის, ჰემორროის, სწორი ნაწლავის ნახეთქების, კატარულ-ატროფიული პროქტიტის (სწორი ნაწლავის ანთება) და სხვათა დროს.

5. ქაცვის ზეთს იყენებენ ჰაიმორიტის დროს. აგრეთვე კარგია ტონზილიტის (ნუშურა ჯირკვლების ანთების), პერიოდონტიტის, პულპიტის დროს.

6. ათეროსკლეროზიან ავადმყოფებში ქაცვის ზეთი იძლევა საკმაოდ კარგ შედეგებს: უმჯობესდება საერთო მდგომარეობა, ჰემოდინამიკა, ქვეითდება ლიპიდების რაოდენობა სისხლში, შედარებით იშვიათი ხდება სტენოკარდიული შეტევები, ნორმალიზდება სისხლის წნევა, დადებით დინამიკას განიცდის ელექტროკარდიოგრამა.

გვერდითი მოქმედებები პრეპარატს არ აქვს.

ქაცვის ზეთი იყიდება მზა სახით აფთიაქებში. კანის დაავადებების დროს მასში დასველებული საფენი უნდა დავიდოთ დაზიანებულ ადგილას. გინეკოლოგიურ პრაქტიკაშიც იყენებენ ზეთში დასველებულ ტამპონებს. კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულის დროს უნდა მიიღოთ 1 ჩაის კოვზი 2-3-ჯერ დღეში ჭამამდე 30-40 წუთით ადრე.

ზეთი უნდა შეინახოთ გრილ და ბნელ ადგილას.

■

თქვენი პატარა

ახალშობილის კანი მეტად მგრძნობიარეა გარე გამღიზიანებლების მიმართ. პატარებს ხშირად უვითარდებათ კანის ანთებით-ალერგიული პროცესები, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, რომელშიც ჩახურება ხდება: იღლიებში, ყელის ნაკეცებში, უკანატანში, ბარძაყ-საზარდულის ნაკეცებში, ყურის ნიჟარების უკან; ამიტომ საჭიროა ასეთ ადგილებზე კანის მუდმივი დამუშავება — ანტიანთებითი, ანტისეპტიკური საშუალებებით. დედები უმეტესად გადადუღებულ ზეთს ან ტალკს იყენებენ, რაც ხშირ შემთხვევაში, საკმარისი არ არის ხოლმე — ბავშვები ჭირვეულობენ და ამის მიზეზი არასათანადოდ დამუშავებული კანი ხდება.

შემოგთავაზებთ თაფლის სანთელზე დამზადებული მალამოს რეცეპტს. იგი პედიატრიულ პრაქტიკაში მრავალნაცადი და აღიარებულია. თუ თქვენს პატარას ამ მალამოთი დაუზელთ კანს, მას კანის პრობლემები აღარასოდეს შეაწუხებს.

მზესუმზირის ზეთში ჩაშუშეთ 2 თავი ხახვი. ზეთი გადაწურეთ მომინანქრებულ ჯამში და შემდეგ მასში თაფლის სანთლის ნაჭერი ისე ჩააგდეთ, რომ ზეთისა და სანთლის მოცულობითი თანაფარდობა იყოს 2:1 (ე.ი. ზეთი ორჯერ მეტი იყოს სანთელზე). მიღებული ნარევი მიიყვანეთ ადუღებამდე, ისე, რომ არ შეწყვიტოთ მორევა. სანთელი გადნება და წარმოიქმნება ერთგვაროვანი მასა. გადმოდგით ჯამი ცეცხლიდან და შეაგრილეთ ასევე მუდმივი მორევით, რათა ზეთი და სანთელი არ გამოცალკევდეს. წინასწარ გამზადეთ პუდრისებურად დაფქული 4-5 აბი სტრეპტოციდი და ეს ფხვნილი აურიეთ მალამოში (ფხვნილის არევა უნდა მოხდეს დროულად — ვიდრე მალამო გაცივდება, რადგან მისი კონსისტენცია ბლანტი ხდება და მორევა გაგიჭირდებათ).

მიღებული მალამო მოათავსეთ კარგად გარეცხილ, გამომშრალ ჭურჭელში, დაახურეთ თავსახური და შეინახეთ გრილ ადგილას.

მალამო უნდა გამოიყენოთ ყოველდღიურად, პროფილაქტიკის მიზნით, რათა თქვენი ჩვილი თავს კომფორტულად გრძნობდეს.

■

ინფარქტი



პასუხი

კითხვა: ძალიან მიყვარს კარაქი – ყოველდღიურად შემიძლია 100 გ-მდე შევჭამო. მაშინებენ – ამდენი ცხიმი დაგაავადმყოფებსო. ვარ 35 წლის და ჯერჯერობით არაფერი მაწუხებს. მაინც, რა დაავადება შეიძლება დამემართოს?

პასუხი: კარაქი, ისევე, როგორც სხვა ცხოველური ცხიმები, შეიცავს დიდი რაოდენობით ქოლესტერინს, რომლის შემცველობის მომატება სისხლში არის ათეროსკლეროზული პროცესის განვითარების საფუძველი. ათეროსკლეროზი კი წარმოადგენს თითქმის ყველა ასაკობრივი პათოლოგიის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს. მაგალითად: გულის იშემიური დაავადების, ტვინის სკლეროზის, ჰიპერტონიული დაავადების, თირკმლების ქრონიკული პათოლოგიების და სხვა. გარდა ამისა, ცხიმების დიდი რაოდენობით მონელებას სჭირდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციების ზენორმული დატვირთვა, რაც საბოლოოდ, მის ორგანულ დაზიანებამდე მიგვიყვანს.

სასურველია, რომ ყველა ადამიანი პერიოდულად განიტვირთოს ცხოველური პროდუქტებისაგან. ეს განსაკუთრებით ეხება მათ, ვინც 45 წელს გადააბიჯა, რადგან ასაკში მატულობს ათეროსკლეროზული პროცესის განვითარების რისკი. ასეთი განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა ქრისტიანული ცხოვრების წესის დაცვა – მარხვების შენახვა, რაც აუცილებლად წაადგება თქვენს სხეულსაც და სულსაც.

კითხვა: ერთი წლის წინ მივიღე ძლიერი ფსიქოემოციური ტრავმა. მას შემდეგ მაქვს უძილობა, ნევროზი (საერთოდ, ემოციური ვარ), მაგრამ ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ მკერდის ძვლის უკან, პერიოდულად, ძალიან უსიამოვნო შეგრძნება მიჩნდება, თითქოს ყელში რაღაც მიჭერს, მეწვის, მიჭირს წყლის გადაყლაპვაც კი. ზოგჯერ ყველაფერი მომეხსნება და თავს კარგად ვგრძნობ. სისხლის ანალიზები ნორმალური მაქვს. გარდა ამისა, მაწუხებს ხოლმე გულძმარვა, ცხიმიან საკვებზე მიღიზიანდება ნაღვლის ბუშტი. ექოსკოპია გავიკეთე – კენჭები და ანთება არ აღმომაჩნდა. მეშინია – ყელის კიბო ხომ არ მაქვს და ექიმთან არ მივდივარ. თქვენ როგორ ფიქრობთ?

პასუხი: თქვენი მონათხრობიდან საერთო შთაბეჭდილება ასეთია: თქვენ გაქვთ ვეგეტაციური ნერვული სისტემის აგზნება და მასთან დაკავშირებული ფუნქციური ძვრები – საყლაპავის სპაზმი, კუჭის ჰიპერსეკრეცია, სანაღვლე გზების დისკინეზია. ზემოთ ჩამოთვლილთაგან არც ერთი არ არის ორგანული და შეუქცევადი ცვლილება, თუ მოიწესრიგებთ ნერვული სისტემის ფუნქციას. ის, რომ სისხლის ანალიზი ნორმალურია და პერიოდულად სპაზმები გეხსნებათ, წინასწარი ვარაუდით გამორიცხავს თქვენს ეჭვს. ამ ეტაპზე თქვენ გესაჭიროებათ ნევროპათოლოგის კონსულტაცია, რომელიც ალბათ ჩაგიტარებთ მკურნალობას ნერვული სისტემის საერთო აგზნების მოხსნის მიზნით, აგრეთვე, ქოლინოლიტიკებით და სპაზმოლიტიკებით (ნო-შპა, პაპავერინი, ვალერიანი). უნდა იკვებოთ მცირე ულუფებით, ხშირ-ხშირად. თუ ეს მკურნალობა არ გამოიღებს შედეგს, შემდეგ უნდა ჩატარდეს რენტგენოლოგიური გამოკვლევა ორგანული დაზიანების გამორიცხვის მიზნით.

კითხვა: მაქვს სტენოკარდია. ექიმმა დამინიშნა ნიტროსორბიდი – 2 აბი 4-ჯერ დღეში. გულის მხრივ მდგომარეობა გამიუმჯობესდა, მაგრამ ისეთი თავის ტკივილები მაქვს, რომ ახლა ამისგან დავკარგე მოსვენება. ასე მგონია, საშველი აღარ არის.

პასუხი: საშველი ნამდვილად არის. თქვენი თავის ტკივილი სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, ნიტროსორბიდის მიღების ფონზე, რადგან ამ პრეპარატს ახასიათებს ასეთი გვერდითი მოვლენა. თავის ტკივილი გაივლის ხოლმე დოზის შემცირებასთან ერთად. მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს ექიმის მითითებით და მეთვალყურეობის ქვეშ. თუ დოზის შემცირების შემდეგაც არ მოიხსნა გაუსაძლისი თავის ტკივილი, მაშინ შეიძლება დაინიშნოს ამ ჯგუფის სხვა პრეპარატი.

კითხვა: უბნის პედიატრმა გვირჩია, რომ ჩემი გოგონა გინეკოლოგს ვაჩვენოთ. მაგრამ ის მხოლოდ 8 წლისაა. რად უნდა სჭირდებოდეს ამ ასაკის ბავშვს გინეკოლოგი?

პასუხი: 8 წლის ასაკშიც არის შესაძლებელი საშვილოსნოს დანამატების ანთება, კოლპიტი (საშოს ანთება) და ვულვოვაგინიტი, და რადგან პედიატრი გირჩევთ, აჩვენოთ ბავშვი გინეკოლოგს, ნუ დადგებით უარზე – შესაძლოა, ამ ვიზიტით თქვენს გოგონას თავიდან ააცილოთ მოწიფულობის ასაკში მოსალოდნელი პრობლემები.

კითხვა: მაქვს ალერგია სარეცხის ფხვნილზე. რას მირჩევთ?

პასუხი: რეცხვის დროს უპირატესობა მიანიჭეთ სარეცხის საპონს. მდგომარეობას შეგიმსუბუქებთ სარეცხი მანქანა, რომელშიც რეცხვის მთელი ციკლი დახურულია. ფხვნილის ჩაყრა სთხოვეთ სხვას. რეცხვის პროცესში აუცილებლად გააღეთ საბაზანოს კარი და ჩართეთ ვენტილაცია. გარეცხილი სარეცხი უნდა გაავლოთ საგულდაგულოდ. მანქანით რეცხვისას რეჟიმი „გავლენა“ ჩართეთ 2-3-ჯერ, ზედიზედ.

მოამზადა თამარ მამაცაშვილმა

ფრენსის დრეიკი

1596 წლის 28 იანვარს გამთენიისას, დღევანდელი პანამის სანა-პიროს მახლობლად, ღია ზღვაში, ბრიტანული სამხედრო ხომალდის ბორტიდან, ტყვიის კუბო ჩაუშვეს. ასე, უძველესი საზღვაო წესისამებრ დაასრულა თავისი ამქვეყნიური ცხოვრება გემის კაპიტანმა — სერ ფრენსის დრეიკმა. ის სამუდამოდ დაბრუნდა იქ, სადაც მისი — მეკობრის, მოგზაურის, სამეფო ფლოტის ადმირალის ცხოვრების უმეტესმა ნაწილმა განვლო.

ელისაბედ პირველი

misi udidebulesoba

ღიღიფლის მეკობრე

წითელი დროშის ქვეშ ჩადენილი ყაჩაღობანი

თითოეულ ადამიანში, ვისაც ყმაწვილობისას სათავგადასავლო ლიტერატურა ჰყვარებია, სიტყვა „მეკობრე“ სავსებით კონკრეტულ ასოციაციას იწვევს: შავი დროშის ქვეშ მცურავი ბრიგანტინები, რომლის ბორტებზე ქვეყნიერების ყველა კუთხიდან გადახვეწილი თავზეხელაღებული სუბიექტები შეკრებილან, ტროპიკულ კუნძულებზე ჩამარხული განძეულობა, მეკობრეთა ღირსების კოდექსი, ლოთობა და აღვირახსნილობა, — აი, არასრული სია იმ მხატვრული სახეებისა, რომელიც ჩვენს მეხსიერებაში მეკობრეობის რომანტიკულ და სასტიკ სამყაროსთან არის დაკავშირებული. ცხადია, ეს ყველაფერი ჟანრის რომანისტთა მიერ საკმაოდ გალამაზებულ-გაფერადებული სურათია.

სინამდვილეში, მეკობრეთა ღირსების კოდექსი დიდად არ განსხვავდებოდა თანამედროვე ქურდული კანონებისგან, მათი თითქოსდა პატიოსანი ორთა ბრძოლები — ამჟამინდელი „გარჩევებისა“ და ქუჩური სროლებისაგან. თვით მეკობრეობაც ფრიად პირობითი ცნება იყო — რომ იტყვიან, მეკობრეც არის და მეკობრეც: ზღვაში ჩადენილი ნებისმიერი ყაჩაღობა მეკობრეობაა, მაგრამ ბევრი საზღვაო ყაჩაღი დიდად განაწყენდებოდა, მისთვის მეკობრე რომ ეწოდებინათ — იმდენად, რამდენადაც ე.წ. ბუკანიერთა და ფლიბუსტიერთა (ე.წ. კერძო მეკობრეთა) გარდა, არსებობდნენ კიდევ ფრანგი კორსარები (სხვა ქვეყნებში მათ კაპერებსა თუ პრივატირებს ეძახდნენ): ისინი ყაჩაღობდნენ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამას იდეურ-პატრიოტული მოტივით, მაშასადამე — სახელმწიფოს ხელდასხმით სჩადიოდნენ. სამთავრობო პატენტით აღჭურვილი კორსარები მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა ხომალდებს ესხმოდნენ თავს და ნაყაჩაღარს მშობლიურ ხაზინას აბარებდნენ, ამის სანაცვლოდ კი, წოდებებს, ორდენებს, ტიტულებსა და მიწებს ღებულობდნენ — ნაალაფარის ნაწილთან ერთად, რა თქმა უნდა.

შავი დროშაც გამოგონილია: ფრანგ კორსარებს, რომლებიც ინგლისელთა მოსვლამდე კარიბის ზღვაში ბატონობდნენ, გემებზე წითელი დროშები — ამბოხებისა და დაუმორჩილებლობის სიმბოლო ჰქონდათ აღმართული. სწორედ იმ დროიდან ჩნდება დასახელება — „მხიარული როჯერი“ (JOLLY ROGER), რომელიც ინგლისელებმა ფრანგული JOYEUX ROUGE-ის („მხიარული წითელი“) დამახინჯებით შექმნეს. აი, ეროვნული დროშის აღმართვას ვერც ფრანგი კორსარები, ვერც გერმანელი კაპერები და ვერც ინგლისელი პრივატირები ვერ ბედავდნენ: საერთაშორისო საზღვაო სამართალი მაშინაც ომის გამოცხადების აქტად განიხილავდა მშვიდობიან გემზე თავდასხმას.

ამ სარფიან საქმეს უძველესი დროიდან მისდევდნენ, მაგრამ ჩვენთვის წიგნებიდან ნაცნობი მეკობრეობის აყვავება მაინც უდიდეს გეოგრაფიულ აღმოჩენათა ხანიდან იწყება. სწორედ მაშინ გახდა ამ მოვლენის ეპიცენტრი კარიბის ზღვა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ფლიბუსტიერის ზღვად იწოდებოდა: ახალაღმოჩენილი ახალი სამყაროდან ესპანეთისკენ მიედინებოდა ოქროთი, ვერცხლითა და ათასგვარი ძვირფასი ტვირთით დამძიმებული გალიონები.

1492 წელს, როცა პაპმა ალექსანდრე მეექვსემ თავისი სპეციალური ბულით (ბრძანებით), მთელი მსოფლიოს აღმოჩენილი და ჯერ კიდევ აღმოსაჩენი მიწები ესპანურ და პორტუგალიურ სამეფოებს გაუნაწილა, ევროპის სხვა მონარქებმა დაჩაგრულად იგრძნეს თავი. ვინაიდან ესპანელებთან ღია ომის წარმოების შესაძლებლობა არ ჰქონდათ (მათ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ფლოტი ჰყავდათ), საფრანგეთის მეფის ფრანცისკ პირველისა და ინგლისელი დედოფლის ელისაბედ პირველის ქვეშევრდომებმა და აგრეთვე ჰოლანდიელმა კაპიტნებმა პარტიზანული ომები გააჩაღეს.



თავდაპირველად „პელიკანად“ წოდებული ლეგენდარული ხომალდი, დედამიწის გარშემო მოგზაურობისას, „ოქროს ფურირემად“ იქცა, ჩვეულებრივი მეკობრე კი ადმირალ და ლორდ ფრენსის დრეიკად...

მეკობრე

თუმცა ფრანგი კორსარები ატლანტიკაში, პორტუგალიელი ზღვაოსნები კი — ინდოეთის ოკეანეში ყაჩაღობას თავიანთი მონარქების ხელდასხმით ჯერ კიდევ XV საუკუნეში ეწეოდნენ, სახელმწიფო მიზნებით მეკობრეობის გამოყენების აყვავების ხანა, მაინც მომდევნო — XVI საუკუნეზე მოდის. ეს მოვლენა ელისაბედ მეორის პოლიტიკასთან არის დაკავშირებული.

სწორედ მისი მეფობის დროს, ადმირალები მეკობრეები ხდებოდნენ, მეკობრეები ხშირად, ადმირალის სამოსს ირგებდნენ. ამ უკანასკნელთა შორის, ისტორიაში ყველაზე შესამჩნევი კვალი, უდავოდ, ფრენსის დრეიკმა დატოვა.

ის დაახლოებით 1540 წელს (ზუსტი თარიღი უცნობია), არცთუ ისე შეძლებული ფერმერის ოჯახში დაიბადა. მამამისს ზღვისპირა საგრაფო დევონშირში ჰქონდა აღებული მიწა იჯარით, შეთავსებით კი, პასტორის მოვალეობას ასრულებდა. როცა მომავალ ზღვაოსანს 9 წელი შეუსრულდა, ოჯახს მშობლიური კუთხიდან გაქცევა მოუხდა, რადგან ამბოხებულ კათოლიკეთაგან შურისძიების საშიშროება შეექმნა. აი, ასე, ბავშვობიდანვე, ფრენსის დრეიკს ორი დიდი გრძნობა ამოძრავებდა: ზღვის სიყვარული და სიძულვილი კათოლიკეთა, ე.ი., ავტომატურად — ესპანელების მიმართ.

13 წლის ასაკიდან ფრენსისი უკვე დაცურავდა. მან იუნგიდან კაპიტნამდე და მომცრო გემის მფლობელამდე დიდი გზა განვლო. 23 წლისამ კი, გაყიდა გემი და მისი უდიდებულესობის ფლოტის სამსახურში ჩადგა, სადაც სავაჭრო გემის — „ივდითის“ მართვა ჩააბარეს. ამ გემით მოძრაობდა დრეიკი აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის სანაპიროებისკენ და იმ დროს ყველაზე სარფიან საქონელს — შავკანიან მონებს დაატარებდა.

ვესტ-ინდოეთში (როგორც მაშინ კარიბის ზღვის კუნძულებს უწოდებდნენ) პირველივე მოგზაურობის დროს, მას მთელი თავისი შემდგომი ცხოვრების მთავარ მოწინააღმდეგესთან შეხვედრა ელოდა: დრეიკის ხომალდი კინაღამ ჩაიძირა ესპანურ გალიონთან ორთა ბრძოლის შედეგად. მექსიკის სანაპიროსკენ მეორე მოგზაურობის შემდეგ, კაპიტანმა დედოფლისაგან პატენტი მიიღო და პრივატირად იქცა.

თუმცა, თავდაპირველად, ეს ეკონომიკური მეკობრეობა უფრო იყო: დრეიკი და მისი მეწყვილე არალეგალურ ბარტერს ეწეოდნენ ესპანელ კოლონისტებთან, რომელთაც არ სურდათ, ეხადათ ნაპოვნი ოქროსთვის დაწესებული გადასახადი. საინტერესოა, რომ სქემა არაფრით განსხვავდებოდა იმისგან, რასაც დღეს იყენებენ: ინგლისელებს ოქროს, ე.წ. პირველადი მოხმარების ნაწარმში უცვლიდნენ, ესპანელ სამეფო ინსპექტორებს კი ნულოვან მოგებას უჩვენებდნენ. შემდგომ უკვე, ესპანური გემების პირდაპირი დაყაჩაღება დაიწყო.

1572 წელს, დრეიკმა თავისი ორი გემის ეკიპაჟი პანამის ყელის ნაპირზე გადმოსხა და პერუს საბადოებიდან მომავალი, ოქრო-ვერცხლით დატვირთული ქარავანი დააყაჩაღა, რის შემდეგაც ეროვნულ გმირად და მდიდარ კაცად იქცა. ამ თავხედური რეიდის შედეგად მოპოვებული სიმდიდრე მხოლოდ ოქროთი როდი განისაზღვრებოდა: ყელის მიდამოებში მოგზაურობისას, სანაპიროს ერთ-ერთი მთის მწვერვალიდან, ფრენსის დრეიკმა ინგლისელთაგან პირველმა დაინახა წყნარი ოკეანის უკიდეგანო სივრცე და მტკიცედ გადაწყვიტა, რომ პირველი იქნებოდა, ვინც ამ სივრცეში ბრიტანული დროშის ქვეშ მცურავ გემს გაიყვანდა. თავისი განზრახვა მან ხუთი წლის შემდეგ აღასრულა.

მოგზაური

ინგლისში დაბრუნებულმა დრეიკმა შეიტყო, რომ მისი არყოფნის დროს ელისაბედი და ესპანელი მეფე ფილიპ მეორე დაზავებულან. ასეთ სიტუაციაში დედოფალს არ შეეძლო დრეიკის „გმირობა“ აღენიშნა და ორი წლით ურჩ ირლანდიელებთან მებრძოლი გრაფი ესექსის დასახმარებლად გაგზავნა. როგორც კი მდგომარეობამ საშუალება მისცა, მან გამოიხმო დრეიკი და დიდსულოვნად მიიღო მის მიერ წარმოდგენილი მოგზაურობის პროექტი. უფრო მეტიც: დედოფალი თავადაც შევიდა მისი დაფინანსებისთვის შექმნილი საგანგებო სინდიკატის შემადგენლობაში, რომლის წევრები დიდებულები და მსხვილი ბანკირები იყვნენ.

ექსპედიციის ოფიციალური მიზანი ახალი მიწების, კერძოდ — წყნარ ოკეანეში არსებული ლეგენდარული კონტინენტის — უცნობი სამხრეთი მიწის (TERRA AUSTRALI`S INCOGNITA, საიდანაც წარმოიშვა ავსტრალიის სახელი), აგრეთვე ჩრდილოამერიკულ კონტინენტსა და არქტიკის ყინულოვან უდაბნოს შორის სავარაუდოდ არსებული ჩრდილოეთ-დასავლეთის „დერეფნის“ აღმოჩენა იყო. გარდა ამისა, სიტყვიერად, დედოფალი დათანხმდა აბორიგენებთან — რომლებიც ჯერ არ იყვნენ მოხვედრილები ესპა-

დრეიკის დროინდელი რუკები სიზუსტით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდა



ნური გვირგვინის გავლენის ქვეშ – კონტაქტის დამყარებას და მათი დასახლების ადგილებში ოქროსა და სხვადასხვა პროდუქტის მოძიებას.

1577 წლის 13 დეკემბერს, ქალაქ პლიმუტიდან სტარტი აიღო 100 ტონიანმა ფლაგმანმა „პელიკანმა“ 160 კაციანი გუნდით ბორტზე და მისმა დამხმარე ოთხმა ხომალდმა. მეზღვაურებსა და ჯარისკაცებთან ერთად, მოგზაურთა შორის სამეფო კარის რამდენიმე დიდებულიც – „ინვესტორთა ჯგუფის“ წარმომადგენლებიც იყვნენ. რადგან სამხრეთ ამერიკის სანაპირო რუკები მაშინ ინგლისელებს არ ჰქონდათ, მათ კრიმინალის ჩადენაც მოუხდათ: პორტუგალიელი ლოცმანი მოიტაცეს.

მოგზაურობა საკმაოდ რთული აღმოჩნდა: ექსპედიციამ შტორმებიც გადაიტანა, ბევრი ავადმყოფობაცა და ამბოხებაც. ერთ-ერთი, დრეიკის მეგობრისა და დედოფლის ფავორიტის – თომას დაფტის თაოსნობით მოხდა, რომლისთვისაც ინსტრუქტაჟი, ამ ძვირად ღირებული ექსპედიციის მთავარ მოწინააღმდეგესა და ესპანეთთან კავშირის ფარულ მომხრეს, ლორდ-ხაზინადარს გაუწევია. დრეიკმა ამბოხების მოთავეების დატუსაღება და სიკვდილით დასჯაც მოახერხა, თანაც იმ ადგილას, მაგელანის სრუტის სანაპიროსთან ჩაიდინა, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილიყო პორტუგალიელი მაგელანის მიერ თავისი მეამბოხე მეზღვაურებისთვის აგებული სახრჩობელები...

მანამდე, ბრაზილიის ნაპირთან, დრეიკი იძულებული გახდა, ორი გემი დაეტოვებინა, მაგელანის სრუტეში კი, რომლის გავლას 16 დღე მოანდომა, კიდევ – ორი გემი (ერთ-ერთმა მათგანმა ინგლისამდე დამოუკიდებლად ჩაღწევა მოახერხა). და მხოლოდ „პელიკანმა“ მიაღწია წყნარ ოკეანემდე, სადაც დრეიკმა, ამბოხებით „შერცხვენილ“ გემს სახელი გადაარქვა და „ოქროს ფურირემი“ უწოდა. სწორედ ამ სახელით შევიდა ეს ხომალდი ისტორიაში.

დრეიკი სამხრეთ ამერიკის სანაპიროს ჩრდილოეთისკენ მიჰყვებოდა და იმ დროისთვის, ექსპედიციის თავკაცის, მოგზაურის იმიჯი, მისთვის კარგად ნაცნობ პრივატირულზე გაცვალა და შიშის ზარს სცემდა ესპანურ დასახლებებსა და შემხვედრ გემებს. ფილიპ მეორეს წყნარი ოკეანის სანაპიროზე არ ჰყავდა დიდი გარნიზონები და ფლოტილიები, რადგან ევროპელთაგან მანამდე იქ არავის ჩაუღწევია, თავად ესპანელების გარდა. ამიტომაც, დრეიკს დიდი ნადავლი ელოდა: მარტო ერთი გალიონიდან, რომლის დასაპყრობად სულ რადენიმე გასროლა აღმოჩნდა საჭირო, „ოქროს ფურირემზე“ 20 გირვანქა (0,45359237 კგ) ოქრო, 20 ტონაზე მეტი ვერცხლი, ვერცხლის მონეტებით, მარგალიტითა და ძვირფასი თვლებით სავსე 23 სკივრი გადაიტანეს.

1579 წლის ივნისში დრეიკის ექსპედიცია თანამედროვე კალიფორნიის ნაპირებს მიადგა. და თუმცა მისი ხომალდი თავის მხრივ შეიძლება კარგ ნადავლად ქცეულიყო მასზე დატვირთული აურაცხელი სიმდიდრის გამო, მან მშვიდობიანად მიაღწია ჩრდილოეთ განედამდე, სადაც ახლა აშშ-ისა და კანადის საზღვარი გადის.

თუმცა, ჩრდილო-დასავლეთი „დერეფნის“ ძიება მაინც შეწყვიტეს – მზარდი ყინვების გამო, და კვლავ კალიფორნიისკენ აიღეს გეზი. დრეიკმა ღუზა იმ ადგილას ჩაუშვა, სადაც ახლა სან-ფრანცისკოა, თავის მიერ აღმოჩენილ მიწას ახალი ალბიონი დაარქვა და ბრიტანული სამეფოს საკუთრებად გამოაცხადა.

პლიმუტის მერად ყოფნისას დრეიკმა საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწია, მაგალითად, მის მიერ აგებულმა ქალაქის სასმელი წყლით მომარაგების სისტემამ, 300 წელი გაძლო

1579 წლის ივლისიდან 1580 წლის სექტემბრამდე „ოქროს ფურირემმა“ გადაკვეთა წყნარი ოკეანე, მიაღწია ჯერ ფილიპინებამდე, შემდეგ აფრიკამდე, შემოუარა მას და კვლავ სამხრეთ ატლანტიკაში ამოყო თავი. 26 სექტემბერს დრეიკი პლიმუტში დაბრუნდა. ეს დედამიწის ირგვლივ განხორციელებული მეორე (მაგელანის შემდეგ) მოგზაურობა იყო, რომლიდანაც ერთი ხომალდი დაბრუნდა. მის ბორტზე 56 ჯარისკაცი და მეზღვაური და აურაცხელი სიმდიდრე იყო, რომელიც იმდროინდელ ნახევარ მილიონ გირვანქა სტერლინგად შეფასდა. ექსპედიცია ძალზედ მომგებიანი აღმოჩნდა კომერციული თვალსაზრისით: მასში ჩადებული თითოეული გირვანქა სტერლინგი ინვესტორებს 47-ად დაუბრუნდათ.

ადმირალი

დრეიკის დაბრუნებამდე ესპანეთში უკვე შეიტყვეს მისი „საგმირო საქმეების“ შესახებ და ფილიპ მეორემ დედოფალს ოფიციალურად მოსთხოვა მეკობრის თავი. ამის ნაცვლად ელისაბედი თავად აბრძანდა „ოქროს ფურირემზე“. როცა ხომალდის კაპიტანმა, მუხლმოდრეკით, დედოფალს თავისი დაშნა გადასცა, ელისაბედმა ისე მოიქნია იგი, თითქოს თავისი ხელით აპირებდა მეკობრისათვის თავის მოკვეთას, მაგრამ... მხოლოდ წვერით შეახო კაპიტნის მხარს და წარმოთქვა: „ადექით, სერ ფრენსის!“ ფეხზე დამდგარი დრეიკი ქვეყანას ადმირალად და ლორდად მოევლინა.

თუმცა უმაღლესი საზოგადოება მას მაინც არ თვლიდა თავისი წრის ადამიანად. ახალგამომცხვარი ადმირალიც მთლად კომფორტულად ვერ გრძნობდა თავს ლონდონში, მალე პლიმუტში (რომლის მერადაც დანიშნა დედოფალმა) გადაბარგდა და მის მახლობლად მდებარე სააბატო შეიძინა, სადაც ახლა მისი მუზეუმია. მერად მოღვაწეობის პერიოდში მან ბევრი კარგი საქმე გააკეთა ქალაქისთვის, მაგალითად, შექმნა პლიმუტის სასმელი წყლით უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც 300 წელი მოქმედებდა.

1585 წელს კი მას საზღვაო სამსახურში უხმეს: დედოფალმა მას 25 გემიანი ფლოტილია ჩააბარა და ვესტ-ინდოეთში ესპანური მიწების აწიოკება დაავალა. ფრენსის დრეიკი ამ ექსპედიციიდანაც ტრიუმფატორად დაბრუნდა: მისი გამარჯვების ნუსხაში იყო აღებული და დაყაჩაღებული ქალაქები: კარტახენა კოლუმბიაში, სანავგუსტინი ფლორიდაში, სან-დომინგო კუნძულ ესპანიოლაზე (ამჟამინდელი გაიტი). სხვა ნადავლთან ერთად, მან 2 საოცრება – კარტოფილი და თამბაქო ჩაიტანა ინგლისში.

ამ ლაშქრობამ ესპანეთს ნამდვილი ფინანსური კატასტროფა მოუტანა: ფილიპ მეორეს ზურგი აქციეს მისმა უმსხვილესმა კრედიტორებმა – ვენეციის ბანკმა და გერმანულმა აუგსბურგის ბანკმა, თვით ესპანეთის ბანკი კი გაკოტრდა. ბუნებრივია, დრეიკთან ერთად, ფილიპ მეორის მოსისხლე მტრად ელისაბედიც იქცა.

ბრიტანული პრობლემის „საბოლოოდ მოსაგვარებლად“, ესპანეთის მეფემ, პაპის

დიდი ესპანური არმადის დამარცხების შემდეგ ფრენსის დრეიკი ბრიტანეთის უპირველეს საზღვაო მხედართმთავრად იქცა, ტორფის კონცხი კი – პლიმუტის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ღირსშესანიშნაობად

ლოცვა-კურთხევით, 1586 წელს მძლავრი ფლოტის მომზადება დაიწყო. დიდი არმადის შექმნა და მთელი საომარი სამზადისი იმდენად საფუძვლიანი იყო, რომ ინგლისის ხსნა ან განგებას შეეძლო, ან... დრეიკს.

1587 წელს ადმირალი მოულოდნელად თავს დაესხა ესპანეთის ნავსადგურ კადისს, სადაც 30-მა მსუბუქმა და მოქნილმა ინგლისურმა ხომალდმა დიდი არმადის მნიშვნელოვანი ნაწილის დაწვა მოახერხა და მათ ათასობით ტონა იარაღი, ამუნიცია და სურსათიც მიაყოლა.

თუმცა, არმადა მაინც გავიდა საბრძოლველად. როცა ბრიტანული ფლოტის ვიცე-ადმირალად დანიშნულ დრეიკს ლა-მანშის სრუტეში ესპანური გემების გამოჩენის ამბავი აუწყეს, ის ძველ ეროვნულ თამაშში იყო გართული. ზღვაში შეჭრილ ტორფის კონცხზე, რომელსაც პლიმუტში „თოხს“ უწოდებენ (PLYMOUTH HOE). გადმოცემის თანახმად, დრეიკს სწორედ მაშინ უთქვამს თავისი ცნობილი ფრაზა: ჯერ კიდევ დაგვრჩა დრო, ეს ხელი დავამთავროთ, შემდეგ კი ესპანელებს დავამარცხებთო... ამბობენ, სერ ფრენსისი იმას გულისხმობდა, რომ იმ დროს დაწყებული ზღვის მოქცევა ინგლისურ ფლოტს გასვლის საშუალებას არ მისცემდა...

ესპანელთა დამარცხება დრეიკს არ ეწერა – მის ნაცვლად, ეს განგებამ გააკეთა: ლა-მანშში გამართული ერთკვირიანი ურთიერთდევნისა და შეტაკებების შემდეგ, ინგლისური ფლოტი ტემზის შესართავში შევიდა, უეცრად აბობოქრებულმა შტორმმა კი, არმადის დიდი ნაწილი ჩაძირა, დაამსხვრია ან კლდეს მიაჯახა...

და მაინც, ამ კამპანიის დროს დრეიკმა ბრიტანული ფლოტის ნამდვილ ლიდერად გამოავლინა თავი. მისმა ხომალდმა – „შურისძიებამ“ ესპანური არმადის ფლაგმანი დაატყვევა, ხოლო როცა მოწინააღმდეგის მთავარმა ძალებმა კალეს ნავსადგურში მიმალვა სცადეს, ისევ დრეიკმა გამორეკა იქიდან: საამისოდ მან პირველმა გამოიყენა „ჩირაღდანი გემების“ შეტევის ხერხი – წინასწარ ცეცხლწაკიდებულმა გემებმა,

ფრენსის დრეიკი და მისი „ოქროს ფურირემი“ ბრიტანეთის სიმბოლოებად იქცა: მათ უამრავ აბრაზე, ფულად ნიშნებსა და სხვა, მრავალგვარ ატრიბუტიკაზე შეხვდებით.

უეკიპაჟებოდ, გეზი პირდაპირ ესპანური არმადის შუაგულისკენ აიღეს.

დრეიკის, როგორც ფლოტის წინამძღოლის სახელი და დიდება ყველამ აღიარა. ის მხოლოდ 200 წლის შემდეგ დაჩრდილა მეორე უდიდესი ადმირალის – ნელსონის სახელმა.

დიდება ამქვეყნიური და ზღვაოსნური

და მაინც, როგორც ჩანს, სიცოცხლის დროინდელი დიდების რესურსი ფრენსის დრეიკმა მაინც ამოწურა. ესპანეთის ნაპირებისკენ, დიდი არმადის ნარჩენების გასანადგურებლად განხორციელებული მისი ლაშქრობა წარუმატებლად დასრულდა: ნაპირზე გადმოსხმული ინგლისური დესანტი იძულებული გახდა, შინ დაბრუნებულიყო, რადგან ძალიან შეთხელდა – არა ბრძოლის დროს, არამედ სნეულებებით მეომრების დაღუპვის გამო. დედოფალი იმდენად გაწყრა, რომ ადმირალთან კონტრაქტიც არ გაუგრძელებია.

თუმცა დედოფლის რისხვა დიდხანს არ გაგრძელებულა და 1596 წელს ადმირალი კვლავ იხმეს კარზე და ვესტინდოეთში ახალი რეიდის განხორციელება დაავალეს, მაგრამ ფორტუნამ საბოლოოდ უმტყუნა დრეიკს: ესპანელებს უკვე კარგად გაემაგრებინათ თავიანთი ციხეიმაგრეები, კარიბის ზღვაშიც დამატებითი ესკადრები გაეგზავნათ, საბოლოო მარცხი კი ინგლისურ ფლოტს ციებამ აწვნია, რომელმაც თავად ადმირალიც არ დაინდო...

„ოქროს ფურირემმა“ ცოტა ხანს დაყო, როგორც სამხედრო-საზღვაო მონუმენტმა, მაგრამ დრომ თავისი ქნა: დღევანდლამდე ამ ლეგენდარული ხომალდისაგან მხოლოდ ერთმა ხის სავარძელმა მოაღწია, რომელიც ოქსფორდში მდებარე ბოდლეანის ბიბლიოთეკას ამშვენებს, და მაგიდამ, რომელიც ლონდონის ერთ-ერთ მუზეუმშია.

ინგლისელებს ეროვნულ სიამაყედ შემორჩათ უძლეველი საზღვაო მხედართმთავრის სახე; მრავალრიცხოვანი სათავგადასავლო ფილმისა და წიგნის ავტორებს – თავზეხელაღებული და „კეთილშობილი“ მეკობრის ცხოვრების ამსახველი ლეგენდა; გეოგრაფიულ მეცნიერებას – იმის უტყუარი საბუთი, რომ ცეცხლოვანი მიწა კუნძულია და არა ავსტრალიის კიდე, როგორც ამას დრეიკამდე ფიქრობდნენ. იმ დროიდან მოყოლებული კი, ყველა რუკაზე გაჩნდა მოკრძალებული წარწერა, რომელიც ორი კონტინენტის – სამხრეთ ამერიკისა და ანტარქტიდის გამყოფ საზღვაო სივრცეს აღნიშნავს და რომელსაც „დრეიკის სრუტე“ ჰქვია.

■



41-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-გ; 3-ა.

44-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ბ; 3-ბ; 4-ა.

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ (23-29 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ) ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

ᲚᲝᲛᲘ – 23/VII-23/VIII



კვირის დასაწყისშივე მთელი ქვეყნის დაპყრობის სურვილი მოგეძალებათ. გაგიკვირდებათ და, ამის შანსიც მოგეცემათ: მთელი კვირის მანძილზე ძალიან დინამიკურად და წარმატებით იმოქმედებთ. რაღაც ახალსაც ისწავლით და სარგებლიანადაც გამოიყენებთ ამ ცოდნას.

ᲥᲐᲚᲬᲘᲚᲝ – 24/VIII-23/IX

მრავალმხრივ დატვირთული კვირა გელით. შესაძლოა, სამსახურში სასიკეთოდ შემოგიბრუნდეთ საქმე. თუმცა, არც უარყოფითი მომენტებისგან იქნებით დაზღვეული: კვირის შუა პერიოდში პირადული ხასიათის პრობლემების წინაშე დადგებით და შესაძლოა, უახლოეს ადამიანთან ურთიერთობა დაგეძაბოთ.

ᲚᲐᲜᲬᲝᲠᲘ – 24/IX-23/X

კვირის პირველ ნახევარში ფინანსურ მდგომარეობას გაიუმჯობესებთ. კვირის შუა პერიოდისთვის არცთუ ისე სასიამოვნო ცვლილებებია მოსალოდნელი. თავის დასამშვიდებლად, უახლოეს ადამიანთა წრეს მიაშურეთ. შემდეგ ყველაფერი დალაგდება და ფორტუნაც გაგიღიმებთ. ეცადეთ, უქმეებში ზედმეტი არ ჭამოთ.

ᲓᲠᲝᲐᲜᲯᲐᲚᲘ – 24/X-22/XI

ამ კვირაში შეცდომას შეცდომაზე დაუშვებთ, ამიტომაც, სანამ რაიმე ნაბიჯს გადადგამთ, საფუძვლიანად აწონ-დაწონეთ მიღებული გადაწყვეტილება. თუმცა, ინტუიციასაც შეიძლება დაეყრდნოთ – წესით, ის არ გიღალატებთ. ალბათ მკაცრი თვითკონტროლი კვირის ბოლოსთვის მეტისმეტად დაგღლით, ამიტომ უქმეებში კარგად დაისვენეთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ – 23/XI-21/XII

კვირის პირველ ნახევარში ნებისმიერ საქმეს შეგიძლიათ მოჰკიდოთ ხელი. სიძნელეებს ნუ შეუშინდებით: ყველა პრობლემას ადვილად გაუმკლავდებით. მეორე ნახევარში არათუ სიტუაცია, არამედ თავად თქვენ შეიცვლებით – შეიძლება, მეტისმეტად ეჭვიანი და ბუტია გახდეთ, რაც თქვენც გაგიფუჭებთ გუნებას და გარშემომყოფებსაც.

ᲝᲮᲝᲡ ᲠᲥᲐ – 22/XII-20/I

ამ კვირაში საკმაოდ ბევრ სიძნელეს წააწყდებით, უმარტივესი საქმის მოსაგვარებლადაც კი, დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. ამ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალი ის არის, რომ კოლეგებთან, მეგობრებსა და ახლობლებთან ერთად გადაწყვიტოთ თქვენ წინაშე წამოჭრილი პრობლემები. ასეთ შემთხვევაში წარმატებაც გარანტირებული გაქვთ და უქმეებში სასიამოვნო დროსაც გაატარებთ.

ᲛᲔᲠᲬᲔᲣᲚᲘ – 21/I-19/II

ძალიან გაგიჭირდებათ ყურადღების კონცენტრირება. ამა თუ იმ ამოცანაზე დაფიქრებისას, ხშირად დაიფიქსირებთ, რომ ფიქრი სულ სხვა რაღაცისკენ გაგირბით. ამრიგად, ეს კვირა საუკეთესო იქნება ფილოსოფიური აზროვნებისთვის, კონკრეტული ამოცანები კი სხვა დროისთვის უნდა გადადოთ.

ᲗᲔᲕᲖᲘᲡᲘ – 20/II-20/III

ძალზედ ორგანიზებული და კატეგორიული იქნებით. გარშემომყოფებს, თქვენი გამოჩენისთანავე ფეხზე წამოდგომისა და გაჯგიმვის სურვილიც კი აღეძრებთ. ძალიანაც კარგი! – თქვენ ადვილად შეძლებთ ადამიანთა დიდი ჯგუფების ხელმძღვანელობას, კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად.

ᲒᲐᲠᲯᲘ – 21/III-20/IV



კვირის დასაწყისიდანვე ახალი, ორიგინალური იდეების მთელი კორიანტელი გაგიჩნდებათ. მაგრამ უმალვე სხვის მხარდაჭერას ნუ დაელოდებით: ეს მხოლოდ კვირის მეორე ნახევარში შეიძლება მოხდეს, მანამდე კი არც კონფლიქტებია გამორიცხული. ხუთშაბათიდან ყველა ნაბიჯი კარგად უნდა აწონ-დაწონოთ და გადაწყვეტილებებიც ამგვარად მიიღოთ.

ᲙᲣᲠᲝ – 21/IV-21/V

საკმაოდ აქტიური და ამავე დროს, მშვიდი კვირა გექნებათ, უმნიშვნელო დაბრკოლებები გუნება-განწყობასაც კი ვერ გაგიფუჭებთ. კვირის მეორე ნახევარში საქმიან სფეროში დიდი წარმატება გელით. ამ დროს განხორციელებულმა პროექტმა სახელიც შეიძლება მოგიტანოთ.

ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲘᲢᲐ – 22/V-21/VI

ორშაბათიდანვე უნდა მოჰკიდოთ ხელი დიდი ხნის ჩაფიქრებული იდეების ხორცშესხმას. სამშაბათს და ოთხშაბთს შეიძლება, საქმეებით გადაიტვირთოთ. მაგრამ მეტისმეტად რომც დაიღალოთ, ფეხით სეირნობისთვის ნახევარი საათი მაინც უნდა გამოყოთ. კვირის ბოლოსთვის განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ საქმიანი საუბრების მიმართ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲝᲒᲘ – 22/VI-22/VII

კვირის უმეტეს დროს პრაქტიკულ, საქმიან და ფინანსურ საკითხებს დაუთმობთ. კვირის შუა პერიოდში ამ საკითხების გადაჭრის შანსიც მოგეცემათ, მაგრამ დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას. უქმეებში სუფთა ჰაერზე აქტიური დასვენება მოგიხდებათ.

თქვენი შემოქმედებითი ასაკი



ტესტის საშუალებით იმ ასაკის დადგენას შეძლებთ, რომელიც თქვენი ფსიქიკის ფაქტობრივ მდგომარეობას შეესაბამება. უმეტეს შემთხვევაში, იგი ბიოლოგიურ ასაკს არ ემთხვევა.

თქვენ წინაშეა 10 შეკითხვა და 5-5 სავარაუდო პასუხი. თითოეულ კითხვაზე ერთი, თქვენთვის ყველაზე შესაფერისი პასუხის ვარიანტი შეარჩიეთ და შემოხაზეთ.

1. თუ შეხვედრაზე გაგვიანდებათ, საჭირო ტრანსპორტმა წინ ჩაგიქროლათ და შორახლოს გაჩერდა, როგორ მოიქცევით?

ა) გაიქცევით, რომ მიუსწროთ;

ბ) შეეცდებით, რაც შეიძლება ჩქარა იაროთ;

გ) ოდნავ აუჩქარებთ ნაბიჯს;

დ) სიარულს იმავე ტემპში განაგრძობთ;

ე) უკან გაიხედავთ, რომ შეიტყოთ, გიახლოვდებათ თუ არა სხვა შესაფერისი ტრანსპორტი და გადაწყვეტილებას მერე მიიღებთ.

2. როგორი დამოკიდებულება გაქვთ მოდასთან?

ა) მოდას თვალყურს ადევნებთ და ცდილობთ აჰყვეთ;

ბ) მხოლოდ იმას ითვისებთ, რაც გიხდებათ;

გ) არ მოგწონთ თანამედროვე ექსტრავაგანტური მოდელები;

დ) თანამედროვე მოდას საერთოდ არ ცნობთ;

ე) ხან აღიარებთ, ხან არა — გააჩნია, რა გუნებაზე ხართ.

3. უმეტესად თავისუფალ დროს:

ა) მეგობრებთან ატარებთ;

ბ) ტელევიზორს უყურებთ;

გ) კითხულობთ მხატვრულ ლიტერატურას;

დ) ხსნით კროსვორდებს;

ე) სხვადასხვა საქმით ხართ დაკავებული.

4. როგორ მოიქცევით, თუ თქვენ თვალწინ უსამართლობა ხდება?

ა) ყველა შესაძლო საშუალებით ეცდებით შეეწინააღმდეგოთ;

ბ) დაზარალებულის მხარეს დადგებით და მის შველას ეცდებით;

გ) სამართლიანობის აღდგენას მხოლოდ კანონიერი გზით შეეცდებით;

დ) რა უნდა ქნათ? უბრალოდ, ცოტა ხნით შეჩერდებით და შემდეგ გზას განაგრძობთ;

ე) საქმეში ჩაერევით და საკუთარ აზრსაც თამამად გამოთქვამთ.

5. როგორი რეაქცია გაქვთ თანამედროვე ახალგაზრდული მუსიკის მოსმენისას?

ა) აღფრთოვანებას ვერ მალავთ;

ბ) ფიქრობთ, რომ ეს ეტაპი ყველამ უნდა გაიაროს;

გ) ღიზიანდებით და პროტესტს გამოხატავთ;

დ) ხმაური და გრუხუნი არ გსიამოვნებთ;

ე) თვლით, რომ ეს გემოვნების საკითხია.

6. რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანი მეგობრების წრეში მოხვედრისას?

ა) საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა;

ბ) ისე მოქცევა, რომ ყველას დაამახსოვროთ თავი;

გ) მოკრძალებული ქცევა;

დ) არ იყოთ გამორჩეული კომპანიის სხვა წევრებისაგან;

ე) კომპანიის ნორმების შესაბამისად მოქცევა.

7. როგორი სამუშაო მოგწონთ?

ა) რომელიც მოულოდნელობებით გამოირჩევა და რისკის ელემენტებსაც შეიცავს;

ბ) სხვადასხვაგვარი, მაგრამ არა მონოტონური;

გ) ისეთი, რომ შეძლოთ თქვენი გამოცდილებისა და ცოდნის გამოვლენა;

დ) ნაკლებად დატვირთული;

ე) ნაირგვარი — ისეთი, გუნება-განწყობის მიხედვით რომ შეიძლებოდეს მოქმედება.

8. რამდენად წინდახედული ხართ?

ა) საქმეს დაუფიქრებლად იწყებთ ხოლმე;

ბ) ჯერ საქმეს შეუდგებით, შემდეგ კი ფიქრობთ;

გ) გირჩევნიათ, არ ჩაერთოთ საქმეში, სანამ მისი მოსალოდნელი შედეგები არ გეცოდინებათ;

დ) ისეთ საქმეებში გირჩევნიათ მონაწილეობა, რომელშიც წარმატება გარანტირებული გექნებათ;

ე) საქმეს სიტუაციის მიხედვით აფასებთ.

9. ხართ თუ არა მიმნდობი?

ა) ენდობით ზოგიერთ ადამიანს;

ბ) ენდობით ბევრს;

გ) ბევრს არ ენდობით;

დ) არავის ენდობით;

ე) ნდობა იმაზეა დამოკიდებული, თუ საკუთრივ ვისთან გაქვთ საქმე.

10. როგორი განწყობა სჭარბობს თქვენში?

ა) უმეტესად ოპტიმისტური;

ბ) ხშირად ოპტიმისტური;

გ) ხშირად პესიმისტური;

დ) უმეტესად პესიმისტური;

ე) დამოკიდებულია გარემოებებზე.

გამოითვალეთ თქვენი შემოქმედებითი ასაკი

T = 2[1Xბ)+3Xგ)+4Xდ)+2Xე)]

(ა)-ს ნუ დაითვლით): რამდენია — ბ), რამდენია — გ), რამდენია — დ) და რამდენია — ე)- მათი რაოდენობა ჩასვით ფორმულაში, გაამრავლეთ შესაბამის რიცხვებზე და გამოთვალეთ T.

თუ T თქვენს ბიოლოგიურ ასაკს ემთხვევა, ყველაფერი წესრიგშია. მათთვის, ვინც შემოქმედებით სამუშაოს ანიჭებს უპირატესობას, უმჯობესია T ნამდვილ ასაკზე ნაკლები იყოს. თუ 30 წელზე უფროსი ასაკის ბრძანდებით და T 30-ზე ნაკლებია, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ კარგ ფორმაში ხართ, სტერეოტიპებისგან თავისუფალი ბრძანდებით და თქვენი შემოქმედებითი შესაძლებლობები ჯერ არ ამოგიწურავთ. თუ T უფრო მეტია, ვიდრე თქვენი ასაკი, ეს ნიშნავს, რომ წარმატებით შეგიძლიათ გაართვათ თავი იმ სტანდარტულ სიტუაციებს, რომელიც სიზუსტესა და პუნქტუალობას მოითხოვს.

დავა „გამოგონების" გამო

იდეა „ვერ გაიყვეს" რობ ნიკოლინომ და ემილია დიუფიმ, რომლებიც აშშ-ის ქალაქ სან-ფრანცისკოში ცხოვრობენ და აქამდე ერთმანეთს არც იცნობდნენ. იდეა კი... ბიუსტჰალტერებისგან ბურთის გაკეთებაში მდგომარეობს: თითოეული მათგანი ამტკიცებს, — ამ ავანგარდისტული პროექტის განხორციელების პირველობა, სწორედ მე მეკუთვნისო. საქმე კი იქამდე მივიდა, რომ დავა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.

მასაჟი ოპერაციის ნაცვლად

ქალის მკერდის გასადიდებლად არსებული მრავალგვარი პლასტიკურ-ქირურგიული მეთოდის შესახებ ბევრი რამ წაგვიკითხავს და გვსმენია. ბანგკოკის მკვიდრი ხემიკა ნა სონგხალა კი ამტკიცებს, რომ ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ სპეციალური მასაჟის გზით არის შესაძლებელი, რასაც თავის კერძო კლინიკაში წარმატებით ახორციელებს კიდეც. სახალხო მკურნალის მტკიცებით, ამ სრულიად უვნებელ მეთოდს, ის თავისი ბებიისგან დაეუფლა, რომელიც 14 წლის მანძილზე ეხმარებოდა ქალებს მკერდის სასურველი ფორმის მიღებაში. მანუალური თერაპიის კურსი სულ 6 დღე გრძელდება და დასავლური საზომით, საკმაოდ იაფიც არის — სულ 380 დოლარამდე ჯდება, რაც გაცილებით ნაკლებია, სილიკონის ჩასასმელი საეჭვო ოპერაციის საფასურზე.

იყიდება ლენონის სახლი

ვარსკვლავის თაყვანისმცემლები მაწუხებენო: სწორედ ამ მიზეზით ხსნის თავისი სახლის გაყიდვის სურვილს ლივერპულელი როდ ბერკი, რომლის მამამ თავის დროზე ჯონ ლენონის სახლი იყიდა. ბერკის თქმით, სახლს, რომელშიც „ბითლზის" ხელმძღვანელი 1963 წლამდე ცხოვრობდა და ერთ-ერთი სიმღერის კლიპშიც არის გადაღებული. ხშირად აკითხავენ ბითლომანები და ტურისტები, მაგრამ ეს კიდევ არაფერი: „თავარია, რომ მათი ვიზიტების შემდეგ, აუცილებლად იკარგება რაღაც ნივთი, თანაც, ფანატები რატომღაც, ჩემი ოჯახის ნივთებს აყოლებენ ხელს", — განუცხადა პრესის მუშაკებს ბერკიმ, რომელიც თავის სახლს 420 ათას დოლარად აფასებს, თუმცა, უძრავი ქონების ექსპერტთა თქმით, მისი რეალური ფასი 200 ათასს ოდნავ თუ აღემატება...

ქურნალი „გზა" აცხადებს კონკურსს
„ორიგინალური რუბრიკა"
ნებისმიერ ჟურნალისტს (არაჟურნალისტსაც) შეუძლია წარმოადგინოს ჟურნალის გვერდის ან რუბრიკის ორიგინალური ვარიანტი.
კონკურსში გამარჯვებულები უზრუნველყოფილნი იქნებიან სტაბილური სამსახურით (შესაძლებელია ერთჯერადი ანაზღაურებაც).
რუბრიკის იდეა და შინაარსი გთხოვთ წარმოადგინოთ წერილობით 16 ივლისიდან, რედაქციაში, ან გამოგზავნოთ „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთების საშუალებით.
ინფორმაციისთვის დარეკეთ: 33-50-32

ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის — „ფანტაზიის" პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა ედვარდ სურმანიძემ და ვახტანგ რჩეულიშვილმა.

ვულოცავთ ბატონ ედვარდს და ბატონ ვახტანგს და ვუსურვებთ წარმატებებს!

(ა)რჩეული!

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (24 ივლისის) 13 საათამდე.



„ფანტაზია“
(ა)ორჩეულის...

„ფანტაზიორობს
მკითხველი“
— პასი თქვი
და დაწერეთ

b 45/27

ნატო ანთელავა:

სენეგალში უამრავი თაყვანისმცემელი მყავდა, ოღონდ ეშეტესობა წმინდა პრაგმატული მოსაზრებით ხელმძღვანელობდა: თეთრკანიან გოგონასთან ქორწინების საშუალებით, აფრიკიდან თავის დაღწევა სურდა...